საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„წელიწადი მეექვსე")

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

შაბათი, 1 მაისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 98 (1553)

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა 5 მაისს

დღიური

- ანგორიდან მოსკოვში მიემგზავრება ოსმალეთის სახალხო განათლების სამინისტროს დელეგაცია.
- ოსმალეთის ოფიციოზი სავსებით იზიარებს ჩიჩერინის შეხედულებას განიარაღების საკითხზე.
- მაროკოში საფრანგეთ-ესპანეთის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე მთელ ფრონტზე.
- ვანდერველდე უკმაყოფილოა გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების დადებით.
- ჩან-ძო-ლინმა და უ-პეი-ფუმ აკრძალეს საპირველმაისო ყოველგვარი დემონსტრაციები,

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობას. გაუმარჯოს პირველ მაისს

პროლეტარიატის კლასობრივ ერთობის დღე

„მუშათა კლასის განთავისუფლება, მუშათა კლასის საქმეა". ამ განთავისუფლების მთავარი პირობა პროლეტარიატის კლასობრივ სოლიდარობის სიმტკიცეა.

დღეს მსოფლიო პროლეტარიატი მე-37 მაისობას უქმობს. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო მუშათა მოძრაობამ განვითარების დიდი მანძილი განვლო. მიუხედავათ თითქმის ოთხი ათეული წლისა საერთაშორისო მუშათა მთლიანობა ჯერ კიდევ განუხორციელებელი ფაქტია. პროლეტარიატის რიგები ჯერ კიდევ დაქსაქსულია, რაშიაც მთავარი დანაშაული მიუძღვის ბურჟუაზიის პენსიონერებს, კაპიტალისაგან დაქირავებულ სოციალიზმის რენეგატებს.

მე-37 პირველი მაისი უსწრებს ევროპას მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისის პირობებში. განმანადგურებელ იმპერიალისტურ ომიდან, როგორც ეგრედ წოდებული გამარჯვებული, ისე დამარცხებული ევროპის სახელმწიფოები ეკონომიურათ დაძაბუნებული და ხერხემალ გატეხილი გამოვიდნენ. კაპიტალისტური მსოფლიოს მბრძანებელი დღეს ამერიკის შეერთებული შტატებია.

ძველი მდგომარეობის დასაბრუნებლათ ბურჟუაზიულ ევროპას ერთი მთავარი გზა დარჩენია. ესაა გზა მუშათა კლასის და გლეხკაცობის დაუზოგავ ექსპლოატაციის, რომელიც მოასწავებს: შრომის ხელფასის შემცირებას, სამუშაო დროის გაგრძელებას, გადასახადის უღლის გადიდებას, სოციალურ დაზღვევის შეზღუდვას და სხვას.

კაპიტალის ამგვარ იერიშის საილუსტრაციოთ მუშათა კლასის წინააღმდეგ შეგვიძლია დავასახელოთ ინგლისის მაღაროს მუშების დღევანდელი თავდადებული ბრძოლა ნახშირის მრეწველთა მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ ერთხელ კიდევ ნათელჰყო ინგლისის მაღაროების მუშებისათვის, რომ მათი სამართლიანი ბრძოლის გამარჯვებისათვის ერთი მთავარი პირობათაგანია მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა.

ეკონომიურ სიძნელეთა გარდა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო კაპიტალისტურმა ევროპამ იმპერიალისტურ ომის შემდეგ, ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატს დღესაც კიდევ არ მოუსვენებია უაზრო სისხლის ღვრისაგან, რომელსაც განუწყვეტლივ ადგილი აქვს კოლონიალურ ქვეყნებში იმპერიალიზმის ბატონობის განმტკიცებისათვის. ომი მაროკოში, ომი სირიაში, ომი ჩინეთში, რომელსაც ხელოვნურათ აღვივებენ იმპერიალისტები, შეტაკებები იტალიის ახალშენებში—შუა აფრიკაში და სხვა.

ამიტომ, თუ საზოგადოთ, სანამ არსებობს კაპიტალიზმი, პროლეტარიატის მთლიანობის დემონსტრაცია კლასიური ბრძოლის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი პირველი მაისი, როგორც იმ ღრმა აღშფოთებისა და პროტესტის გამოხატულება, რომელიც დაგროვილია დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელთა ფართო ფენებში.

ბურჟუამ ეს კარგათ იცის. ამიტომაა, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებში, პირველ მაისის მოახლოების შიშით შეპყრობილ კაპიტალისტურმა მთავრობებმა სასტიკათ აკრძალეს საპირველმაისო დემონსტრაციები და პროცესიები.

რას შვრებიან ამ დროს პოლიტიკური და პროფესიული ყვითელი ინტერნაციონალები? იმის მაგივრათ, რომ მათ ხელი შეუწყონ მუშათა მასების ორგანიზაციულათ დარაზმვას საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულის ჩასატარებლად, ისინი არ იშურებენ არავითარ ძალ-ღონეს, რომ მოადუნონ მუშების საპროტესტო აღტკინება და გააქარწყლონ მშრომელი მასების რევოლიუციური სულისკვეთება.

მათ ეშინიათ ქუჩის, პროლეტარიატის მღრტვინავ ხმას უფრთხის ყვითელი სოციალიზმის მოციქულები და „წმინდა მამები". ამსტერდამის ინტერნაციონალმა აკრძალა ყოველგვარი საპირველმაისო დემონსტრაციები და პროცესიები ქუჩაში.

მხოლოდ კომუნისტურ პარტიამ შეინარჩუნა დღემდი კლასიური სისპეტაკე საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, მხოლოდ ის მოუწოდებს დღეს მუშათა შემჭიდროვებულ რაზმებს ქუჩებისაკენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხმის ასამაღლებლათ. მიუხედავათ იმისა, რომ მთელ რიგ მუშათა რაიონებში ამსტერდამის ინტერნაციონალის შთაგონებით სოც.-დემ. ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს კომუნისტებთან ერთად საპირველმაისო დღესასწაულის ჩატარებაზე, მუშათა მასები სტიქიურათ მიილტვიან კომპარტიის რიგებში გაერთიანებულ თავის მოძმეებისაკენ და მათთან ერთად გავლენ დღეს ქუჩებში საზეიმოთ.

ამას, სხვათა შორის, მოწმობს დღევანდელი ცნობა ბერლინიდან. სადაც ვკითხულობთ:

„გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებამ და სოც.-დემოკრატიულ პარტიის პროვინციალურ ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უარჰყვეს კომპარტიის წინადადება პირველი მაისის დემონსტრაციების ერთად გამართვის შესახებ. მიუხედავათ ამისა წელს გაერთიანებულ დემონსტრაციების რიცხვი უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა წლებში".

ამრიგათ, აქაც სოც. საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში და იქაც—კაპიტალის სამფლობელოში, კომპარტია მშრომელთა ერთად-ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელსაც მაღლა უპყრია პროლეტარულ სოლიდარობის დროშა და ამ დროშის ქვეშ მოუხმობს მთელი ქვეყნის დაჩაგრულ-დამონებულებს.

ამ გზით ვიდოდა კომუნისტური პარტია დღემდი და ამავე გზით განაგრძობს ის სვლას შემდეგშიაც მუშათა კლასის ყველა მტრების და ორგულთა სავალალოთ, სანამ საბოლოოთ არ დაემხობა კაპიტალის ბატონობის ტახტი, სანამ კაცობრიობა სამუდამოთ არ დაიწყვეტს ყოველგვარ მონობის ხუნდებს.

გაუმარჯოს მუშათა კლასიურ ერთობის ზეიმის დღეს—პირველ მაისს, გაუმარჯოს მის სახელოვან მებაირახტრეს—კომუნისტურ პარტიას.

ბრძოლისა და შრომის დღესასწაული

წელიწადი წელიწადს მისდევს, მაგრამ ბრძოლა ძალაუფლებისათვის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არ ნელდება. სოციალური ბრძოლის ხასიათი, მეთოდები და სიმწვავე ყველგან ერთნაირი როდი არის. მაგრამ დედამიწის ზურგზე არ არსებობს არც ერთი კუთხე, სადაც განსაკუთრებით 1 მაისს, მთელი სიდიადით არ წამოიჭრეს შრომის ძალაუფლების საკითხი. შრომის ძალაუფლება შორეული მომავლის ოცნება კი არ არის, არამედ ნამდვილად არსებული ფაქტია, ამ ფაქტმა თავისი ტერიტორიულ - სახელმწიფოებრივი გამოხატულება 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა კავშირში იპოვა. ამ წლის შემდეგ პირველი მაისის ძველმა დღესასწაულმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა: სოციალიზმი ბურუსიან-შორეული მანძილიდან, ნისლიანი სიმაღლეებიდან მიწაზე ჩამოეშვა, ბრძოლისა და შრომის დღესასწაული გადაიქცა არა **მარტო მომავალში მისაღწევი, არამედ უკვე მიღწეული გამარჯვებების დღესასწაულად.**

ოქტომბრის რევოლიუციამ დაგვანახა, რომ პროლეტარიატს **შეუძლია** გამარჯვება, მაგრამ თუ ამ გარემოებამ პროლეტარული მასსების შემტევი ძალა და ძალაუფლებისკენ მისწრაფება გაათკეცა, სამაგიეროდ გაბატონებულ კლასების წინააღმდეგობის ძალა გაასკეცა, მიტომ რომ მათ გამოცდილებით შეიტყვეს, რას უნდა ელოდნენ რევოლიუციისაგან. ამ რიგათ სოციალური წინააღმდეგობანი ულრესად გამწვავდნენ. ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა მთავარი და დამხმარე ძალები გაერთიანებული ფრონტით გაძლიერებული კომუნიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ყოველ დღეს, ყოველ წელიწადს იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთები მოაქვს, რომ თანამედროვე საზოგადოების ორ უკიდურეს პოლიუსზე რევოლიუციური და რეაქციური ენერგიის დაგროვება ხდება. რა რთულიც არ უნდა იყოს სოციალური ურთიერთობა ამა თუ იმ სახელმწიფოში, რა საფეხურზე არ უნდა იდგეს ის კაპიტალისტური და კონსტიტუციური განვითარების მხრივ, ყოველგან და ყოველთვის გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს ოქტომბრის რევოლიუციის იდეებისა და კომუნიზმის დასაცავად და საწინააღმდეგოთ.

თუ ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა ითქვას, რომ მუშათა კლასი **უშუალო** ბრძოლაში ჩაება ძალაუფლებისთვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგან სოციალური რევოლიუციის უქმის ძალი დაიწყო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის დღევანდელი კრიზისიდან სხვა გამოსავალი არ არსებობს, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა. პროლეტარიატის ძალაუფლებისთვის ბრძოლის დაწყებიდან და მისი პირველი გამარჯვებიდან (1917 წლის ოქტომბერი) მის საბოლოო გამარჯვებამდე ყველა და მნიშვნელოვან ქვეყნებში, რამდენიმე ათეული წელიწადი გაივლის, მაგრამ ეს ხანა, როგორც უკანასკნელი რვა წლის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, სავსე იქნება დიდი სოციალური ბრძოლებით, რომ გამარჯვების სასწორს ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე გადახრის.

1917 წლის კაცობრიობის ისტორიაში კრიტიკული პერიოდი დაიწყო, ხოლო 1926 წელი ერთგვარი სამანია დაქვეითების გზაზე დამდგარი და არსებობისთვის მებრძოლი კაპიტალიზმისა. სწორეთ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ თანამედროვე მოვლენებს, ამ თვალსაზრისით უნდა დავაფასოთ აგრეთვე ჩვენი საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაული შრომისა და ბრძოლისა.

მუშათა კლასმა გრძელი გზა განვლო კიდეც: წარმოიშვა ორი ძირითადი ძალა **კომინტერნი და პროფინტერნი.** დაიწყო ყველა პროლეტარული მიმართულების შედუღება ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ბრძოლის დროს, მუშათა კლასის სიღრმიდან გამოსული მისწრაფება მთლიანი ფრონტისა და გაერთიანებისკენ; ამ ბრძოლაში ჩაბმულია კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნების მრავალი მილიონი პროლეტარი და ნახევრად-პროლეტარი, გაწმენდილია გზა გაერთიანებულ, კლასობრივად მებრძოლ პროფკავშირთა ინტერნაციონალისათვის; ამისთვის მრავალი მილიონი ხალხი ამოძრავდა; განა ყოველივე ამის შეჩერება შეიძლება, განა შეიძლება ისტორიული მოვლენების უკან მობრუნება, განა შესაძლებელია ჩაგრულ კლასებისა და ხალხების მოძრაობის ძველ კალაპოტში მოთავსება, როცა ყველა ზღუდეები გადალახულია და ის წარღვნას ემუქრება მთელს ქვეყანას?

არა, ბურჟუაზიის ზოგიერთ წარმომადგენელს ეს უკეთ ესმის, ვიდრე ეგრეთ წოდებ. სოციალისტებს, რა საფეხურზე სდგას კაპიტალისტური საზოგადოება, და სწორედ ამით აიხსნება რეაქციის ზრდა და ძალების დარაზმვა მომავალი რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშათა კლასს ძნელი და ხანგრძლივი ბრძოლა მოელის. ბურჟუაზია მას ჯერ კიდევ ბევრ დამარცხებას აგებებს; მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს ბრძოლის განმავლობაში, რა დამარცხებაც არ უნდა შეგვხვდეს სოციალური ფრონტის ზოგიერთ ხაზზე, რა განსაცდელიც არ უნდა ხვდეს წილად მშრომელ მასსებს, კაპიტალიზმი მაინც განწირულია და მის ადგილას ახალგაზრდა, ყოვლის დამპყრობი კომუნიზმი მოდის.

ა. ლოზოვსკი.

* * *

რევოლიუციური პროლეტარიატის ბრძოლის დღე

„ევროპაში საშინელი აჩრდილი მიმოდის, ესაა კომუნიზმის აჩრდილი", სწერდა კარლ მარქსი კომუნისტურ მანიფესტში.

მარქსის ეს სიტყვები დღეს ცოცხალ სინამდვილეთ იქცევა. მილიონი პროლეტარები კაპიტალისტურ ქვეყნებში დღეს თავიანთ რევოლიუციურ ნებისყოფასა და სიმტკიცეს ამჟღავნებენ, ისინი ხმამაღლა ეუბნებიან ბურჟუაზიას, რომ აღარ სურთ ნებაყოფლობით დაემორჩილონ მის უღელს, არამედ ბრძოლა სწყურიათ, რათა კაცობრიობას უკეთესი არსებობის პირობები შეუქმნან. მილიონიანი მუშები და გლეხები შლიან დღეს ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის ქვეყნებში, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე წითელ დროშას, მსოფლიო რევოლიუციის ალამს. მილიონი მუშების ყელიდან გაისმის, ბურჟუაზიის სასახლეების წინ, „ინტერნაციონალის" სიმღერა; საერთაშორისო ბურჟუაზია, მშრომელთა ექსპლოატატორები, იგემებენ რას ნიშნავს კლასობრივი სიძულვილის ხმები, მოწინააღმდეგის ბრძოლის წყურვილის ხმები.

მაგრამ დღეს ინტერნაციონალური რეაქციაც რაზმავს თავის ძალებს, რათა ინტერნაციონალური პროლეტარიატის რევოლიუციური ნებისყოფის გამოაშკარავება შეაფერხოს. მთელ რიგ ქვეყნებში მთავრობებმა აკრძალეს პროლეტარიატის სამაისო დემონსტრაციები. ბალკანეთის სახელმწიფოებსა და უნგრეთში რეაქციურმა ხელისუფლებამ ფეხზე დააყენა მთელი ჟანდარმერია და სამხედრო ძალა, ხოლო მშვიდობიანობის დამრღვევლებისთვის საგანგებო სამხედრო სასამართლოები შემოიღო. სხვაგან, უფრო „დემოკრატიულ" ქვეყნებში, ბურჟუაზია უფრო ფრთხილად მოქმედობს. ინგლისსა, გერმანიასა, საფრანგეთში ბურჟუაზია სცდილობს პროლეტარიატის ბრძოლის წყურვილი ტლანქი ძალით კი არა, **სოციალ დემოკრატიის შემწეობით განელოს.**

სოციალ-დემოკრატიული პარტიები და რეფორმისტული პროფკავშირები უარყოფენ საერთო მუშათა დემონსტრაციებს. **ამსტერდამის ინტერნაციონალი თავის სამაისო მიმართვაში პროლეტარიატს მოუწოდებს არა კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ დემოკრატიისა და კაპიტალისტური წესწყობილების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.**

მაგრამ დღევანდელი დღე მაინც მუშათა კლასის ბრძოლის დღეთ გადაიქცევა, რეფორმისტული პროფკავშირების ბელადებისა და სოციალ-დემოკრატ ლაქიების ოინბაზობის მიუხედავათ. საერთაშორისო პროლეტარიატმა იცის, რომ მხოლოდ ორი შესაძლებლობა არსებობს: ან გამარჯვება ან დამარცხება, ან სიცოცხლე ან სიკვდილი; მან იცის რომ ბრძოლა **ბურჟუაზიისა და მისი აგენტების წინააღმდეგ** მჭიდრო რაზმებით უნდა სწარმოებდეს.

ისტორიის ჩარხი ულმობელად ტრიალებს. საერთაშორისო პროლეტარიატი, ისტორიულ, განვითარების მატარებელი, განახორციელებს ბრძოლის ლოზუნგებს, რომელიც დღეს წითელ დროშებზე სწერია და რომელსაც მილიონი მებრძოლნი იმეორებენ. ყოველგვარი სიძნელისა და თვალთმაქცობის მიუხედავათ აღდგენილ იქნება მშრომელთა ერთობა. მშრომელ მასსებში რევოლიუციურ სულს გააღვივებს მუშების სისხლი, რომელიც დღევანდელ ბრძოლის დროს ნათლად ღებავს ევროპიული ქალაქების ქუჩებს.

მშრომელი მასსები დღევანდელ დღეს, მძიმე მსხვერპლის გაღების შემდეგ, უფრო შეამჭიდროვებენ თავიანთ რაზმებს და ეცდებიან პირველი მაისის საბრძოლველი ლოზუნგები საქმედ აქციონ, ხოლო ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის გასამარჯვებლად მთელს მსოფლიოში გაათკეცებული ენერგიით. გაათკეცებული სიმტკიცით აწარმოვონ.

ბეჯა ბოლდ.

* * *

გლეხობა და პირველი მაისი

ამხ. იაროსლავსკის წერილი

მოსკოვი, 30 აპრილი. წერილში „გლეხობა და პირველი მაისი"—**ამხ. იაროსლავსკი სწერს:**

„საერთაშორისო პროლეტარიატის ლოზუნგი, როგორიც არის რვა საათის სამუშაო დღის დაცვა, განა ეს ლოზუნგი არის სოფლისათვის, რომელმაც თავისი მეურნეობის პირობების გამო ჯერ კიდევ არ იცის რვა საათის სამუშაო დღე? პრინციპიალური წინააღმდეგობა აქ არ არის. აქ არის ტეხნიკის ჩამორჩენილობა, მეურნეობის წარმოების წესების ჩამორჩენილობა. მუდმივია ეს ჩამორჩენილობა? რასაკვირველია, არა! ვის შეუძლია მოსპოს განსხვავება სოფლის და ქალაქის შრომის პირობების შორის? პირველ ყოვლისა, პროლეტარიატს. მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც შექმნის ძლიერ მრეწველობას, განავითარებს ზედმიწევნით სოციალისტური მეურნეობის ტეხნიკურ ძალებს და საშუალებებს, შეუძლია მისცეს სოფელს ის, რაც მოსპობს ზღუდეს და ძირითად განსხვავებას შრომის პირობებში, და მიაწვდის სოფლის მეურნეობას ისეთ იარაღებს, რომელნიც შეამცირებენ და გაადვილებენ გლეხის შრომას, შეამცირებენ მის სამუშაო დღეს და სოფლის და ქალაქის ცხოვრების პირობებს ერთმანეთს დაუახლოებენ.

შეუძლია თუ არა ეს პროლეტარიატს? მას შეუძლია და კიდეც უნდა ჰქნას ეს მთელი სოფლის, გლეხობის, მასების, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხების დახმარებით, რომლებმაც უნდა შეიგნონ, რომ ქვეყნის მრეწველობის განვითარება, სასოფლო მეურნეობის კოოპერატიულ საფუძველზე აგება—ეს არის გამოსავალი გზა იმ მძიმე შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებიდან, რომლებშიაც ამჟამად სოფელი იმყოფება.

ყოველივე ეს ჩვენ გვავალებს, რომ თვითეულ შემთხვევაში გასაგები გავხადოთ პირველი მაისის ის ლოზუნგები, რომელთაც ვაყენებთ ჩვენ, როგორც მუშათა კლასის პარტია.

სოფლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა 1 მაისის დღესასწაული, რომელიმე საუკეთესო დღესასწაულს ხვდება, ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ამ ორი დღესასწაულის მტრული შეტაკება არ მოხდეს, რომ არ გავამწვავოთ სოფლად ამ დღეს ანტი-რელიგიური პროპაგანდა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი რევოლიუციონური დღესასწაული, განსაკუთრებით სოფლად ამავე საეკლესიო დღესასწაულს არ დაემგზავსოს, რომელიც ხშირად საყოველთაო ლოთობით თავდება. ამ მხრივ პირველ მაისობას სოფლად, განსაკუთრებით რევოლიუციონური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

* * *

წითელი არმია და პირველი მაისი

ამხ. ვოროშილოვის წერილი

მოსკოვი, 30 აპ. ამხ. ვოროშილოვი წერილში „წითელი არმია და პირველი მაისი" სწერს:

„პირველ მაისის დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელები წრფელის გრძნობით მოიგონებენ ჩვენ წითელ არმიას, როგორც შრომისა და მშვიდობიანობის ინტერესების ერთად - ერთ დამცველს მთელს მსოფლიოში. პროლეტარიატის ყველა მტრებსა და ბურჟუაზიას კი უფრო მეტი ღვარძლითა და უძლურის სიბოროტით აღევსებათ გული. ისინი ამ დღეს უფრო აშკარად გრძნობენ თავიანთი დაღუპვისა და განადგურების საათის მოახლოვებას. დარწმუნდებიან აგრეთვე, რომ წითელი არმია — საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებთან ერთად შეურყეველი ქვითკირივითა სდგას პროლეტარულ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავათ და თან მოელის მსოფლიოს პროლეტარიატის დანარჩენ რაზმების შემოერთებას".

საკავშირო რევოლიუციონური - სამხედრო საბჭოს ბრძანება

მოსკოვი, 30 აპრილი. **ამხ. ვოროშილოვის** ხელმოწერით გამოქვეყნებულია საკავშირო რევ. სამხ. საბჭოს ბრძანება:

მუშათა და გლეხთა არმია პირველ მაისს ეგებება იმ რწმენით, რომ სასტიკი ბრძოლა ჩაგვრისა, ძალმომრეობისა, ყვლეფისა და ძარცვის წინააღმდეგ დაგვირგვინდება მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვებით, რომელიც ძველი ქვეყნის ნანგრევებზე დაამკვიდრებს მშრომელთა საერთაშორისო ძმობას.

„მუშათა და გლეხთა წითელ არმიას კარგათ ესმის ფასი ბურჟუაზიის მშვიდობის მოყვარეობისა და გამსჭვალულია რა მეგობრული გრძნობით ყველა ხალხისადმი, მუდამ მზათ არის მტერთა შესახვედრათ.

ამ დღეს წითელი არმია მოაგონებს მუშათა კლასს და გლეხობას, რომ იმათი სააღმშენებლო შრომის სადარაჯოზე მუდამ ფხიზლათ სდგას ერთგული გუშაგი. ახალგაზრდა წითელარმიელები პირველ მაისს გაიმეორებენ წითელ ფიცს. ისინი ფიცს აძლევენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელებს, არამედ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების ყველა მშრომელებსაც.

„მუშათა და გლეხთა წითელი არმია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და გლეხობასთან ერთად პირველ მაისს დასდგება სახელოვან წითელ დროშების ქვეშ, რომლებიც აღიმართებიან ყველა ქვეყნების მშრომელთა გასანთავისუფლებლად.

გაუმარჯოს შრომის დღესასწაულს, პირველ მაისს!".

ჩინეთის ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის

კომპარტიის მიმართვა გომინდანის და კანტონის მთავრობისადმი

გომინდანის დეკლარაცია ჩინეთის ხალხის ეროვნულ-რევოლიუციონური ბრძოლის შესახებ

გონკონგის მუშები ესალმებიან „ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტის" დაარსებას

ნანკოუს რაიონში სწარმოებს ბრძოლა სახალხო არმიის და ჩან-ძო-ლინის ჯარებს შორის

კომუნისტები გომინდანს უერთდებიან

კანტონი, 29 აპრილი. კომუნისტური პარტიის გუანდუნის პროვინციის ორგანიზაციამ გომინდანის აღმასკომის, კანტონის ნაციონალური მთავრობის და კანტონის სამხედრო საბჭოს სახელზე გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიაც ეხება ყალბ ხმებს, რომელსაც მილიტარისტები და იმპერიალისტები ავრცელებენ; ღია წერილი აღნიშნავს:

„კომპარტია ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ერთიან ფრონტს იმპერიალისტების წინააღმდეგ. მხოლოდ მილიტარიზმის და იმპერიალიზმის მოსპობა გაანთავისუფლებს ხალხს, მუშებს და გლეხებს. აუცილებელია მოსახლეობის ყველა მშრომელთა კლასების ერთიანი ფრონტი მილიტარისტების და იმპერიალისტების წინააღმდეგ.

კომპარტია სცნობს გომინდანის ხელმძღვანელობას სახალხო-რევოლიუციონურ მოძრაობაში. კომუნისტები უერთდებიან გომინდანს, რათა ხელი შეუწყონ პარტიულ ძალების გაერთიანება-განმტკიცებას. ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ.

კომპარტია კანტონის ნაციონალურ მთავრობას სთვლის ნაციონალური რევოლიუციის ბაზად და ანტიმილიტარისტული ბრძოლის მთავარ შტაბათ, ამიტომ ის გულწრფელად მხარს უჭერს ყველა სამხედრო, სამოქალაქო და საფინანსო ღონისძიებებს, რომელსაც მთავრობა ატარებს.

მუშების და გლეხების ორგანიზაციები ნაციონალური მთავრობის საგუშაგოებს წარმოადგენენ. კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეაქციის აგენტები ცდილობენ გათიშვის შეტანას რევოლიუციონურ რიგებში, მათი შესუსტების მიზნით. კომპარტია მოუწოდებს მასებს და რევოლიუციის ბელადებს, გაერთიანდნენ საერთო ბრძოლაში".

გომინდანის დეკლარაცია

კანტონი, 29 აპრილი. **გომინდანის პარტიის პოლიტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წელს რევოლიუციონური ძალუფლება მნიშვნელოვანად განვითარდა და განმტკიცდა.** იმპერიალისტების წინანდელი ცდა—გაესრისათ რევოლიუციონური მოძრაობა სამხრეთ ჩინეთში, ჩინეთის რეაქციონურ მილიტარისტების სამხედრო ძალების დახმარებით და აგრეთვე ეკონომიური ზეგავლენის და ბლოკადის გზით, შეიცვალა ცდით—ძირი გამოუთხარონ რევოლიუციონური ძალების მთლიანობას შიგნიდან და, ამგვარად შეასუსტონ რევოლიუციონური მოძრაობის ბაზისი. ავრცელებენ ათასგვარ ყალბ ცნობებს წითელი საფრთხის, გომინდანის პარტიაში კომუნისტების ინტრიგის შესახებ და სხვ. ყველაფერი ეს იმ მიზნით ხდება, რომ შეიტანონ განხეთქილება პარტიაში. გარდა ამისა რეაქციონერები სარგებლობენ კანტონის მთავრობის თავმჯდომარის ვან-ჩინ-ვეის შვებულებაში წასვლით და ავრცელებენ ყოველგვარ უსაფუძვლო ხმებს.

ამის გამო გომინდანის პოლიტბიურო აცხადებს, რომ პარტია და კანტონის ნაციონალური მთავრობა განაგრძნობენ განხორციელებას სუნ-იატ-სენის პრინციპების, რომლებიც დაადასტურა პარტიის პირველმა და მეორე კონგრესმა და ეცდებიან განახორციელონ სუნ-იატ-სენის „უკანასკნელი სურვილი—იმპერიალიზმის და მილიტარიზმის განადგურება და ნაციონალური რევოლიუციის დასრულება. პარტია წინანდებურად გაატარებს სუნ-იატ-სენის პოლიტიკას მუშათა და გლეხთა საკითხში, მხარს დაუჭერს პროლეტარიატის და გლეხობის ეკონომიურ მოთხოვნილებებს და დაიცავს მათ ორგანიზაციებს და სამოქალაქო უფლებებს. **პარტია შეეცდება გაამაგროს ნაციონალურ-რევოლიუციონური არმია, რევოლიუციონურ მონაპოვართა დაცვის მიზნით შინაურ და გარეშე მტრებისაგან".**

დასასრულ დეკლარაცია მოუწოდებს მასებს დაეხმარონ გომინდანს და ნაციონალურ მთავრობას და ყური არ ათხოვონ ბოროტ ხმებს.

მუშების ხმა

კანტონი, 29 აპრილი. **გონკონგის მუშათა კავშირების კონფერენციამ, რომელსაც დაესწრო 500-მდე დელეგატი, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება ინგლის-რუსეთის პროფკავშირებს მთლიანობის კომიტეტის დაარსების და მხარს უჭერს წითელ პროფინტერნს ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგ.**

მუშათა კონგრესი

კანტონი, 29 აპრილი. **გრძელდება ენერგიული მზადება მომავალ სრულიად ჩინეთის მუშათა კონგრესისათვის. გომინდანის აღმასრულებელმა კომიტეტმა კონგრესს დაუთმო საკუთარი სხდომის დარბაზი და გაიღო 3.000 დოლარი ხარჯებისათვის.** კონგრესის გახსნის ცერემონია გაიმართება გლეხთა კონგრესის გახსნასთან ერთად. მოელიან მრავალრიცხოვან სტუმრებს.

დაეძებენ ბოლშევიკურ ლიტერატურას

პეკინი, 29 აპრილი. **პეკინის პოლიცია უნივერსიტეტებში და უმაღლეს სასწავლებლებში აწარმოებს ჩხრეკას ბოლშევიკური ლიტერატურის და დოკუმენტების აღმოჩენის მიზნით. მრავალი პროფესორები და მასწავლებლები გაიქცენ ქალაქიდან.**

სტუდენტების მოწოდება

პეკინი, 29 აპრილი. **ჩინეთის სტუდენტთა კავშირმა ჩინეთის სტუდენტობას მიმართა მოწოდებით იმპერიალისტების და მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანების შესახებ.**

გლეხობის მოძრაობა

პეკინი, 29 აპრილი. გაზეთი „ჩენბაო" იუწყება, რომ შან-დუნის პროვინციის სამხრეთით დაიწყო გლეხობის სერიოზული მოძრაობა. აჯანყებულები, რომლებიც თავის თავს წითელ მსროლელებს უწოდებენ, უზრუნველყოფილი არიან იარაღით და სურსათ-სანოვაგით, რის გამო მოძრაობის ჩაქრობა არც ისე ადვილი საქმეა.

იენის კაბინეტი

პეკინი, 29 აპრილი. პეკინის გარნიზონის უფროსმა, უ-პეი-ფუს აგენტმა, გენერალმა ვან-გუან-ჩინმა წინადადება მისცა ექიმ იენს (1922—24 წლ. ყოფ. პრემიერი) შეადგინოს დროებითი მთავრობა. იენი დასთანხმდა.

უ-პეი-ფუს ეს დამოუკიდებელი ნაბიჯი მოწმობს, რომ მის და ჩან-ძო-ლინს შორის არსებობს უთანხმოება.

ბრძოლა ნანკოუსთან

პეკინი, 29 აპრილი. **ნანკოუს მახლობლად, სადაც დაბანაკებულია სახალხო არმია, ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.** ნანკოუს მიდამოებში თავმოყრილია ჩან-ძო-ლინის მნიშვნელოვანი ძალები. უ-პეი-ფუს ჯარები ჯერ-ჯერობით ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ.

სესხს დაეძებენ

პეკინი, 29 აპრილი. პეკინის სამხედრო ხელისუფლებამ უბრძანა პეკინის სამხედრო პოლიციის უფროსს, აიღოს ყოველ მიზეზს გარეშე ადგილობრივ ბანკებისაგან სესხი 3 მილ. მან. რაოდენობით დედა-ქალაქის ჯარებისათვის გადასაცემათ.

ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლა

ინგლისის მუშების დახმარებისათვის

მოსკოვი, 30 აპრილი. კომინტერნის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა მუშებს და მუშა-ქალებს ინგლისის ნახშირის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის გამო. მოწოდებაში ნათქვამია:

„**სამთა-მადნო მუშების გამარჯვება და დამარცხება უდრის ბრიტანეთის მთელი მუშათა კლასის გამარჯვებას ან დამარცხებას.** სამთა-მადნო მუშების გაფიცვა უდრის საყოველთაო გაფიცვას. საყოველთაო გაფიცვა არ შეიძლება დარჩეს ეკონომიურ გაფიცვათ, ის თანდათან იღებს პოლიტიკურ ხასიათს.

ბრიტანეთის პროლეტარიატმა პასუხი უნდა გასცეს კლასობრივ მტრებს; თუ ყველა სიმპტომები არ გვატყუებენ, **ბრიტანეთის პროლეტარიატი მზად არის ჩაებას ბრძოლაში. მუშათა მასები მზად არიან ბრძოლისათვის,** მაგრამ ნაწილი ბელადებისა მერყეობს ხოლო ნაწილმა უღალატა პროლეტარიატის საქმეს ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე.

კომუნისტური ინტერნაციონალი აცხადებს: ჩვენ მზად ვართ ყველა მუშათა ორგანიზაციებთან, როგორც მეორე, ისე ამსტერდამის ინტერნაციონალთან და სამთა-მადნო მუშების ინტერნაციონალთან ერთად ვაწარმოოთ ბრძოლა ბრიტანეთის სამთა-მადნო მუშების სამართლიან საქმისათვის.

ბრიტანეთის მუშათა პარტიის და ტრედიუნიონების „მემარცხენე" ბელადები ვერ დგანან თავის სიმაღლეზე—ისინი ვერ ბედავენ აიღონ ხელში ამ სერიოზული ბრძოლის ხელმძღვანელობა.

თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა „უმცირესობათა მოძრაობა" და ინგლისის კომპარტია. მათ მოუწოდეს მუშებს წინააღმდეგობისაკენ. მაგრამ მხოლოდ „უმცირესობათა მოძრაობა" და ინგლისის კომპარტია ვერ შესძლებენ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებას. გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლაში ჩაებმებიან ყველა ტრედ-უნიონები და მათი გენერალური საბჭო—ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესი.

ბრძოლაზე უარის თქმით და კომპრომისის დამპალ ნიადაგზე გადასვლით გენერალური საბჭო თავის თავზე უდიდეს ისტორიულ პასუხისმგებლობას იღებს.

მთელი ქვეყნის მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ ბრიტანეთის ნახშირის მეფეების იერიში ბრიტანეთის მუშის მინიმალურ ხელფასზე უდრის შეტევას მთელი ქვეყნის მუშათა კლასის მინიმალურ ხელფასზე. თუ დაიწყო დიდი ბრძოლა, პროლეტარიატმა მსოფლიო ყველა კუთხეში უნდა მოაწყოს ძლიერი გამოსვლები ბრიტანეთის სამთა-მადნო მუშებისათვის მხარის დასაჭერათ".

ამერიკის პროფკავშირების პოზიცია

ნიუ-იორკი, 29 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ ხელფასის დაკლება ევროპაში ზიანს მიაყენებს ამერიკის მუშებს, მაგრამ ამ პირთა სიტყვით, ამერიკის პროფმოძრაობის ორგანიზაცია ნებას არ აძლევს მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გამოსვლებში. მუშათა პარტიის კონსერვატიული პრესა ძალიან მცირე ყურადღებას აქცევს ინგლისის ნახშირის მრეწველობის კრიზისს. ბურჟუაზიული პრესაც აგრეთვე მცირეოდენ ინტერესს იჩენს ინგლისის ნახშირის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტისადმი. მხოლოდ მუშათა პარტიის პრესა ეწევა აგიტაციას ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის სასარგებლოდ და აღნიშნავს, რომ ინგლისის კრიზისს აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა.

მუშების განცხადება

ლონდონი, 29 აპრილი. მიუხედავათ იმისა, რომ 28 აპრილს მთელი დღე გრძელდებოდა მოლაპარაკება ბალდუინსა, სამთა-მადნო მუშებსა და ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს სამრეწველო კომიტეტს შორის, **კრიზისს მაინც მწვავე ხასიათი აქვს.**

დისკუსია გამოიწვია [illegible] კომისიის მიერ წამოყენებულმა წინადადებამ ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ მოლაპარაკება ერთ წერტილზე გაიყინა მაღაროების მეპატრონეთა ჯიუტობის გამო. უკანასკნელნი მოითხოვდენ სამუშაო დღის გადიდებას და ფორმალურად არ თანხმდებოდენ ხელფასის საკითხის მოწესრიგებაზე ინგლისის მასშტაბით.

სამთა-მადნო მუშების წარმომადგენლებმა ხელახლა განაცხადეს უარი ხელფასის შემცირებაზე და სამუშაო დღის გადიდებაზე და აღნიშნეს, რომ ამით მაინც არ იქნება აცილებული ნახშირის მრეწველობის კრიზისი. შემდეგ სამთა-მადნო მუშათა წარმომადგენლებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ისინი პასუხისმგებელი არ არიან ნახშირის მრეწველობაში შექმნილ სიძნელისათვის და სანამ არსებობს კაპიტალისტური წესწყობილება მაღაროების მეპატრონეები ვალდებული არიან გამონახონ საშუალება საჭირო ხელფასის უზრუნველსაყოფად.

დადის ხმები, რომ შესაძლებელია ლოკაუტის გადადება და მთავრობის მიერ დროებითი სუბსიდიების გაცემის გაგრძელება, რათა მოლაპარაკება არ იქნეს შეწყვეტილი. მაგრამ ავტორიტეტულ წრეებში ამაზე იმედებს არ ამყარებენ, თუ რაიმე შეთანხმება არ იქნა მიღწეული მაღაროების მეპატრონეებსა და სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის შორის.

პროფორგანოების დადგენილება

ლონდონი, 29 აპრილი. **სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ინგლისის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს კონფერენციამ და პროფკავშირთა აღმასკომის წარმომადგენლებმა დაადგინეს ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ სამთა-მადნო მუშებს.**

ვილჰელმის ტახტის გამოსყიდვის საკითხი

ბერლინი, 29 აპრილი. მას შემდეგ, რაც რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ შესწყვიტა საკომპრომისო პროექტის განხილვა ყოფილ სამეფო საგვარეულოს ქონების გამოსყიდვის შესახებ, პარლამენტის პარტიები, რომელნიც მხარს უჭერდენ ნაწილობრივ გამოსყიდვას, შეიკრიბნენ დღეს იმ მიზნით, რათა გამონახონ რაიმე საშუალება ამ საკითხის გარშემო მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

ეს მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა, რადგან ყველა პარტიები იცავდენ თავიანთ ძველ პირობებს.

დემოკრატები ძველებურად მოითხოვდენ ყოფილ სამეფო საგვარეულოს ქონების „საკმაოთ" ანაზღაურებას, და აცხადებდენ, რომ თუ მათი პროექტი იქნა უარყოფილი, ისინი მონაწილეობას მიიღებენ საყოველთაო კენჭის ყრაში, თუმცა წინააღმდეგ მისცემენ ხმას აუნაზღაურებელ კონფისკაციას.

შენიშვნა: რადგან საყოველთაო კენჭის ყრა ითვლება კანონიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 20 მილიონი კაცისა, ბურჟუაზიულმა პარტიებმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან. დემოკრატების მუქარა ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას.

სახალხო პარტიის ფრაქციამ გაილაშქრა, როგორც აუნაზღაურებელ კონფისკაციის (რომელსაც მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები), ისე დემოკრატების წინადადების წინააღმდეგ (უკანასკნელნი მოითხოვენ ყოფილ სამეფო საგვარეულოსათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურებას).

ცენტრის პარტიის ფრაქციამ გადასწყვიტა შეიტანოს რეიხსტაგში ახალი წინადადება, რომელიც თანახმად ყოფილ სამეფო საგვარეულოსა და გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის წამოჭრილი ქონებრივ-უფლებრივი ხასიათის საკითხები უნდა გადასჭრას განსაკუთრებულმა სასამართლომ. ყოფილ სამეფო საგვარეულოს კერძო საკუთრებად აღიარებულია, ისეთი ქონება, რომელიც შეძენილი იყო ყოფილ საგვარეულოს მიერ კერძო - უფლებრივი გზით.

შემდეგ სახალხო პარტიის პროექტში ნათქვამია, რომ ყოფილმა სამეფო საგვარეულომ უნდა გაიზიაროს ომში გერმანიის დამარცხების შედეგები ყველა მოქალაქეებთან თანასწორ პირობებში. იმ შემთხვევაში, როდესაც ყოფილი სამეფო საგვარეულო წარადგენს პრეტენზიებს ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ, იგი არ უნდა სარგებლობდეს რაიმე უპირატესობით. გარდა ამისა უნდა მოისპოს ყოველგვარი რენტა, რომელსაც უხდიდენ სამეფო საგვარეულოს მათი პრივილეგიური მდგომარეობის ძალით. ამ პროექტის განსახორციელებლად საჭიროა განსაკუთრებული კანონის გამოცემა.

შვების ზეიმი

(სამაისო).

სმენა!..
მარცხნით გადაქანდა
ეს პლანეტა,
ალის ფერი დროშა სდგას ზედ
ნათლის სვეტად,
და ირხევა!..
რა ძალაა,
მას რომ არხევს?!.
შრომის ჯარი!
ისტორია ასე არქმევს.
ასე არქმევს...
დროშას არხევს
მძლავრი ქარი...
დღეს ალღუმზე გამოსულა
შრომის ჯარი!
მსოფლიოში
ახე:
ჯერ არ დაუზერავს;
ის ჟანგს აცლის
და ყველაფერს
სისხლით ჰფერავს!..
არღვევს...
მაგრამ:
ამ დარღვეულს ახლად ჰკრავს:
გრდემლი გმინავს...
ზედ ჩაქუჩი
სჭედს და ჰკრავს!..
უცნაური ეს სამჭედლო,
აგი ქურა
უწინ:
ბევრჯერ თალხი ნისლით დაიბურა...
მაგრამ...
მძლავრი ქარი ამ ნისლს
სდარაჯობდა,
აწვებოდა!..
სხვა ამ სურათს
რაღა სჯობდა!..
და...
ჰა, ნისლი გადიყარა,
მზე კიაფებს!..
სამჭედლოში:
გრდემლზე კვერი ჰყრის ქიაფებს!..
და ლურჯ ცაში
ყინულილებათ იპნევიან...
იქ დროშებიც
ალის ფერად ირხევიან!..
ზეიმია!..
და დგანდგარებს ფილაქანი..
ჩამოდექი, მწარ წარს!
განი! განი!..
მოდის იგი!
მილიონი...
— უთვალავი!
გმირი მკერდი!
გმირი ქედი!
გმირი მკლავი!
უზორკილო,
უხუნდო და
უუღლო...
შვების შვილი...
— შრომის შვილი..
სასახელო!..
საბჭოები..
საკავშირო..
საქართველო..
ფიანდაზათ ხვდება წინ მათ
შრომის მდელო!..
და სიცოცხლე მონაკადებს,
ვით მთის წყარო...
ზეიმია!..
სხვა ზეიმი!..
სანეტარო!...

ჶ. ზომლეთელი.

ული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საგარანტიო ხელშეკრულება ლატვიასა და ესტონეთთან

რიგა, 29 აპრილი. რეველიდან დაბრუნდა ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველი **ალბატი**, რომელმაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მას ჰქონდა საუბარი ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პიპთან საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ალბატმა განაცხადა, რომ ლატვია და ესტონეთი ამ საკითხზე საერთო პასუხს გაუგზავნიან საბჭოთა კავშირს.

ფინეთ-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულება

ჰელსინგფორსი. 30 აპრილი. ფინეთის თის საგარეო საქმეთა მინისტრი პიიპი ჩამოვიდა იმ თათბირზე დასასწრებლად, რომელზედაც განხილულ იქნება საბჭოთა კავშირის წინადადება ფინეთთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

სეტტელის განცხადება

ჰელსინგფორსი, 30 აპრილი. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სეტტელმა უარჰყო ლონდონის გაზეთ „ფინანშელ ნიუზის“ და კოპენჰაგენის „ბერლინსკე ტიდენდე“-ს ცნობები, ვითომცდა ფინეთის მთავრობას ინგლისის ზეგავლენით განზრახული ჰქონდეს შესწყვიტოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

დროებითი მთავრობა

პეკინი, 29 აპრილი. პრესა იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს შორის მოხდა შეთანხმება დროებითი მთავრობის შედგენის შესახებ. დროებით მთავრობის შემადგენლობა ასეთია: **იენ-გუი-ჩანი** — პრემიერი, **ლი-ჩინ-ლინი** — საგარეო საქმეთა მინისტრი. კაბინეტის დანარჩენი წევრების უმრავლესობა უ-პეი-ფუს მომხრეებია.

პრესის ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ასე მაგალითად, იუწყებიან, რომ ვან-გუაი-ჩანი (უ-პეი-ფუს მომხრეა) დაიკავებს პეკინის გარნიზონის უფროსის თანამდებობასო, მაგრამ ამასთანავე ქვეყნდება მეორე ცნობა, რომ ვან-გუაი-ჩანი არ დაიკავებს ამ ადგილს, სანამ არ იქნება შედგენილი იენ-გუი-ჩინის კაბინეტი.

როგორც ჩანს, უ-პეი-ფუს მომხრეები გაცხოველებულ აგიტაციას ეწევიან.

ინგლისის პრესა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 29 აპრილი. ლიბერალური გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ აღნიშნავს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ნიშნავს გერმანიის ორიენტაციის განახლებას აღმოსავლეთზე, რასაც მხარს უჭერენ გერმანელი რეაქციონერები.

ლიბერალურ გაზეთ „მანჩესტერ გარდიენი“-ს აზრით საჭიროა გერმანიის სასწრაფოთ შეყვანა ერთა ლიგაში; „ეს არის მორალი, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულების დადების ფაქტიდან — სწერს გაზეთი“.

კონსერვატიულ „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის უდიდეს გამარჯვებას „მაგრამ — სწერს გაზეთი, ამ ხელშეკრულებამ აამღვრია ლოკარნოს წყალი“.

„დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი აყენებს კითხვას, განზრახული აქვთ თუ არა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას, გადასდგან რაიმე დიპლომატიური ნაბიჯები გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო.

შემდეგ კორესპონდენტი ილაშქრებს ზოგიერთ მოკავშირეების წინააღმდეგ, რომელნიც მოითხოვენ, რათა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არ იქნას გატარებული რეგისტრაციაში ლიგის სამდივნოს მიერ.

აჯანყება უ-პეი-ფუს წინააღმდეგ

პეკინი, 29 აპრილი. გავრცელებულ ხმების თანახმად ხუ-ნანის პროვინციაში სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა გენერალ — ტან-შან-ჩის ჯარებსა (რომელნიც აუჯანყდენ უ-პეი-ფუს) და უ-პეი-ფუს ჯარებს შორის.

უ-პე-ფუს ჯარები გადავიდენ შეტევაზე ტან-შან-ჩის წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს.

უ-პეი-ფუმ წინადადება მისცა ტან-შან-ჩის 24 საათში დასცალოს ჩჟან-შა, რაზედაც ტან-შან-ჩიმ უარი განაცხადა.

უ-პეი-ფუს ჯარები სამი მხრიდან უტევენ ტან-შან-ჩის რაზმებს და ამჟამად ბრძოლა სწარმოებს ქალაქიდან 20 ვერსის დაშორებით.

ფინ-იუი-სიანი მოსკოვში მიემგზავრება

ტროიცკოსავსკი. 29 აპრილი. 28 აპრილს ჩამოვიდა ჩინეთის მარშალი ფინ-იუი-სიანი, რომელიც მოსკოვში მიემგზავრება.

გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების შემდეგ

ვანდერველდეს განცხადება

ბერლინი, 29 აპრილი. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ, როცა სენატში ირჩეოდა ბელგიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი, ვანდერველდემ განაცხადა:

„გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადება დაუყოვნებლივ ერთა ლიგის უკანასკნელი სესიის შემდეგ, აუცილებლად შიშს და უნდობლობას ბადებს. შეიძლება მწუხარება გამოვსთქვათ, რომ კვლავ ვუბრუნდებით ახალი ჯგუფების, კავშირების და ძალთა წონასწორობის შექმნის პოლიტიკას, რადგან ამით ჩვენ უბრუნდებით არა სახარბიელო ომის წინანდელ მდგომარეობას. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ რამდენადაც გერმანიის ხელშეკრულება არ შეიცავს არავითარ სხვა ვალდებულებას, გარდა იმისა, რაც გამოქვეყნდა, — აქ არაფერი ისეთი არ არის, რაც ეწინააღმდეგება ლოკარნოს შეთანხმებას და [illegible] სულს. გერმანიის შუამდგომლობა ერთა ლიგაში შესვლის შესახებ ძალაში რჩება“.

ვანდერველდემ იმედი გამოსთქვა, რომ დაბრკოლებები, რომელიც ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაზე წარმოიშვა, ახლო მომავალში დაძლეულ იქნება.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის გრანდის განცხადება

რომი, 29 აპრილი. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრანდიმ ჟურნალისტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ აქვს უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო ცხოვრებაში.

„ეს ხელშეკრულება — განაცხადა მინისტრმა, უშუალოთ ჩვენს წინააღმდეგ არ არის მიმართული და ამიტომ იტალია მხოლოდ მეთვალყურის პოზიციას დაიჭერს.“

იტალიის პრესა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ

რომი, 29 აპრილი. მძიმე ინდუსტრიის ორგანო „**მესაჯერი**“ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება უსათუოთ გამოიწვევს გერმანიის გაძლიერებას. **ხელშეკრულება წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის ხელოვნური იზოლიაციის შედეგს. ევროპამ უნდა გაითვალისწინოს ისეთივე წინდახედულება, როგორც მუსოლინიმ და კომერციული ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან.**

მუსოლინისთან ახლოს მდგომი „**პოპოლო და იტალია**“ სწერს: ხელშეკრულების შედეგი იქნება ჯერ ერთი ის გარემოება, რომ გერმანია გასწევს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას ერთა ლიგაში, რადგან საბჭოთა კავშირი თავისი სურვილით რჩება ლიგის გარეშე და მეორე, გერმანია იბრძოლებს საბჭოთა მთავრობისადმი მტრული ტენდენციების წინააღმდეგ.

იტალიის სოციალისტ-მაქსიმალისტების პარტიის ორგანო „ავანტი“ ფიქრობს, რომ ხელშეკრულება ეთანხმება პაციფიზმის პრინციპებს.

პირველი მაისის წინ

გერმანიაში

ბერლინი, 30 აპრილი. გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებამ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროვინციალურ ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უარჰყვეს კომპარტიის წინადადება პირველი მაისის დემონსტრაციების ერთად გამართვის შესახებ.

მიუხედავათ ამისა, წელს გაერთიანებულ დემონსტრაციების რიცხვი უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა წლებში.

ჩინეთში

პეკინი, 29 აპრილი. იმ ტერიტორიაზე, სადაც უ-პეი-ფუს და ჩჟან-ძო-ლინის ძალაუფლება ვრცელდება აკრძალულია 1 მაისის დღესასწაული. ჩინეთის ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის.

კომინტერნში

კომინტერნის აღმასკომის მუშაობის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 30 აპრილი. გაზ. „პრავდა“-ში მოთავსებულია შემდეგი რეზოლიუცია კომინტერნის აღმასკომის მუშაობის რეორგანიზაციის საკითხზე.

„კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მუშაობას უნდა მიეცეს უფრო გეგმაშეწონილი ხასიათი. კომინტერნის უძლიერესმა სექციებმა უფრო მეტი უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კომინტერნს, ვინემ ეს იყო აქამდის. აღმასკომის მუშაობის ასეთი რეორგანიზაცია, რომელსაც აქვს არა მარტო ორგანიზაციული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც, აუცილებლად საჭიროა შემდეგი მიზეზების გამო:

აღმასკომი უფრო მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს სექციებს.

სექციებმა გაცილებით უფრო ინტენსიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ინტერნაციონალურ საკითხების გადაჭრაში, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივაღწიოთ კომუნისტური პარტიების უფრო სწრაფ და ნორმალურ განვითარებას.

ყველა სექციების გაძლიერებული ჩაბმა კომინტერნის ხელმძღვანელობის საქმეში წარმოადგენს წინასწარ პირობას პარტიების მიერ საჭირო გამოცდილების შესაძენათ, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ხელმძღვანელობა გაუწიონ რევოლიუციონურ მოძრაობას თავიანთ ქვეყნებში.

ყველა სექციების აქტიური თანამშრომლობა აღმასკომის მუშაობაში, როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალური მასშტაბით ხელს შეუწყობს ხელმძღვანელ პარტიულ კადრების შერჩევას. ის განავითარებს და განამტკიცებს პარტიის და მის ხელმძღვანელ მუშაკების ინიციატივას. ის გაუადვილებს პარტიულ მასებს კომუნისტური ინტერნაციონალის პრობლემათა გაგებას. ყველა სექციების უფრო აქტიური და ინტენსიური თანამშრომლობა აღმასკომის მუშაობაში გააძლიერებს უპარტიო მასების ლტოლვას კომუნისტური პარტიებისადმი.

ამ მხრივ მუშაობა გაფართოებულ უნდა იქნეს ეხლავე, რადგან მნიშვნელოვან ქვეყნებში უკვე არსებობენ მტკიცე კომუნისტური პარტიები, რომელთაც აქვთ 6—7 წლის გამოცდილება და შინაგანი სიმტკიცე.

ამ მოსაზრებების მიხედვით აღმასკომის გაფართოებული პლენუმი იწონებს ინიციატივას საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობას, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

„ყრილობა ავალებს საკავშირო კომპარტიის დელეგაციას გააძლიეროს კომინტერნის აპარატი, გაატაროს უცხოეთის კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდის ხაზი.

გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს, რომ ეს ინიციატივა სავსებით ეთანხმება კომინტერნის უწინდელ დადგენილებათა ხაზს.

თავის-თავად ცხადია, რომ კომინტერნი, როგორც იყო აქამდის, უნდა დარჩეს გაერთიანებულ მსოფლიო პარტიათ. მიუხედავათ ამისა პარტიები უმთავრესად უნდა ეყრდნობოდენ საკუთარ ძალებზე. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას კომინტერნის სექციების ხელმძღვანელ ორგანოების შერჩევის შესახებ.

ამ რეორგანიზაციის განსახორციელებლად კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი ავალებს კომინტერნის უმნიშვნელოვანეს სექციებს, სახელდობრ: გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხიის და იტალიის სექციებს გამოჰყონ ორ-ორი წარმომადგენელი, დანარჩენმა დიდმა პარტიებმა კი — თითო წარმომადგენელი, რომლებიც გაფართოებული პლენუმის შემდეგ ნახევარი წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ კომინტერნის აღმასკომის მუშაობაში.

გაფართოებული პლენუმი ავალებს კომინტერნის აღმასკომს აუცილებლად და დაუყოვნებლივ გაატაროს ცხოვრებაში ეს ღონისძიებები.

რათა შესაძლებელი გახდეს ამ რეორგანიზაციის გატარება პლენუმი კომინტერნის აღმასკომს ავალებს პლენუმის შემდეგ პირველსავე სხდომაზე ახლად აირჩიოს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი, საორგანიზაციო ბიურო, სამდივნო, და აგრეთვე საბიუჯეტო კომისია.

გაფართოებული პლენუმი ავალებს კომინტერნის აღმასკომს მომავალში მისცეს თავის მუშაობას უფრო გეგმაშეწონილი და სისტემატიური ხასიათი.

ამასთან დაკავშირებით გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს, რომ სწორია ის პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედო კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს მიერ გამომუშავებულ პროექტს აღმასკომის მუშაობის რეორგანიზაციის შესახებ. რეგულიარულათ თვეში ერთხელ უნდა იქნას მოწვეული აღმასკომის სხდომები და ამ სხდომებზე უნდა იქნან მიზიდულნი მოსკოვში მყოფი აღმასკომის წევრები. მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრინციპიალურ საკითხების გადასაჭრელად 3 თვეში ერთხელ უნდა იქნას მოწვეული კომინტერნის აღმასკომის პლენარული სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა უნდა მიიღონ კომინტერნის აღმასკომის ყველა წევრებმა.

კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმის სხდომა აგრეთვე რეგულიარულად უნდა იქნას მოწვეული. კომინტერნის აღმასკომის სამდივნო უნდა იქნას გაფართოებული და მას საფუძლად უნდა დაედოს სექციების სამდივნოები.

კომინტერნის მოქმედება უნდა იქნას დამყარებული მუშაობის განსაზღვრულ გეგმაზე. კომინტერნის სექციებმა ყოველ სამ თვეში უნდა წარუდგინონ კომინტერნის აღმასკომს მოხსენებანი თავიანთ მოქმედების და მუშაობის გეგმის შესახებ. კომინტერნის აღმასკომმა აგრეთვე რეგულიარულად უნდა განიხილოს კომინტერნის დამხმარე ორგანიზაციების და აღმასკომის განყოფილებათა მუშაობის გეგმები.

კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო ბიურომ გეგმაშეწონილად უნდა განიხილოს არა მარტო პარტიების სტრუქტურა, არამედ მთელი მათი საორგანიზაციო მოღვაწეობა და აგრეთვე სექციებში პრესის და პარტიული ლიტერატურის გავრცელების საქმის დაყენება. კომინტერნის აღმასკომმა ზედმიწევნით უნდა განიხილოს პარტიების მოქმედების პროგრამები.

აღმოსავლეთის ქვეყნების პრობლემებს, რომელთაც აქვთ უდიდესი მნიშვნელობა, უნდა მიექცეს მომავალში უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე დღემდე.

გაფართოებული აღმასკომი იწონებს კომინტერნის აღმასკომის ღონისძიებებს საერთაშორისო ლენინურ კურსების მოწყობის დარგში და ავალებს პარტიებს გაატარონ პრეზიდიუმის მიერ გამომუშავებული დირექტივები.

კომინტერნის აღმასკომის მუშაობის საერთო გეგმის გამომუშავების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კომინტერნის მსოფლიო მორიგ კონგრესის მოწვევას. აღმასკომის გაფართოებულმა პლენუმმა სასურველად სცნო, რათა მეექვსე მსოფლიო კონგრესი მოწვეული იქნას 1927 წ. თებერვალ-მარტში და ავალებს კომინტერნის აღმასკომს საბოლოოდ გამოარკვიოს კონგრესის მოწვევის ვადა.

კონგრესი ზედმიწევნით უნდა იქნას მომზადებული აღმასკომის მიერ. კონგრესის დღის წესრიგი, რა თქმა უნდა, საბოლოოდ იქნას განსაზღვრული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა შევკრიბოთ და შევისწავლოთ მასალები პროფკავშირთა, გლეხთა და ეროვნულ საკითხების შესახებ. შემდეგ, თავის დროზე იგი უნდა გადაეცეს განსახილველად სექციებს.

კომინტერნის აღმასკომმა უნდა განიხილოს საკითხი კომინტერნის პროგრამის შესახებ მეექვსე კონგრესზე. ამ მიზნით კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი ავალებს კომინტერნის აღმასკომს შეადგინოს მუდმივი ავტორიტეტული კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სხვადასხვა სექციებში გამართულ დისკუსიას კომინტერნის პროგრამის პროექტის შესახებ.

ამგვარად განმტკიცებული აღმაკომის აპარატი შესაძლებლად გახდის ინტენსიურ კონტროლს კომინტერნის დადგენილებათა განხორციელებაზე.

კომინტერნის აღმასკომმა და კომინტერნის სექციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა დაბალი საფეხურის უჯრედებმა და პარტიების კომიტეტებმა გამოიმუშაონ ანგარიშების წარმოდგენის სისტემა. მხოლოდ ინტენსიურ კავშირის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დადგენილებათა გატარების მიმართ კონტროლის ბოლშევიკური პრინციპის განხორციელება.

აღმასკომის პლენუმი ავალებს კომინტერნის აღმასკომს თვალყური ადევნოს მსოფლიო კონგრესის და განსაკუთრებით მეხუთე კონგრესის დადგენილებათა და აგრეთვე გაფართოებულ პლენუმების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ასეთი კონტროლის ობიექტს წარმოადგენს: საერთაშორისო კამპანიების ჩატარება, პარტიის წევრთა ბოლშევიკური აღზრდა, პარტიის რეორგანიზაციის გატარება, პარტმუშაკების ახალი კადრების მომზადება, შინა-პარტიული ცხოვრების ნორმალიზაციის განხორციელება, იმ დადგენილების შესრულება, რომელიც შეეხება პარტიის წევრთა შესვლას პროფკავშირებში, ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გატარება და სხვა.

პარტიულ ყრილობებზე სექციებმა უნდა გააკეთონ მოხსენებანი აღმასკომის მოქმედების შესახებ.

კომინტერნის აღმასკომს ევალება სისტემატიურად განახორციელოს ეს კონტროლი“.

სხვადასხვა

— **კალკუტა**. კალკუტაში უკანასკნელი დღის განმავლობაში მოკლულია 14 და დაჭრილია 50 კაცი.

პოლიციამ მხოლოდ ტყვიისმფრქვეველებით შესძლო წესრიგის აღდგენა ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის.

— **ბრძოლა სუეიდისათვის**. ბეირუთიდან მიღებული ცნობით, ფრანგების ჯარების 11 ბათალიონი უტევდა სუეიდს, რომელსაც 6000 დრუზი იცავდა. ფრანგებმა დაჰკარგეს 80 მოკლული და 270 დაჭრილი.

— **ვენა ულუდოთ**. ვენა ულუდოთ დარჩა. რესტორანების მეპატრონეებმა გაერთიანებული ბოიკოტი გამოაცხადეს ლუდის ფასების წინააღმდეგ, რომელიც მელუდეებმა დააწესეს.

— **საფრანგეთის ბიუჯეტი**. დეპუტატთა პალატამ საბოლოოდ მიიღო ბიუჯეტი 393 ხმის უმრავლესობით 151-ს წინააღმდეგ.

— „**ცოცხალი ეკლესიის**“ **მომხრეები**. ბრძოლა, რომელიც 2 წლის განმავლობაში სწარმოებდა „ცოცხალი ეკლესიის“ და ტიხონის მომხრეებს შორის ნიუ-იორკის საეკლესიო ქონების დაპატრონებისათვის, „ცოცხალი ეკლესიის“ მომხრეთა გამარჯვებით დამთავრდა.

ნიუ-იორკის შტატის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შენობა ნიუ-იორკში ცოცხალი ეკლესიის წარმომადგენელს ეპისკოპოს კედროვსკის ეკუთვნის.

— **რეფერენდუმი** — საყოველთაო კენჭის ყრა ყოფილ სამეფო საგვარეულოს ქონების ექსპროპრიაციის შესახებ მოხდება, ალბათ, 30 მაისს.

— **ახალი საიმიგრაციო კანონი** — ამერიკის ახალი საიმიგრაციო კანონის მიხედვით, ამერიკაში შესვლა ეკრძალებათ იმ უცხოელებს, რომელნიც ციხეში იჯდენ ერთ წელიწადზე მეტი.

— **ქარიშხალი პოლონეთში** — ვარშავიდან მიღებულ ცნობების თანახმად პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გადაიარა ქარიშხალმა, რომელმაც გაანადგურა ბევრი ფერმები.

რა ხდება უცხოეთში

წყალში გადაყრილი 10 მილიარდი დოლარი

„ბოროტმოქმედებები შეერთებულ შტატებს ყოველწლიურათ 10 მილიარდი დოლარი უჯდება“, — ასეთი სენსაციური სათაურით დაიბეჭდა ამერიკის დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანოში „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ში წერილი, რომლის სათაურს ზევით დახატული იყო საშინლათ დამფრთხალი „იანკი“ (ამერიკელი), რომელიც დოლარებით სავსე ტომარს აწვდიდა რევოლვერ ამოწვდილ ნიღაბიან ყაჩაღს.

გაზეთი განგაშს სტეხს ამერიკაში ყაჩაღობის და ბოროტმოქმედებათა გავრცელების გამო. ეს განგაში არ არის საფუძველს მოკლებული. საკმაოა თუ ვიტყვით, რომ 10 მილიარდი დოლარი (20 მილიარდი მანეთი) 3-ჯერ სჭარბობს შეერთებული შტატების 1925 წ. სახელმწიფო ბიუჯ. და 20-ჯერ სჭარბობს შეერთებულ შტატების ყველა ხარჯებს შეიარაღებაზე, ეს თანხა დაახლოებით უდრის იმ ვალების ჯამს, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებს მართებსთ შეერთებული შტატების.

საიდან სდგება ეს ნაყაჩაღევი 20 მილიარდი მანეთი?

მისი დიდი ნაწილი მოდის სხვადასხვა გაიძვერულ საშუალებებზე სპეკულიაციაზე და უმთავრესად მექრთამეობაზე. მხოლოდ ცნობილმა „ნავთის საქმემ“ რომელშიც სახელმწიფოს მრავალი მაღალი თანამდებობის პირნი აღმოჩნდენ გარეული, შთანთქა 2 მილიარდი დოლარი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მსხვილი გაიძვერები და სპეკულიანტები იშვიათად ხვდებიან საბრალმდებლო სკამზე, ვინაიდან ძნელი ხდება მათი მიცემა პასუხისგებაში.

2 მილიარდს უნდა მიემატოს 500 მილიონი, რომელსაც იტაცებენ წყლის და ხმელეთის ტრანსპორტზე და ნავთსადგურებში მომუშავე აფერისტები

გაფლანგვას ყოველწლიურად მიაქვს 150 მილიონი დოლარი; ყალბი ჩეკებით გააქვთ 200 მილიონი დოლარი, გაკოტრება წინასწარი განზრახვით იწირავს 400 მილიონ დოლარს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტა:

სახელმწიფოს ყველა კუთხეებში არსებობენ სპეციალური საბითუმო და საწვრილმანო წარმოებები, რომლებიც, მხოლოდ და მხოლოდ ნაქურდალით ვაჭრობენ, სწევენ ფასებს საქონელზე და აკოტრებენ მრავალ კერძო ვაჭრებს. თუ რამდენს ზარალობს სახელმწიფო ამგვარ ბოროტმოქმედებათა წყალობით, შეუძლებელია ციფრებით გამოხატვა ასევე შეუძლებელია გამორკვევა იმ თანხის, რომელიც ყოველწლიურად იხარჯება შეერთებულ შტატებში პოლიტიკურ და სახელმწიფო. მოღვაწეების მოსასყიდავად.

მარტო ნიუ-იორკსა და მის მიდამოებში, სადაც 10 მილიონი მცხოვრებია, პოლიციელთა რიცხვი 50.000-დი აღწევს. ყველა შტატებში კი პოლიციელთა რიცხვი 400.000 აღემატება.

ყველაფერ ამას წლიურად 4 მილიარდი დოლარი ესაჭიროება. მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა იმ მოწყობილობათა ღირებულებაც, რომელთა შემოღება აუცილებელი, გახადა ბოროტმოქმედებათა ტეხნიკის გაუმჯობესებამ: განსაკუთრებული შკაფები, სეიფები, ბოქლომები და სხვ. შეერთებულ შტატებში გარდა 152 სახელმწიფო ციხისა, რომელთა „მოსახლეობა“ უდრის 75-100 ათას კაცს, არის კიდევ 3700 სხვა საპატიმრო, 200.000 „მცხოვრებით“. ამ „მოსახლეობის“ გამოკვებაც ღირს რამე.

საერთოდ გამოდის, რომ ბოროტმოქმედებები შეერთებულ შტატებს წლიურათ 10 მილიარდი დოლარი უჯდება.

ამით თავდება „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის ანგარიშები. ამ ხარჯებთან ბრძოლის საშუალებებზე გაზეთი არ მიუთითებს. ადვილი შესაძლებელია, რომ ბოროტმოქმედებათა რაოდენობა განზრახ გაზვიადებულია კონსერვატიული გაზეთის მიერ, რათა მთავრობამ გაადიდოს ხარჯები პოლიციაზე.

მაგრამ ეს ციფრები მაინც მოწმობენ, თუ როგორი გახრწნის პროცესი დაწყებული შეერთებულ შტატებში — ამ „დემოკრატიულ სამოთხეში“.

ლენინის საპირველმაისო მოწოდება 1895 წელს

დროა, რომ რუსის მუშებმა მონობის ბორკილები დალეწოს

ამხანაგებო, ყურადღებით განვიხილოთ ჩვენი მდგომარეობა: გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელშიც ვცხოვრობთ. რას ვხედავთ? ჩვენ ბევრს ვმუშაობთ, უამრავ სიმდიდრეს ვქმნით, ოქროსა და ქსოვილებს, ატლასსა და ხავერდს, მიწის წიაღიდან რკინა და ქვა-ნახშირი ამოგვაქვს, მანქანებს ვაშენებთ. მთელი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელებით არის შექმნილი, ჩვენი ოფლითა და სისხლით არის გაჟღენთილი. მაგრამ რა სანაზღაუროს ვღებულობთ ჩვენი საკატორღო შრომისთვის? სამართლით ჩვენ საუკეთესო ბინებში უნდა გვეცხოვრა, საუკეთესო ტანისამოსი უნდა გვცმოდა, ყოველ შემთხვევაში, დღიური პური არ უნდა დაგვკლებოდა. მაგრამ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენი ხელფასი ბეჩავი ცხოვრებისათვისაც არ კმარა. ჩვენი ბატონები ამცირებენ სამუშაო ქირას, გვაიძულებენ ზედმეტი საათები ვიმუშაოთ, უსამართლოთ გვაჯარიმებენ, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ გვჩაგრავენ და თუ უკმაყოფილება განვაცხადეთ, მოურიდებლად გარეთ გვაგდებენ.

ხშირათ დავინახეთ, რომ ყველანი, ვისაც მფარველობისთვის მივმართეთ, ბატონების ლაქიები და დამქაშები ყოფილან. ჩვენ, მუშებს, სიბნელეში გვამყოფებენ, განათლებას გვიკრძალავენ, რათა იმედი არ ვიქონიოთ, რომ ბრძოლით ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას შევსძლებთ. შებოჭილნი ვართ, სამუშაოდან გვერეკებიან, გვიჭერენ და გვაძევებენ ყველას, ვინც ჩაგვრას ვეწინააღმდეგებით, ბრძოლის საშუალებას გვისპობენ. სიბნელე და მონობა, აი ის საშუალებანი, რომლითაც კაპიტალისტები და მათი მფარველი მთავრობა გვბორკავს.

მაგრამ რა საშუალება გვაქვს, რომ ჩვენი მდგომარეობა გამოვაკეთოთ, სამუშაო ქირა ავსწიოთ, სამუშაო დღე შევამციროთ, შეურაცხყოფა ავიცილოთ, გონიერი წიგნები ვიკითხოთ? ყველანი ჩვენს წინააღმდეგ არიან: როგორც ბატონები, რომელნიც მით უკეთ ცხოვრობენ, რამდენადაც ჩვენ უარეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, ისე ყველა მათი ლაქიები, რომელნიც კაპიტალისტების ნამცეცებით ცხოვრობენ და ჩვენ უმეცრებას და მონობაში გვამყოფებენ. ჩვენ არავისგან არ უნდა ველოდეთ შველას, მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დავეყრდნოთ. ჩვენი ძალა ერთობაშია, ჩვენი იარაღია მტკიცე, ერთსულოვანი და შეუდრეკელი წინააღმდეგობა ბატონების წინააღმდეგ. თვით მათ კარგა ხანია გაიგეს, რაში მდგომარეობს ჩვენი ძალა და ყოველი ძალღონით სცდილობენ გაგვთიშონ და საქმე ისე მოაწყონ, რომ ჩვენ ვერ გავიგოთ, რომ მუშებს საერთო ინტერესები აქვთ. ისინი გვიმცირებენ ხელფასს, მაგრამ ყველას ერთად კი არა, არამედ ცალ-ცალკე. [illegible] შემოაქვთ ნაჭრობლივი ხელფასი და თვითნებურად ამცირებენ განაკვეთს, ამასთანავე ეშმაკურად იცინიან, როცა ხედავენ, როგორ ეცლება არაქათი რომელიმე ჩვენგანს მუშაობის დროს.

მაგრამ მოთმინებას დასასრული აქვს. გასულ წელს რუსის მუშებმა თავიანთ ბატონებს უჩვენეს, რომ მონური სიმდაბლე მათში ადგილს უთმობს ადამიანურ ვაჟკაცობას, რომელსაც არ უნდა თავი შესწიროს ხარბი კაპიტალისტების თავხედ და ურცხვ გაუმაძღრობას. სხვადასხვა ქალაქებში გაფიცვები მოხდა: იაროსლავსა, ივანოვო-ვოზნესენსკსა, ბელოსტოკსა, ვილნოსა, მინკსა, კიევსა, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ამ გაფიცვების უმრავლესობა მუშებისთვის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ თვით უშედეგო გაფიცვებიც მხოლოდ ერთი შეხედვით არის უშედეგო. მართლაც ეს გაფიცვები ბატონებს საშინლად აშფოთებენ, დიდ ზარალს აყენებენ და აიძულებენ ახალი გაფიცვების შიშით დათმობის გზას დაადგენ.

საქარხნო ინსპექტორებიც საქმიანობას იწყებენ და უკვე დვირეს ამჩნევენ ქარხნების თვალებში. ისინი ჩვეულებრივ ბრმები არიან, სანამ მუშები, გაფიცვის შემწეობით, თვალებს არ აუხელენ. როგორ შეუძლიათ საქარხნო ინსპექტორებს უწესოება შეამჩნიონ ისეთ გავლენიანი ადამიანების ფაბრიკაში, როგორიც ბატონ ტორტონი ან პუტილოვის წარმოების აქციონერებია? ჩვენც ამ ვაჟბატონებს საქმე გავურთულეთ პეტერბურგში. ფეიქრების გაფიცვამ ტორტონის ქარხანაში მეპაპიროსე ქალების გაფიცვამ ლაფერმის ფაბრიკაში, მუშების მღელვარებამ ლებედევის, მექანიკური ფეხსაცმელების, კოენიგის, ვორონინის წარმოებაში და ნავთსადგურში დაამტკიცა, რომ ჩვენ უსიტყვოთ მონები აღარ ვართ, რომ ჩვენ ბრძოლის ცეცხლში გადავარდით.

როგორც ცნობილია მრავალ ქარხანასა და ფაბრიკაში მუშებმა დაარსეს **„ბრძოლის კავშირი მუშათა კლასის განთავისუფლებლად“**, რათა ყოველი ბოროტება გამოააშკარავონ, უწესოება ამოფხვრან, ჩვენი უსინიდისო ექსპლოატატორების ურცხვ ძალმომრეობას შეებრძოლონ და მათი ბატონობა სავსებით მოისპონ. კავშირი ავრცელებს პროკლამაციებს, რომლის დანახვაზე ბატონებისა და მათი ლაქიების გული იკუმშება. მათთვის საშიშია არა პროკლამაციები, არამედ ჩვენი ორგანიზაციული წინააღმდეგობის შესაძლებლობა, ჩვენი უძლეველი ძალღონის გამოაშკარავება, რაიცა მათთვის არა ერთხელ გვიჩვენებია.

ჩვენ, პეტერბურგის მუშები და კავშირის წევრები ყველა დანარჩენ ამხანაგებს მოვუწოდებთ, მიემხრონ ჩვენს კავშირს და ხელი შეუწყონ მუშათა კლასის გაერთიანებას თავიანთი ინტერესებისთვის საბრძოლველად. დროა, რომ ჩვენც, რუსეთის მუშებმა დავლეწოთ ბორკილები, რომლითაც კაპიტალისტებმა და მთავრობამ შეგვბოჭეს, რათა მორჩილებაში გვიყოლიონ; დროა, რომ ჩვენც ჩვენი ძმების ბრძოლას მივემხროთ, სხვა სახელმწიფოების მუშებს, რომ ჩვენც იმ საერთო დროშას გავყვეთ, რომელსაც აწერია: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საფრანგეთსა, ინგლისსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც მუშებმა უკვე ძლიერი კავშირები შეჰკრეს და მრავალი უფლება მოიპოვეს, ისინი 19 აპრილს (ეს არის პირველი მაისი უცხოეთში) შრომის საყოველთაო უქმეს დღესასწაულობენ.

ისინი გამოდიან მყრალი ქარხნებიდან, მჭიდროთ ირაზმებიან და მუსიკითა და დროშებით მთავარ ქუჩებში დადიან: ამრიგად, ბატონებს თავიანთი ძლიერების ზრდას აჩვენებენ, მრავალრიცხოვან კრებებს მართავენ, სიტყვებს ლაპარაკობენ, რომელშიც წარსული წლის გამარჯვებებს ხატავენ და მომავალი ბრძოლის გეგმებს სჭედენ.

გაფიცვის შიშით არც ერთი მრეწველი არ დააჯარიმებს იმ მუშებს, რომელნიც ამ დღეს სამუშაოდ არ გამოცხადდებიან. ამ დღეს მუშები ბატონებს თავიანთ მთავარ მოთხოვნილებას გაახსენებენ: ესაა, 8 საათის მუშაობა, 8 საათის ძილი, 8 საათის დასვენება. ესაა, რასაც სხვა სახელმწიფოების მუშები მოითხოვენ. იყო დრო, ის არც ისე შორს არის, როცა არც მათ ჰქონდათ თავიანთი მოთხოვნილების განცხადების უფლება, როცა ისინიც ისე დაბეჩავებულნი და გათიშულნი იყვნენ, როგორც ჩვენ, მაგრამ ჯიუტი ბრძოლითა და მძიმე მსხვერპლით მათ უფლება მოიპოვეს, მუშათა საქმე საერთო ძალღონით გამოიკვლიონ.

ვუსურვებთ ჩვენს უცხოელ ძმებს, რომ მათი ბრძოლა ჩქარა დამთავრდეს სასურველი გამარჯვებით, როცა არც ბატონები იქნებიან და არც მონები, არც კაპიტალისტები, და არც მუშები, როცა ყველანი ერთნაირად იმუშავებენ და ერთნაირად დასტკბებიან გონიერი ცხოვრებით.

ამხანაგებო, თუ ჩვენ დარაზმულად და ერთსულოვნად ვიმოქმედებთ, ის დრო შორს აღარ იქნება, როცა ჩვენც მჭიდრო შეკავშირებით და აშკარად გვერდში ამოუდგებით სხვა ქვეყნების მუშებს, რომელნიც რწმენისა და რასის გაურჩევლად საერთო ბრძოლას აწარმოებენ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების წინააღმდეგ.

და ჩვენი ძარღვიანი ხელები აღიმართებიან და მონობის სამარცხვინო ბორკილები დაიმსხვრევიან; რუსეთის მიწა-წყალზე მუშათა ხალხი აღსდგება, ხოლო კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის დანარჩენი მტრების გული შეშფოთდება.

ნ. ლენინი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 აპრილი. საკავშირო ა. ლ. კომკავშირის ცეკამ კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს დაუგზავნა წერილი, რომელშიაც მოითხოვს ბრძოლას ლოთობის წინააღმდეგ ახალგაზრდებს შორის.

კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ ლოთობა აფერხებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას, იწვევს გაფლანგვას, ძირს უთხრის სახალხო მეურნეობას და სცემს სათანადო ორგანიზაციების ავტორიტეტს მუშათა მასების და გლეხების თვალში.

ფეიქართა საპირველმაისო სალამი

მოსკოვი, 30 აპრილი. ფეიქართა კავშირმა პირველი მაისის დღესასწაულის გამო მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამერიკის, ჩინეთის და ინდოეთის ფეიქრებს.

მომჭირნეობის რეჟიმი

მოსკოვი, 30 აპრილი. საკავშირო ფინსახკომმა საფინანსო კონტროლის ხაზით წინადადება მისცა ადგილებს გაძლიერებით თვალყური ადევნონ მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის და მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინის ჩატარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას პარაზიტიულ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებების წინააღმდეგ.

ამასთანავე საფინანსო კონტროლის ორგანოები სასტიკად უნდა ებრძოდენ საშუალებების უყაირათოდ ხარჯვას, გადამეტებულ ხელფასის მიცემას თანამშრომლებისათვის, შტატების თვითნებურად გადიდებას, ძვირად ღირებულ ინვენტარის შეძენას და სხ. საფინანსო კონტროლის ორგანოების ბრძოლა მომჭირნეობის ეკონომიისათვის არ მივიდეს დაწვრილმანებამდე. ზეგავლენის მოხდენის საუკეთესო საშუალებად ფინსახკომი სთვლის სახელმწიფო თანხების უთავბოლოდ და უყაირათოდ დახარჯვის შესახებ — შემოწმებული ფაქტების გამოქვეყნებას პრესაში.

სალამი პირველ მაისს

შენ შეარყიე მყინვარი მთები,
ცეცხლით დაადნე მკაცრი ზამთარი,
ახალი ხანის შეისხი ფრთები
გადაირბინე სწრაფად მთა-ბარი.

ვერ გაკავებდა კლდე, ნიაღვარი,
სხივებს ფანტავდი დაბურულ ნისლში,
წითელსა დროშას არხევდა ქარი
მშრომელთა ნავი სცურავდა სისხლში.

[illegible] ძველი ქვეყანა,
რაც მტარვალების ცეცხლით ჰქუხდა,
წითლად დახატე ახალი ხანა,
სიმართლის წყარო ამოჩუხჩუხდა.

მაგრამ არ ძალმიძს ჩემი კალამი,
რომ მაინც წუთით არ ავტირო:
ძველ მებრძოლებს მსურს ვუძღვნა სალამი,
მსურს მოვიგონო ბრძოლა [illegible].

მთა-წმინდავ, მხოლოდ შენ ხარ მოწმე,
მებრძოლთა სისხლი მტკვარს რომ ერთოდა,
ბოროტ სულების ბნელეთის ღამე,
ტანჯვისა ბადით გადაგვეხლართოდა.

მახსოვს, „ერევნის“ მე მოედანი
შავი სურათი გულშემზარი,
ჯალათის ხელით მხეცურად მკვდარი..
არ მავიწყდება მე გლოვის ზარი:
შემოდებოდა მოედანს ალი,
თოფის პირები ტყვიებსა ჰყრიდა,
და გალესილი ჯალათის ხმალი,
შრომით დაქანცულთ თავებსა სჭრიდა.

ნაძალადევი დაგვიჯდა ძვირად,
მოგონებანი მიშფოთებს სულსა,
ერთად სიკვდილი რომ ერგოთ წილად
ცხრა [illegible] თავ-განწირულთ.

მაგრამ, გავიდა, კალამო, წუთი,
შემოიკრიბე სიმხნე, ხალისი
და ცეცხლში დაწვი წამების ყუთი;
წითლად ფრთებსა შლის ჩვენი მაისი.

სალამი შენდა მშრომელთა მაისო,
ტრფობით გიკოცნი მე წითელ ტუჩებს,
შენი ზეიმით ჩვენ დავამშვენებთ
შრომის შვილებში თბილისის ქუჩებს.

გასწი, ვით ქარი, ნუ შეჩერდები,
გაძლიერდი ახალო ყლორტო,
გვერდით თან მოგდევს თავის მაშველით
შეერთებული მშრომელთა ფრონტი.

მუშა **ვ. სალუქვაძე.**

ძლევნად პირველ მაისს

უწინ, როდესაც გულს გვიზარავდა
გესლის აღსავსე ყოველი წუთი
და ჩემს ზურგის კანს ფურთხი ფარავდა
და თავზე გვედგა ხანჯლის ყუთი.
მაინც ქუჩებში გამოვდიოდით,
რომ გავყოლოდით წითელსა დროშას
ოღონდ მოძმესთან ვყოფილიყავით
და არ ვაგდებდით სიცოცხლეს გროშად.
წითელი ბანტი გულს გვიმშვენებდა,
მაისის მზე-კი გვმატებდა ძალას,
ვიცოდით, ტყვია ელოდებოდა
ჩვენს საამისოდ დარაზმულ ძალას,
მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივდიოდით
ფურცლებით, მღერით ვფარავდით ქუჩებს
და პირველ მაისს ჩვენ ვაგებებდით
ღიმილისაგან აკოკრილ ტუჩებს.
დღეს კი ჩვენ თავებს ფარავს მრავალი
დროშათა ტევრი წითელი ფერის;
დღეს ჩვენი გული წინ-წინ მავალთ
პირველ მაისის ჰიმნებსა მღერის;
დღეს თავისუფლად ფართო მოედნებს
ფარავს მშრომელთა მრავალთ წყებნი;
ლანდი წარსულის, ყოფილ ცხოვრების
თუმცა შეუმჩნევლად უკან დაგვყვება,
მაგრამ ჩვენ ვიცით, მას დავამარცხებთ
და კომუნიზმსა ვამეფებთ მარად
ბრძოლის ქარ-ცეცხლში მტერს დავსცემთ თავზარს
და პირველ მაისს ჩვენ ვიხმართ ფარად.

მუშკორი **ა. მაისაძე.**

შრომის ალლუმი

დღეს პირველი მაისია;
იფურჩქნება არე მარე;
წითლად ყვავის მშვენიერი
მაშვრალ ხალხთა ტურფა მხარე.
  დღეს ზეიმობს მუშა-გლეხი,
  სიხარულით უძგერს გული,
  თავზედ დაკრთის რხევით ნაზად
  ბრძოლის დროშა აღმართული.
ამ ზეიმში ირაზმება
სანაპირო შრომის კერა
იქაც ისმის აღგზნებული
ჰარმონია, ტკბილი მღერა.
  ჰა, დაიძრა უმრავ ხალხის
  დროშა წითლად მოელვარე
  დინჯად, მწყობრად, წარწერებით
  ზეიმშია ჩვენი მხარე!
მაშ, წინ გასწი, შრომის რაზმო,
არ დაუშვა ძირს ალამი!
და მიუძღვენათ ყველა ქვეყნის
თანამოძმეთ ჩვენი სალამი.
  ეს ზეიმი გულისხმობს, რომ
  შრომის შვილი გაიმარჯვებს,
  და თვით მუშა მარქსის მცნებას
  მედგარ წინსვლით გაამართლებს.

რკ. გზ. მუშა **ი. ნაზარაშვილი.**

ჩემი პირველი პირველი მაისი

პირველად მე პირველ მაისს ქუთაისში შევხვდი.

ქუთაისი ერთ დროს გაცილებით უფრო ცოცხალი და მხიარული ქალაქი იყო, ვინემ ეხლა.

ქუთაისში იყო თავმოყრილი გაკოტრების გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობა. ქუთაისში იყო აუარებელი სახელმწიფო დაწესებულებები. ქუთაისი მაშინ საგუბერნიო ქალაქი იყო. გარდა ამისა, ქუთაისი იყო თითქმის ერთად-ერთი ქალაქი დასავლეთ საქართველოში, სადაც არსებობდა საშუალო სასწავლებლები.

ამ ჭრელ ხალხში ბევრი იყო უსაქმოთ მოხიარულე ბრწყინვალე და კეთილშობილი ბედოვლათები, სირმებით გადაყვითლებული მოხელეები, ბევრი იყო ოფიცრებიც, მოწაფეებიც, მაგრამ ცოტა, ძალიან ცოტა იყო მუშები.

მთელ ქუთაისში მხოლოდ ერთი თამბაქოს ქარხანა და რამოდენიმე პატარა სტამბა მუშაობდა.

დანამდვილებით არ ვიცი რამდენი იყო, ყოველ შემთხვევაში ასზე მეტი არ იქნებოდა.

სამაგიეროთ ქუთაისში ბევრი იყო მაღაზიები და მაღაზიებში პრიკაშჩიკები (გამოგონილ „ნოქარს“ ეს სიტყვა მირჩევნია).

აქვე თავი მოიყარა თბილისიდან გადმოსახლებულებმა.

ამ გადმოსახლებულების შესახებ საჭიროა რამოდენიმე სიტყვის თქმა. მათ შორის იყვენ ისეთები, რომლებიც აქაც ეძებდენ სამუშაოს. დიდი გაწყობილი მუშაობა მათ აქ არ გაუმართავთ, მაგრამ იქა-აქა მაინც რამეს აკეთებდენ. ზოგს ფურცელს გადასცემდენ, ზოგს სადმე გამოელაპარაკებოდენ.

ყოველივე ამას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ზერელეთ მიცურავდა; სიღრმე და სიგანე ამ მუშაობას არ ჰქონია.

მოწაფეებში ამ დროს გაცილებით მეტი იყო სიცოცხლე და საქმის გაკეთების სურვილი, მაგრამ არ იყო მასწავლებელი და ხელმძღვანელი.

მე 1902—1903 ამბავს გყვები.

არ ვიცი დანამდვილებით როდის: რა თვეში და რომელ რიცხვში, მაგრამ სწორედ ამ დროს დაარსდა აქ „კომიტეტი“.

ახირებული რომ იყო ეს „კომიტეტი“. მას სათოფეზე ვერ მიეკარებოდი და თვითონაც არავის ეკარებოდა. დიდი ვაი-ვაგლახით თუ გამოსტყუებდი მას რომელიმე წიგნს, ისიც ხუთი ექვსი შუაკაცის დახმარებით.

იმდროინდელი ხალხი ზოგი ეხლაც ცოცხალია. უმეტესობა მენშევიკების ბანაკშია, ზოგიერთი ჩვენთანაც არის.

სახელებს არ დავასახელებ, არ მინდა ვინმე გავაჯავრო. ისე კი, როდესაც ეხლა ამ დაუსრულებელ მოგონებებს ჰკითხულობ, მართლაც, გაკვირს ადამიანს, რამდენათ აქვს აშვებული სადავე შემოქმედების აღმაფრენას ამ ნაწერებში. ეს იმ კომიტეტის წევრებმა მიიღონ თავიანთ თავზე, ვინც ეხლა ისე ულმერთოდ აზვიადებს იმ დროინდელ მუშაობას.

რაც იყო-იყო, მე ერთი ამბავი მინდა გავიხსენო და ისიც იმიტომ, რომ დღეს პირველი მაისია.

იმდროინდელი — 1903 წ. პირველი მაისის ამბავი მინდა მოგიყვეთ.

—:—

ჯერ ერთი, რომ [illegible] არ მახსოვს, დასტურ, მაინცდამაინც პირველ მაისს მოხდა, თუ არა ეს ამბავი — უფრო მგონი, არც ძველი და არც ახალი ანგარიშით ეს პირველი მაისი არ იყო.

იყო კვირა დღე გამოზაფხულზე ძველი და ახალი ანგარიშით, პირველი მაისის მანძილზე.

ქუთაისის ბულვარი... ერთი ანდაზა გამახსენდება, როცა ეხლა ქუთაისის ბულვარს ვნახავ ხოლმე.

მეგრელმა სთქვა: — ვისაც ჩემი ახალ გაზრდობა არ უნახავს, მას ღმერთმა ჩემი სიბერე ნუ აჩვენოსო...

მართლაც რაღა შედარებაა დღევანდელი ქუთაისის ბულვარი იმასთან, რაც მაშინ იყო.

სწორი რომ თქვას კაცმა არც მაშინ იყო ეს ბულვარი ქვეყნის ბედ-იღბლის გადამწყვეტი, მაგრამ თუკი მაშინ ქუთაისში რამე კეთდებოდა, ყოველივე და ყველაფერი ქუთაისის ბულვართან იყო დაკავშირებული.

აქ იკრიბებოდენ, აქ იყო დაუსრულებელი ქუთათური კამათი. აქ იყო მოწაფეების ჯარი, აფიცრობა, თავადაზნაურობა. შიგნით ხეივნები და გარეთ ქვაფენილები გაჭედილი იყო ხალხით.

— თუ ვინმე გყავს ისეთი, რომ ენდობი, თავი მოუყარე და აქ იყავით; დღეს მაისობას ვაწყობთ და, თუ გინდათ, დასწრებით, მითხრა ერთმა ნაცნობმა მუშამ.

— კეთილი, ეხლავე ვნახავ ვინმეს და წამოვალთ:

— არა, ჯერ წამოსვლა კი არა, აქ იყავით. მე თვითონ გეტყვით.

ეს ამბავი, რასაკვირველია, ქუთაისის ბულვარში მოხდა.

სიხარული, რა განუსაზღვრელი იყო ჩემი სიხარული იმ დროს. მაისობის დასწრება! ეხლა წარმოუდგენელია, თუ რა იყო მაისობა მაშინ — იმ დროს და ისიც ქუთაისში.

ადამიანს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ აქვს ისეთი ხანა, როცა მისი ცხოვრების გზა უნდა გაიკვეთოს. ახალგაზრდა, ჯერ ცხოვრების უცნობი, უნდა შეხვიდე ამ ცხოვრებაში, ბევრია შენს წინაშე გზები... ვისთან წახვალ, ვისთან იქნები, ვის წინააღმდეგ.

ახალგაზრდობამ არ იცის ყოყმანი. ის ადვილათ გადასწყვეტს ხოლმე ამ რთულ კითხვებს.

იცი, რომ შენ გზაზე ბევრია დაბრკოლება, სიმწარე, ტანჯვა. ეს კიდევ უფრო ახალისებს, კიდევ უფრო აღიზიანებს შენ სურვილს.

მიგიხარია, მიგეჩქარება იქ, სადაც გინდა ერთხელ და სამუდამოთ იმუშაო, შესწირო შენი ძალი და ღონე.

შეგნება, შემეცნება, გონების დარჯაქში გატარებული ცოდნა ჯერ კიდევ სად არის?! ეს შემდეგისთვის. თუ მოინდომებ ამას შეიძენ, ეს შესაძლებია.

თავი და თავი სურვილია.

ვნახე ორი ამხანაგი, გავაგებინე რაშიაც იყო საქმე. ჩემზე უფრო მგონი მათ გაეხარდათ. გამოიარა ჩვენმა ნაცნობმაც და გზა გაგვასწავლა.

— ასე წადით მწვანე ყვავილას სასაფლაოსაკენ. ნურავის გაიყოლიებთ. იქ დაგხვდებათ კაცი, რომელიც გზას გიჩვენებთ.

—:—

მწვანე ყვავილა ქუთაისის განაპირას არის; წყალ-წითელას დასჩერებია. კარგი სანახავია ეს სასაფლაო გამოზაფხულებისას. არ ვიცი, ვინ მოისაზრა, რომ აქ სასაფლაო გააშენა. ასეთი მშვენიერი კუთხე ქუთაისს არა აქვს.

მიგვეჩქარება.

— არავინ გაიყოლოთო, გვითხრა ჩვენმა ნაცნობმა. ალბათ, იმას გულისხმობდა: არავინ შეგვნიშნოსო, ჩვენ ფრინთიხივით მივდივართ, გზაზე თუ ვინმე შეგვხვდება ნაცნობი თვალს ვარიდებთ, თუ ვინმე გამოგველაპარაკა, ხმას არ ვცემთ.

ასე იცის ხამმა, გამოუცდელმა ადამიანმა. თუ ისაა საჭირო, რომ არავინ შეგვამჩნიოს, სწორედ, რომ სულ სხვანაირად უნდა მოიქცე, მაგრამ ჩვენ ამისი რა გაგვეგება — ჩვენ მივდივართ, მიგვეჩქარება.

მივდივართ.

— აი, ამ სალაღფეხო გზას გაჰყევით და იქ გიჩვენებენ, შეხვდებით.

დამხდური თითქოს ჩვენ ყურადღებასაც არც კი გვაქცევს, ისე, თითქოს თავის-თავს ელაპარაკება.

ესეც გადაჭარბებული სიფრთხილის ბრალია, ვინ გაქცევს ყურადღებას: ან ვინ არის სასაფლაოზე?!

ჩვენც განგებ ფეხაჩქარებით მივდივართ. არ გვინდა, რომ ვინმემ შეგვნიშნოს, თუმცა აქ შემნიშნავი და მეთვალყურე არავინ არის.

— აი, იქ არის — გვითხრა გზის პირას წამოწოლილმა უცნობმა ამხანაგმა, როდესაც სალაღფეხო ბილიკით კარგა მოზრდილი მანძილით მოვშორდით სასაფლაოს.

მართლაც, გზის მოშორებით ერთ პატარა გორაკზე, სადაც ტყე უფრო შეთხელებული იყო და ახლათ ამოხეთქილი ბალახი ხავერდივით გადაჰკროდა მიდამოს, ჩვენ შევამჩნიეთ რამოდენიმე კაცი.

უმეტესობა მუშები იყვენ. ასოთამწყობები, თამბაქოს ქარხნის მუშები. ზოგს ვიცნობდით, ზოგი უცნობი იყო, მაგრამ ჩვენთვის ყველა ესენი მაშინ, ამ დროს ჩვენი უახლობელესი მეგობრები და ამხანაგები იყვენ.

— ჩვენ ყველა — აი ეს პატარა ჯგუფი ერთი აზრის და ერთი მიზნის ხალხი ვართ. აი ეს პატარა ჯგუფი აქ, აგერთვე პატარა სხვაგან, ყოველ ალაგას — აი, რჩეულთა კრებული — აი, ჩვენ შევებრძოლებით ძველ ქვეყანას, ჩვენ შევიჭრებით იმ წყვდიადით მოსილ სამყაროში.

გული მღეროდა და ზეიმობდა.

მივედით, ჩამოვჯექით.

— ასე, აბა, ყოველდღე მუშაობ კაცი, მოსვენება შენთვის არ სწერია. ავად გახდება და წამლობას ვინ გაიღებს?!

ჩვენ, როგორც ჰგავს შუა მუსაიფში მოვედით. ჩვენც ყური დაუგდეთ ამ საუბარს, მაგრამ ეს ხომ საუბარი არ იყო. ერთი ლაპარაკობდა, სხვები ყურს უგდებდენ.

— რამდენი უნდა გასძლოს მუშა კაცმა ამდენ უბედურებაში. ადამიანი ქვა ხომ არ არის: სიცხე და სიცივე ქვასაც გააფუჩებს, ადამიანს კი ამდენი სიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა რას გაახარებს? ასე ვწვალობთ, სანამ ერთხელ როდესმე არ გაჭიმავ ფეხს. ადამიანის გულს კი ამდენი არ შეუძლია, ბამბის ძაფზეა ჩამოკიდებული.

ეს „ბამბის ძაფი“ მე ნამეტნავათ დამამახსოვრდა.

ჯერ ყველა არ მოსულიყო — მოელოდენ მათ, ვისი თაოსნობითაც შეიკრიბა ეს ყრილობა.

ჩვენ ვარჩიეთ გავვესეირნებია ტყეში.

— შორს ნუ წახვალთ, იქნებ ვინმეს შეეფეთოთ ან და ჩვენ ველარ მოგნახოთ, გვითხრეს ამხანაგებმა.

შორს არ წავსულვართ, მაგრამ ჯდომა, ცდა და უქმათ ყოფნა შეუძლებელი იყო.

— ასწი, ნუ გეშინია, მაგ სიმძიმე ტვირთი არ აგიწევია, თუ როგორი არის შენი საქმე.

მივიხედეთ მოდის რამდენიმე მუშა, ერთი იმათგანი ჩემი ნაცნობიც იყო.

წინას ზურგზე ვეებერთელა ტომარა წამოუკიდია, უკანას ღლიაში გამოუჩრია მოზრდილი ტიკჭორა.

— ისეთი გაქეიფოთ დღეს, რომ სულ ჰარი-არალი იძახოთ.

— რა მოგიტანიათ?

— რა მოგვიტანია, რომელია, მა უნდა ვიმარხულოთ, თუ? პირველი მაისია, ერთი გული უნდა გავხსნათ, გავიხაროთ.

— კეთილი, მაგრამ ამ ადამიანს კი თავისი გადაუწყდა, ამხელა ტვირთი აგიკიდიათ.

— არაფერია, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება და თუ მოკვდება, იმაზედაც არავინ იდარდებს.

მხიარული ხმაურობით გადაიარეს ახალმოსულებმა გორაკი და სადაც დაბლობში მოეფარენ გორაკის წინ წამოშვერილ ქიმს.

—:—

მოვიდა ქვევიდან გამოგზავნილი შიკრიკი.

— აბა წავიდეთ, წავიდეთ. გაჰყევით იქვე ბილიკს, თავდაღმართში, გზა აღარც კი მოსჩანს. მოუხვიეთ გორაკის წინ წამოშვერილ კუთხეს.

— ერთი ამას შეხედე რა სუფრა გაუშლიათ?

მწვანეზე დაფენილია სუფრა, ზედ აწყვია საინები, ხმელი ხილი, წითელი ბოლოკი, აქა-იქ ჩადგმულია თეფშებში ხორცით. ბლომათ არის ღვინოც.

მერიქიფე თავში ზის. ტიკის თითში წაუვლია ხელი და მზათაა გვემსახუროს.

იქ რამოდენიმე უცხო და უცნობი კაცი დაგვხვდა.

ჩაუჯექით. ვის სცალია ჭამისათვის, ეს, ალბათ, იმისათვის არის მოტანილი, რომ თუ, ვინიცობაა ვინმე წამოგვადგა თავზე, ეჭვი არ აიღოს.

სუფრის თავში ზის რამოდენიმე „უცხო ვინმე“.

ჩვენ რომ მივედით უკვე ფრიალობდა იქვე ტყეში მოჭრილ ჯოხზე ჩამოკიდებული პატარა წითელი ნაჭერი.

— წითელი დროშა!

— წითელი დროშა!!!

დღეს წითელი დროშა თვითეულ დარაბის კარებზეა ჩამოკიდებული. ის გულს აღარ ატოკებს, თვალს არ სჭრის.

მაშინ ეს წითელი ნარმის პატარა ნაჭერი აღტაცების ჟრუანტელს გვრიდა თვითეულ ჩვენთაგანს გულში.

თეთრი ასოებით ეწერა ზედ რაღაც უშნო და ულაზათოთ იყო გამოყვანილი ზედ ასოები. არც წარწერა იყო ბარაქიანი: „Да здравствует демократическая конституция“ — აი ეს რამოდენიმე სიტყვა. — ეს უჯილაგო ლოზუნგი იყო მარტოდ-მარტო ამ დროშაზე.

ან კი რა მნიშვნელობა ჰქონდა წარწერას? მნიშვნელოვანი იყო თვით ეს კრება, ჩვენი აქ მოსვლა და აქ აღთქმის დადება, რომ ჩვენ ქედმოუხრელათ წავალთ წინ საბრძოლველათ.

ყველას, ვინც იმ დროს იქ ვიყავით, ისე გვიყვარდა ერთმანეთი... ჩვენ ერთი დიადი საქმის მკეთებლები ვიყავით. ეს გვახარებდა, ეს გვაკრძოლებდა, ეს იტაცებდა ჩვენ გრძნობას.

მას უკან დიდმა ხანმა განვლო.

ბევრიც, მართლაც „ბამბის ძაფზე“ ჩამოხმული გული დადუმდა. ბევრის გზები ისეთ ჩიხში გადაიჩეხა, რომ იქიდან გამოსავალის მონახვა, მართლაც, რომ ძნელია.

ეს შემდეგ, მაშინ კი თვითეული ჩვენთაგანი თითქოს სამუდამოთ ეთხოვებოდა ყოველივეს, რაც კი რამ ჰქონდა თავისი პირადი საკუთარი, ამიერიდან ჩვენ ამ დროშის, ამ საქ-

პირველი მაისი, მერყევი სტაბილიზაცია და პროლეტარიატის უმრავლესობის დაპყრობა

პირველი მაისი ყოველთვის პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული იყო, ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ პროლეტარიატის მოღალატეებმა, სოციალ-დემოკრატიის მეთაურებმა სწორეთ ახლა, რამდენიმე კვირით ადრე პირველ მაისამდე, ჟენევაში გამოაშკარავეს, რომ ისინი მხოლოდ თავიანთ „საკუთარ" ბურჟუაზიას ემსახურებიან.

პირველი მაისი იმ თავითვე **ბრძოლის** დღე იყო „სოციალური გადატრიალების" მიზნით, ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატია გამოდის, როგორც სოციალისტური რევოლიუციის მოღალატე მთელს ევროპაში, როგორც სხვადასხვა ბურჟუაზიული მთავრობების „ახალგაზრდა პარტნერი", რომ ის საბოლოოდ კაპიტალისტური ევროპის ნიადაგზე სდგება, რომ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პრავო ლიდუ" აღფრთოვანებით აცხადებს: კაპიტალისტური წესწყობილება ევროპაში ერთი საუკუნით მაინც უზრუნველყოფილიაო.

სოციალ-დემოკრატია (და, რასაკვირველია, ბურჟუაზიაც) მუშებს მსოფლიო მდგომარეობის შესახებ შემდეგ ანალიზს აძლევს:

1. ეკონომიური კრიზისი საბჭოთა კავშირში.
2. დამარცხება ჩინეთში, ე. ი. ეროვნული რევოლიუციური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ასპარეზზე.
3. რევოლიუციური სიტუაციის უქონლობა ევროპაში.
4. ძალოვანი წინსვლა ამერიკული იმპერიალიზმისა.
5. ამერიკული იმპერიალიზმი თავისი კაპიტალის ექსპორტის შემწეობით თანდათან იმორჩილებს ევროპიულ ქვეყნებს, მაგრამ, ამასთანავე მათ იფარავს არა მარტო „შიმშილისა", არამედ „რევოლიუციისგანაც".
6. საყოველთაო დაძმობილება იმპერიალისტური ქვეყნებისა: ლონდონის შეთანხმების დადება, დაუესის გეგმის განხორციელება, ლოკარნოს ხელშეკრულების დადება.

ეს ანალიზი არ გამოხატავს სინამდვილეს, ის მხოლოდ ფაქტის, დამახინჯებაა სინამდვილის კარიკატურაა. ის ყოველდღიურ მოვლენების ზედაპირზე ჩერდება, ღრმა ურთიერთობას ვერ ამჩნევს (არც უნდა, რომ შეამჩნიოს), ვერ სცნობს მსოფლიო მდგომარეობის უაღრესად რევოლიუციურ ელემენტს ან აფუჩეჩებს მას. რასაკვირველია, ეს ყალბი ანალიზი შემთხვევითი მოვლენა არ არის. სოციალ-დემოკრატია თან და თან უფრო რწმუნდება, რომ მისი დღეგრძელობა კაპიტალიზმის დღეგრძელობაზეა დამოკიდებული. ის კაპიტალიზმს მთელი საუკუნის შეუშფოთებელ არსებობასა და კეთილდღეობას უწინასწარმეტყველებს, **მიტომ რომ თავისთვის სურს ხანგრძლივი ცხოვრება.** მაგრამ მარქსისტულ-ლენინური ანალიზი როგორც ევროპიელ კაპიტალიზმს, ისე მის სოციალ-დემოკრატიას იმავე კითხვას უსვამს, რომელიც ფრიდრიხ დიდმა იმ თავის ჯარისკაცებს მიახალა, რომელნიც ბრძოლის დროს საქეიფოთ წასულიყვნენ: „ძაღლებო, თქვენ მთელი საუკუნე ხომ არ გინდათ იცხოვროთ". განა ისინი ველარ ხედავენ კაპიტალიზმის შემრიგებელ წინააღმდეგობათ, იმპერიალისტური სახელმწიფოების დაპირისპირებას, პროლეტარული რევოლიუციის ძალოვან ხერიშებს?

სოციალ-დემოკრატები ამჩნევენ საბჭოთა კავშირის ხანმოკლე; წარმავალ კრიზისს, მაგრამ ვერ ხედავენ, არც უნდათ დაინახონ ამ კრიზისის საფუძველი: ყველა სასიცოცხლო ძალების ზრდა პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში. ისინი ამჩნევენ პატარა კრიზისს და მალავენ, რომ ის მხოლოდ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების ყოველმხრივი აღორძინების, სოციალიზმის ყოველმხრივი აშენებლობის შედეგი პროლეტარულ სახელმწიფოში.

სოციალ-დემოკრატები ხედავენ მხოლოდ სახალხო ჯარების დამარცხებას ჩინეთში, ამჩნევენ ჩინური მსხვილ ბურჟუაზიის ერთი ნაწილის გადასვლას უცხოელ იმპერიალისტების მხარეზე. მაგრამ სრულიად ბრმები არიან ჩინეთის დიდი რევოლიუციის ძირითადი ფაქტის წინაშე: ეს არის ჩინეთის თან და თანობითი ინდუსტრიალიზაცია. სოციალ-დემოკრატები ხედავენ ჩინური ბურჟუაზიის ერთი ნაწილის იმპერიალისტ მტრების მხარეზე, მაგრამ ვერ ამჩნევენ საწინააღმდეგო მოვლენას: ჩინეთის პროლეტარიატის განვითარებასა და გაძლიერებას. ისინი ხედავენ გომინდანის მემარჯვენე ხელმძღვანელების გაჭრობას დიდ ბრიტანეთსა და იაპონიასთან, მაგრამ ვერ ამჩნევენ რევოლიუციური პროლეტარიატის დიდ დამოუკიდებელ აქტებს, გაფიცვებსა და დემონსტრაციებსა შანხაისა, კანტონსა, ჰონგ-კონგში. ისინი ვერ ხედავენ, რომ სწორეთ პროლეტარიატის გაძლიერებამ წაუბიძგა ჩინელი ბურჟუაზიის ერთ ნაწილს იმპერიალისტი მტრებისკენ და ჩინეთის რევოლიუციის ბრძოლის ფრონტის დროებითი შესუსტება გამოიწვია. მაგრამ ძირითადი ფაქტი მაინც უცვლელი რჩება: ესაა ჩინეთის ინდუსტრიალიზაცია, ამ ქვეყნის ზოგადი კაპიტალისტური განვითარება, რომელთანაც ერთად იზრდება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ძალები. რაიც ეროვნულ-რევოლიუციური მოძრაობის გამარჯვებას უზრუნველჰყოფენ. ჩინელი მსხვილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილის გადასვლა იმპერიალისტ-მტრების მხარეზე არ ნიშნავს ჩინეთის რევოლიუციის დამარცხებას, არამედ მხოლოდ ეროვნულ-რევოლიუციური მოძრაობის მატარებლების შეცვლას: გეწერლები საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებენ დიდ ბრიტანეთთან, ხოლო გომინდანის პარტია ამ ბოლო წლებში შვიდჯერ გაიზარდა, ჩინეთის კომუნისტური პარტია კი სამჯერ.

ჩინეთი მხოლოდ **ერთი** მაგალითია. იმავე ინდუსტრიალიზაციის სურათს ვხედავთ იმპერიალიზმის კოლონიებსა და ნახევარ—კოლონიებში. ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებს თანდათან უფრო უძნელდებათ მათი კოლონიების ექსპლოატაცია. ერთს დროს „კომუნისტური მანიფესტი" სამართლიანად ამბობდა: **„ბურჟუაზიისთვის იაფფასიანი საქონელი ის მძიმე არტილერიაა, რომლითაც ის ყველა ჩინურ კედლებს ანგრევს და უცხოელების მოძულე ბარბაროსებს აიძულებს ქედი მოიხარონ"**. დღეს კი კოლონიებს „ბარბაროსებს" თავიანთი საკუთარი „არტილერია" აქვთ: მათ საკუთარი ინდუსტრია შექმნეს, რომელიც კიდევ უფრო იაფფასიანი საქონლით მეტროპოლიების „ევროპიულ" კედლებს არღვევენ.

შორეულ აღმოსავლეთში ხდება „ბარბაროსების" თანდათანობითი ინდუსტრიალიზაცია, შორეულ დასავლეთში **ამერიკის უპირატესობა, ჰეგემონია** მტკიცდება. ამერიკული იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ზევით მიდის. ამერიკულ იმპერიალიზმსაც აქვს თავისი „არტილერია", ესაა კაპიტალის გაზიდვა. მსოფლიოს 21—მილიარდი დოლარი მართებს ამერიკას. ამერიკული იმპერიალიზმისათვის ევროპის ქვეყნებმა 62 წელიწადი უნდა იმუშავონ, რათა თავისი ვალები გაისტუმრონ.

კოლონიების ინდუსტრიალიზაცია და ამერიკის გაძლიერებული ეკონომიური ჰეგემონია ის ორი დიდი წისქვილის ქვაა, რომელნიც დაფქვავენ დღევანდელ კაპიტალისტურ ევროპას. ევროპა დაქვეითების პერიოდში იმყოფება და კაპიტალიზმის ნიადაგზე ამ დაქვეითების შესაჩერებლად არავითარი წამალი არ არსებობს. ევროპის წარმოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომის წინადროინდელ საფეხურისთვის. ევროპაში დღეს ხუთი მილიონი უმუშევარი ითვლება რეალური 5 მილიონი უმუშევარი ითვლება. რეალური სამუშაო ხელფასი მცირდება. გადასახადი მატულობს. მილიტარიზმი იზრდება. შეუძლებელია ევროპიელ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა შერიგება. ლოკარნოს ჟენევა მოჰყვა, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: გაკოტრების აშკარა გამოცხადება ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პაციფიზმის მიერ.

ამ პირობებში კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოგვცა ლოზუნგი ევროპის სოციალისტური შეერთებული შტატებისა. კაპიტალისტურ ნიადაგზე ევროპიელ, მუშათა კლასისთვის გამოსავალი არ არსებობს. მხოლოდ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას შეუძლია ევროპიელი სახელმწიფოები გამანადგურებელი ომისაგან იხსნას. ევროპა ამერიკელი იმპერიალიზმის ექსპლოატაციისაგან გაანთავისუფლოს.

დიდი ცვლილებები მსოფლიო მდგომარეობაში ღრმა ცვლილებას იწვევენ მუშათა მოძრაობაშიც.

ამერიკელი იმპერიალიზმის თანდათანობით განვითარებასთან ერთად ხდება **ამერიკელი** მუშათა კლასის მარჯვნივ გადახრა.

აღმოსავლეთის ინდუსტრიალიზაციის გამო ვითარება სხვადასხვა მიმართულება კოლონიების მუშათა მოძრაობაში.

ევროპის დაქვეითების პროცესის გამო ევროპიელი მუშათა მოძრაობა თანდათან უფრო მარცხნივ იხრება.

პირველად დიდი ომის დამთავრების შემდეგ ევროპის სამი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი ერთად განიცდიან ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს, ხოლო კრიზისის წინსვლასთან ერთად პროლეტარულ, არმიების დიდ გამარჯვებებს. 1921 წელს ინგლისმა „შავი პარასკევი" განიცადა, 1925 წელს უკვე პროლეტარული სოლიდარობის გამარჯვების დღე, „წითელი პარასკევი". უმცირესობათა მოძრაობის დიდი კონფერენცია, რომელიც 1926 წლის 21 მარტს შეიკრიბა, ერთი მილიონი მუშის დელეგატები დაესწრნენ ე. ი. ისინი თითქმის ინგლისის შეკავშირებული მუშათა კლასის მეოთხედს წარმოადგენდნენ; მთელი კონფერენცია ექვემდებარებოდა ინგლისის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას, რომელიც 6000 წევრს შეიცავს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია გმირულ ბრძოლას აწარმოებდა მაროკკოს ომის წინააღმდეგ და უკანასკნელმა არჩევნებმა დაგვიმტკიცა, რომ ის თანდათან იპყრობს პროლეტარიატის ნდობას.

გერმანიის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ 1923 წლის ოქტომბერში მოწინააღმდეგეებმა გერმანიის კომუნისტურ პარტიას სიკვდილი უწინასწარმეტყველეს; დღეს ამ პარტიას 150.000 წევრი ჰყავს, ის სოციალდემოკრატიას ბუქსირით მიათრევს და თორმეტ მილიონ ნახევარ მუშათა, გლეხთა და წვრილ ბურჟუების მოძრაობას იწვევს. კომუნისტურმა პარტიებმა დღეს დიდს წარმატებას მიაღწიეს, მიტომ რომ სერიოზულად და ენერგიულად დაიწყეს **ბრძოლა მუშათა კლასის უმრავლესობის დასაპყრობათ მთლიანი ფრონტის** ტაქტიკა ახლა თანდათან მართლაც სისხლსა და ხორცში უჯდება კომუნისტურ პარტიებს. რამდენადაც უფრო აშკარად გამოდის სოციალდემოკრატია მუშათა კლასის გამთიშავის როლში, მით უფრო ენერგიულად უნდა დაიცვან კომუნისტებმა პროლეტარიატისა და პროფკავშირული მოძრაობის მთლიანობის იდეა 1926 წლის პირველი მაისის დღესასწაულმა უნდა გადაარჩინოს მეორე ინტერნაციონალის პირველი პერიოდის საუკეთესო ბრძოლის ტრადიციები. **მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის დროშაზე დღეს დაწერილია გაერთიანებული ფრონტის, პროფკავშირული მთლიანობის, ბრიტანეთის მემაღაროების საერთაშორისო დახმარების, საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის, ჩინეთის რევოლუციასთან დაძმობილების ლოზუნგები.**

ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების დიპლომატებმა ჟენევაში ბრიანის პირით განაცხადეს: ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახალი ენით, ევროპიული ენით ლაპარაკი. პროლეტარიატმა უნდა შეიგნოს, რომ ეს ახალი **„ევროპიელი" ენა არის ახალი ომებისა და ძველი ჩაგვრის ენა. პროლეტარიატმა პირველ მაისს ყოველგან თავისი საკუთარი მსოფლიო ენა უნდა მონახოს, საერთაშორისო ენა სოციალისტური რევოლიუციისა, მსოფლიო მშვიდობიანობისა.**

ჯონ პეპერ.

◆

რევოლიუციონური ჯარის გაწვრთნის დღე

როცა 1889 წელს მორე ინტერნაციონალი დაარსდა, მან მსოფლიო პროლეტარიატისთვის დააწესა პირველი მაისის დამონსტრაცია. ინტერნაციონალი თავისი დაბადების საათში მაღალი გრძნობებით იყო აღფრთოვანებული. უკვე დაძლეული იყო ის ეკონომიური ცხოვრების შეფერხება, რომელსაც განიცდიდა არა მარტო საფრანგეთის, არამედ ყველა ლათინური ქვეყნების პროლეტარიატი. ამ ქვეყნებში ახალი მუშათა პარტიები დაარსდა. ინგლისში თავი იჩინა წინააღმდეგობამ მშვიდობიანი ტრედიუნიონიზმისადმი. გერმანიაში, ათი წლის არალეგალური მუშაობის შემდეგ, სოციალ-დემოკრატიამ ფაქტიურათ დაამარცხა ბისმარკის საგანგებო კანონი. ინტერნაციონალის განახლებამ გააძლიერა პარტიებში საკუთარი ძალღონის შეგნება. პარიზის კონგრესზე ამაყი ოპტიმიზმი ბატონობდა, რასიც კიდევ უფრო აღვივებდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მოგონება და კომუნის იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალ მებრძოლებში იყო განხორციელებული.

ამ სულიერი განწყობილებიდან წარმოიშვა პირველი მაისი. ეს გენიოსური ტაქტიკური აზრი იყო. მართალია ლოზუნგები არ გადასცილებიან კაპიტალისტური საზოგადოებრივი წესწყობილების ჩარჩოებს,მაგრამ მუშათა დაცვა და რვა საათის სამუშაო დღე სწორეთ ის ლოზუნგები იყო, რომელიც, როგორც უშუალო მიზანი, გასაგები იყო ყველა ქვეყნის მუშებისთვის და დიდ სამობილიზაციო ძალას შეიცავდა. ამას გარდა, ერთი დღის საერთაშორისო სადემონსტრაციო გაფიცვა პროლეტარიატის შეგნებას ახალ გასაქანს უშლიდა კაპიტალისტური წესწყობილების საზღვრებს იქით. ის სპობდა იმ ზღუდეს, რომელიც ქვეყნებს ჰყოფდა ერთმანეთში. იმ შეგნებამ, რომ ყოველგან, სადაც კაპიტალიზმი მეფობდა, მუშები ერთი და იგივე მიზნისთვის ემზადებოდნენ საბრძოლველად, პროლეტარიატის ძლიერების გრძნობა მეტად გააღვივა.

აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მძაფრი უშუალო და შეურიგებელია და შეზღუდული მიზნისთვის გამოცხადებულ დემონსტრაციის საყოველთაო კლასობრივი შეჯახების ხასიათი მიეცა.

სადემონსტრაციო გაფიცვის დანიშვნა პირველ მაისს ომის გამოცხადება იყო საერთაშორისო ბურჟუაზიისადმი. რადგან ის მთელს ხაზზე ტარდებოდა, მას ძალიან დიდი ნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მუშათა კლასის გარევოლიუციონერებისათვის. თავისთავად გასაგებია, რომ იმ ქვეყნებში,სადაც სოციალისტური პარტიები პირველ ნაბიჯებს სდგამდენ ეს დემონსტრაცია სუსტი იყო. თავი და თავი გერმანია იყო, როგორც უძლიერესი მუშათა მოძრაობის სამშობლო. და სწორეთ გერმნიის სოციალ-დემოკრატიამ სისუსტე გამოიჩინა. **გაფიცვის ადგილი საკვირაო გასეირნებამ დაიჭირა.**

საგანგებო კანონი, გერმანიაში სასიკვდილოთ იყო განწირული, ხოლო ბისმარკი უკვე დამხობილი იყო, მაგრამ რეაქცია მხოლოდ საბაბს ეძებდა, რათა სოციალ-დემოკრატია მოედრიკა და მისთვის ახალი ბორკილები დაედო. ასეთ პირობებში, როცა უშუალო რევოლიუციური სიტუაცია არ არსებობდა, ხანგრძლივ არალეგალურ მდგომარეობაში ჩავარდნა მართლაც გერმანიის მუშათა მოძრაობის შეფერხებას, შეიძლება უკან დაბრუნებასაც ნიშნავდა. ბებელმა, ზინგერმა და ლიბკნეხტმა თანახმად მათ მიერ რეაქციის ძალის დაფასებისა უარყვეს გაღიზიანებისა და გამოწვევის ტაქტიკა. მათ სამაისო დემონსტრაციას რევოლიუციური ხასიათი წაართვეს და ამით პირველ მაისს ხერხემალი გაუტეხეს მეორე ინტერნაციონალის მთელი პერიოდისთვის.

მხოლოდ ახალს იმპულსს შეეძლო პირველი მაისისთვის ის ხასიათი დაებრუნებია, რომელიც მისთვის შექმნის დროს იყო განზრახული. მაგრამ ეს იმპულსი არსად აღმოჩნდა. გერმანიაში, ისევე როგორც ინტერნაციონალში რეფორმიზმი ძლიერდებოდა. ინტერნაციონალურ მაისის დღესასწაულს რომ რევოლიუციური შინაარსი წაერთვა, ოპორტუნისტები ამას თავიანთ გამარჯვებათ სთვლიდნენ და მათ ამ გამარჯვების დათმობა არ უნდოდათ. მაისის დღესასწაული უბრალო ტრადიციათ გადაიქცა და თანდათან დაჰკარგა თავისი აღმაფრენა. ყოველი სოციალ-დემოკრატიული პარტიული ყრილობა, ყოველი საერთაშორისო კონგრესი იხილავდა მაისის საკითხს. მაგრამ პარტიებს აღარ შეეძლოთ მაისის იდეისთვის რევოლიუციური სული ჩაებერათ, მიტომ რომ თვით მოკლებულნი იყვნენ ამ სულს. მართალია, დემონსტრაციების მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა; იმპერიალიზმის საფრთხის გაძლიერებასთან ერთად გახსენებულ იქნა ძველი ანტიმილიტარისტული ლოზუნგები, ტრესტების კაპიტალის და მისი პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონიის ზრდასთან ერთად სოციალიზმის ლოზუნგი უშუალო ბრძოლის ლოზუნგად იქცა (ამ ლოზუნგის რევოლიუციურ მნიშვნელობას ბუნდოვანად გრძნობდენ, მაგრამ ნათლად კი არ ესმოდათ), მაგრამ მეორე ინტერნაციონალი შიგნით უკვე გამოხრული იყო ოპორტუნიზმის მიერ. მას აღარ ჰქონდა რევოლიუციური აღმაფრენის ნიჭი.მუშათა მოძრაობას ღრმა კრიზისი, კატასტროფა უნდა განევლო.

მსოფლიო კრიზისი ინტერნაციონალის კრიზისათ გადაიქცა. სამოქალაქო ზავში ჩაიღრჩო მაისის დღესასწაულის აზრი. ის ხელახლა დაიბადა 1916 წლის პირველ მაისის რევოლიუციურ აქტში, როცა ბერლინში ათი ათასი მუშა კარლ ლიბკნეხტის მოწოდებას გაჰყვა და ომს, ფოლადი ჯავშნით შეჭურვილ სახელმწიფო ხელისუფლებას და სოციალ-მოღალატეობას ბრძოლა გამოუცხადა. **ამ ხელახალი დაბადების დროს მაისის დემონსტრაციამ უკან დაიბრუნა თავისი რევოლიუციური ხასიათი.**

და თუ ახლა მრავალი მილიონი მუშა მთელ დედამიწის ზურგზე, თვით უშორეულეს კოლონიებში, პირველ მაისს დარაზმულნი გამოდიან, ამას რევოლიუციური ვალდებულების შეგნებით შვრებიან. მათი აზრი თანამედროვე რევოლიუციის ქალაქისა—მოსკოვისკენ არის მიმართული. რუსეთის მუშათა კლასის გაბედული მაგალითი მათ აღფრთოვანებს. და თუმცა მათი უშუალო ლოზუნგები ხელახლა უახლოესი მიზნებისკენ არის მიმართული, რვა საათის სამუშაო დღისკენ, მუშათა კლასის დაცვისკენ უკიდურესი სიბეჩავისაგან, მაგრამ მათ იციან, რომ მხოლოდ რევოლიუციური მოქმედების შემწეობით შეიძლება წინ წასვლა, რომ დღეს ყოველს სერიოზულ ბრძოლას აუცილებლად კაპიტალიზმის დამხობა უნდა მოჰყვეს, როგორც შედეგი, რომ ყოველი მნიშვნელოვანი გამარჯვება ხელისუფლების დაპყრობას ჰგულისხმობს. 1 მაისს ყველგან დედამიწის ზურგზე მებრძოლნი იკრიბებიან. 1 მაისი რევოლიუციის ჯარების გაწვრთნის დღეა.

პაულ ფროლიხ.

პირველი მაისი და შორეული აღმოსავლეთი

პირველი მაისი მოვიდა! დღეს სწორედ 42 წელიწადია მას შემდეგ, რაც პირველი მაისი **ჩიკაგოში** პირველად იდღესასწაულა ამერიკელი პროლეტარიატის მოწინავე ნაწილმა. პირველი მაისის ლოზუნგი თავდაპირველად 8 საათის სამუშაო დღე იყო. ჩქარა განთლებული ქვეყნების პროლეტარების საყოველთაო დღესასწაულად და დემონსტრაციის დღეთ იქცა. რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის დიდი გამარჯვების შემდეგ მრავალი მილიონიანი მუშა და გლეხი პირველ მაისს დღესასწაულობს, როგორც **მსოფლიო უქმე—დღეს.** პირველი მაისის მნიშვნელობა **საბჭოთა კავშირში** სულ სხვანაირია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ ტლანქი კაპიტალისტური კლასი ბატონობს და გლეხებსა და მუშებს სჩაგრავს. მაგრამ თვით **კაპიტალისტურ ქვეყნებშიც** შეიცვალა პირველი მაისის მნიშვნელობა. დღეს მსოფლიო პროლეტარიატი პირველ მაისს დღესასწაულობს საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებთან ერთად, რომელნიც კაპიტალიზმის უღლისგან უკვე განთავისუფლდნენ.

პირველმა მაისმა **შორეულ აღმოსავლეთშიც** ახალი აზრი შეიძინა. ოქტომბრის რევოლიუციამდე პროლეტარიატს შორეულ აღმოსავლეთში იშვიათად უდღესასწავლია პირველი მაისი და მრავალმა მილიონმა მუშამ არაფერი იცოდა მის შესახებ. ახლა მისთვის პირველი მაისი ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებათა სადღესასწაულო მოგონებათ გადაიქცა. კაპიტალისტები, რომელნიც მათ დღე და ღამე ყვლეფენ და სჩაგრავენ, ყველგან თარეშობენ, გარდა საბჭოთა კავშირისა. მაგრამ არაკაპიტალისტური საბჭოთა კავშირი, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა, სადაც გაუმაძღარი კაპიტალისტების კლასი სრულიად დამორჩილებული და მოსპობილია, შორეული აღმოსავლეთის მუშებსა და გლეხებს უდიდეს იმპულსს აძლევს რევოლიუციონური იმედებისა და მოქმედებისთვის. იმათ ეჭვი აღარ აქვთ, რომ ბოლოს გაიმარჯვებენ კაპიტალისტების კლასზე. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის-მსგავსად ისინიც ბოლოს მოუღებენ კაპიტალიზმსა და თვითნებობის ბატონობას **ჩინეთსა, იაპონიასა, კორეასა** და სხვა ქვეყნებში.

სოციალური რევოლიუციის ამ რწმენამ და იმედმა რევოლიუციონური მოძრაობა გააძლიერა **შორეულ აღმოსავლეთში,** განსაკუთრებით **ჩინეთში.** ჩინეთში უკანასკნელი წლის პირველი მაისის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: გაფიცვა და ხოცვა-ჟლეტა შანხაის და სხვა ქალაქებში. ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ზრდა, დემონსტრაციები ექსტერიტორიალობის გაუქმებისა და ქვეყნის სრული განთავისუფლების მოსათხოვად. ამ მოძრაობამ გავლენა იქონია სხვა ქვეყნების მუშებსა და გლეხებზეც და თვით **დიდ ბრიტანეთსა** და სხვა ქვეყნებში დახმარება აღმოუჩინეს ჩინეთის რევოლიუციურ მოძრაობას.

ჩინეთის რევოლიუციურმა მოძრაობამ დასავლეთის კაპიტლისტებში შიშის ძრწოლა გამოიწვია და ამიტომ ისინი სამარცხვინო, უადამიანო ძალმომრეობას სჩადიან მუშებსა და ღარიბი გლეხკაცობის წინააღმდეგ, რათა მომავალშიც შესძლონ მათი ექსპლოატაცია. დიდი **ბრიტანეთის, იაპონიის** და **ამერიკის** კაპიტალიზმი უფრო და უფრო მეტს შიშს გრძნობს ჩინელი მუშებისა და გლეხების ჯიუტი ბრძოლის წინაშე, რომელსაც ჩინელი სტუდენტებიც უჭერენ მხარს. ამიტომ ის ეხმარება რეაქციონურ გენერლებს, რათა რევოლიუციონური მოძრაობა მოსდრიკოს და **გომინდანსა** და **სახალხო არმიებს** შეუტიოს.

ამის და მიუხედავათ ჩინეთის რევოლუციური მოძრაობა წინ წავა და ძალოვან რევოლუციურ პარტიას მოაწყობს და შექმნის. ყველა რევოლუციური ძალები თავს მოიყრიან **გომინდანის** დროშის ქვეშ, ამ პარტიის მემარცხენე კომუნისტური ფრთა ჩქარის ნაბიჯით მოახდენს თავის თავის ბოლშევიზაციას. უეჭველია, რომ ჩინეთი ბოლშევიზმისა **და** კაპიტალიზმის დიდი შეჯახების **ასპარეზად** გადაიქცევა. **კაპიტალისტური** სახელმწიფოები შეშფოთებულნი არიან რევოლიუციური მოძრაობის ზრდითა და **კომუნისტური პარტიისა** და **საბჭოთა კავშირის** გაძლიერებით. **იაპონიის** და **დიდი ბრიტანეთის** იმპერიალისტები სცდილობენ პროვოკაცია მოუწყონ ჩინეთის გლეხებს, მუშებსა და სტუდენტებს, რათა ომის საბაბი იპოვონ და ჩინეთში შეიჭრნენ რევოლიუციური მოძრაობის გასანადგურებლად. მაგრამ ჩინეთის გამოფხიზლებული მასსები დღეს ისე ადვილი მოსადრეკი აღარ არიან, როგორც **ბოქსერების აჯანყების** დროს იყვნენ. ჩინელი მუშები, გლეხები და სტუდენტები კიდევ უფრო მეტის აღფრთოვანებით იდღესასწაულებენ **პირველ მაისს.**

იაპონიაში პირველ მაისს 1920 წლიდან დღესასწაულობენ, მონაწილეთა რიცხვი წლიდან - წლამდე მატულობდა. მუშაობის შეწყვეტამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. პირველი მაისის დემონსტრაციებში მრავალი რევოლუციური ლოზუნგი იქნა გამოტანილი, მრავალი აღგზნებული სიტყვა წარმოსთქვა მუშების წასახალისებლად. მუშები ქუჩებსა და მოედნებზე შეებრძოლენ მჩაგვრელების წარმომადგენლებს, პოლიციელებს და ჟანდარმებს.

წრეულს პირველ მაისს იაპონიაში კიდევ უფრო დიდი მასშტაბით იდღესასწაულებენ, მიტომ რომ პროფკავშირები რიცხვობრივად და გავლენის მხრივ გაიზარდნენ და ამ ცოტა ხნის წინათ **მუშათა და გლეხთა პარტიაც** დაარსდა, რომელიც თუმცა პროგრამითა და ტონით ზომიერია, მაგრამ მაინც მუშათა პარტიაა. ახლანდელი მუშათა და გლეხთა პარტია კანონიერი მემკვიდრეა 1925 წლის დეკემბერში დაარსებული მუშათა და გლეხთა პარტიისა, რომელსაც უფრო რადიკალური სამოქმედო პროგრამა ჰქონდა, და ამიტომ პირველ დღესვე მთავრობამ დახურა. დამახასიათებელია, რომ ამ პარტიის დაარსების თაოსნობა **გლეხთა კავშირმა იკისრა,** რომელსაც 70.000 წევრი ჰყავს და რომელთაც **მუშათა კავშირებმა** დაუჭირეს მხარი. ეს პარტია **ინდივიდუალური** წევრობის საფუძველზეა აგებული, მაშინ როცა წინანდელი პარტია **პროფკავშირების** შეერთებით დაარსდა. ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ პარტიაში მრავალი **კომუნისტი** შევა და კომუნისტური უჯრედები დაარსდება.

მემარცხენე ფრთა ფესვებს იდგამს პოლიტიკურ და პროფკავშირულ მუშათა მოძრაობაში და თვით ზომიერ და კონსერვატიულ პროფკავშირებში იჭრებიან, თუმცა მთავრობა სცდილობს მემარცხენე პროფკავშირები მოსპოს და ოპორტუნისტული გაამაგროს.

კორეაში ახალგაზრდა კომუნისტური პარტია და სხვა რევოლიუციური ორგანიზაციები იაპონურ იმპერიალიზმს და კაპიტალიზმს ებრძვიან. პირველ მაისს ისინიც საერთაშორისო სოლიდარობის იდეის მიხედვით იდღესასწაულებენ. **მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაც** დაეხმარება შორეულ აღმოსავლეთს შემდეგი რევოლუცური ლოზუნგების მიხედვით: ძირს კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი! გაუმარჯოს რევოლიუციურ მოძრაობას ჩინეთსა, იაპონიასა, კორეასა და სხვა ქვეყნებში!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს და მსოფლიო რევოლიუციას!

სენ-კატაიამა.

მის საკუთრებად მიგვაჩნდა ჩვენი თავი.

შეიქნა ლაპარაკი.

აქ პირველათ დავინახე მარქსისა და ლასალის სურათები.

ერთმა უცხომ მოგვითხრო, თუ ვინ იყვენ ისინი და რისთვის იბრძოდენ. ილაპარაკა სხვებმა, მაგრამ ამ სიტყვების შინაარსი მე აღარ მახსოვს.

აქ ყველაზე უფრო წარმტაცი და მომხიბლავი იყო არა სიტყვების შინაარსი, არამედ თვით სიტყვები, ხმები, ხმაურობა, ამხანაგები ერთად თავმოყრილი.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა მაშინდელი თავყრილობა.

კარგა მობინდებული იყო, როცა ქალაქში დავბრუნდით.

მე თან ბლომათ წამოვიღე იმდღევანდელი ფურცლები.

— ბიჭო, იცი რა, მოდი ერთი შენთან შევიდეთ, ეს ფურცლები დავკეცოთ და გადავყაროთ ქუჩებში,— უთხარი ნაცნობ ჯარისკაცს, რომელიც ჩვენთან ერთად დაესწრო მაისობას.

მე ამ ჯარისკაცს კარგათ ვიცნობდი. უწინაც გვქონდა ნაცნობობა. ის თვით ქუთაისის მცხოვრები იყო. ეხლა ის საზღვარგარეთ დაიარება. არ ვიცი რამ მოუქცია მხარი, რამ მიიყვანა ის მენშევიკებთან. არ მინდა მისი სახელის გამხელა. თუ სადმე წაიკითხა ეს გაზეთი, თვითონ მიხვდება. გაახსენდება ის დრო...

— კარგი წავიდეთ.

ჩავიკეტეთ ერთი ოთახი, ამოვიღე ფურცლები, დავკეცეთ ცალ-ცალკე, ჩავალაგეთ პაკეტებში და გაუყევით ქუჩებს.

რა კარგია ახალგაზრდობა. ვინ იცის, რამდენ უაზრო ხიფათში კინაღამ არ გავაბით ჩვენ იმ ღამეს თავი.

შევაცოცებთ ფურცელს კონვერტში ჩადებულს კარებში შემდეგ, თუ დასარეკი ზარი ჰქონდა ხომ კარგი, თორემ თვით კარებს აუყენებდით ბრაგი-ბრუგს.

რამდენს დაუფრთხეთ ძილი; ვინ იცის, რამდენი შემოგვიკურთხეს.

შუაღამე იქნებოდა, როცა ჩვენ ერთმანეთს დავშორდით.

ეს იყო ჩემი პირველი პირველი მაისი.

შ. საყვარელიძე.

ორი პირველი მაისობა

(მოგონება)

საუკუნის მეოთხედმა განვლო მას შემდეგ!..

ეხლა მაგონდება, როგორც სიზმარში ნახული სურათი...

თითქოს ეს სხვაგან,—უცხო ქვეყანაში იყო! შორეულ წარსულში...

თუ გუშინ იყო ეს?..

წარსულის მოგონება ტკბილია— მწარეც, რომ იყოს.

ჰო!.. როდის იყო ეს? ოცდახუთი წელია მას შემდეგ! ეს იყო 1901 წელს 22 აპრილს!

„ოცდაორ აპრილს, ოცდაორ აპრილს, არ დაივიწყებს ჩამომავლობა!"...

მაშინ,—გატაცებული თვალებით, აღგზნებული გულით, ავსებული ბრძოლის ჟინით, ახალგაზრდა დაუდევარი,—ერთის დაკვრით ვლამობდი მომესპო დამყარებული ბოროტება!

და ვეშურებოდი...

იმ დილას მზე, უფრო მზეობდა. ჰაერი, როგორც გაზაფხულის სურნელოვანი დილა, ლაღი და წარმტაცი,—ყნოსვას ათრობდა, ახალისებდა...

დავიარებოდი, როგორც დადიან საპატარძლოს მოლოდინში,—მოუთმენელი სიარულით.

ვიცოდი, თორმეტ საათზე დაიწყებოდა პირველი პროლეტარული ზეიმი თბილისის ქუჩებზე...

მეც იქით ვეშურებოდი...

ვათვალიერებდი იმ ადგილს, სადაც უნდა აწეულიყო წითელი დროშა.

ალექსანდრეს ბაღის ბოლოში იქ, სადაც ტრამვაის ლიანდაგი ორად იყოფა და ერთმანეთს სცილდებიან,—ვხედავ როგორ გამოაქვთ ვაჭრებს საქონელი: მაგიდები, სკამები, ტახტები, შკაფები, სარკეები. რიგად აწყობენ და მუშტრის მოლოდინში ხელებს იფშვნეტენ.

ძირს გაშლილ ფარდაგზე არეულად ჰყრია მრავალნაირი რკინეულობა: კლიტე, გასაღები, გაზი, ნაჯახი, ცული, ქლიბი, ლურსმანი, ხერხი, ხელეჩო, ბარი, ჩაქუჩი და სხვა წვრილმანი.

მეორე მხარეს ფარდული გალამაზებულია თოკზე ჩამოკიდებული არშიებით, ლენტებით, ჩულქებით, საყელოებით, ფერადი პერანგებით, თავსაკრავებით და სხვადასხვა თეთრეულეობით.

ძველ მაგიდაზე უწესრიგოთ ჰყრია წიგნები, ყდიანი თუ უყდო, მომცრო თუ დიდი ტანის. ძველი თუ ახალი, არის ჟრიამული, ყვირილი, ხმაური, გაძახილი... გაჰკივიან: აქეთ! აქეთ;.. იაფად!.. იაფად!..

ერთმანეთში არეული მუშტარი საქონელს ათვალიერებს. ცოტა ხანს შეჩერდება, საქონელს დახედავს და უაზროთ ისევ გროვაში ერევა.

სალდათები, მეეზოვეები, შეგირდები, მზარეულები, მოსამსახურე გოგოები, მუშები,—ზოგი აქეთ მიდის ზოგი იქით.

ერთმანეთს ეჯახებიან. მხრების რხევით, ტალღის მსგავსად ერთმანეთში იბნევიან.

ძინ... ძინ... ძინ... გამხდარი ცხენები მოათრევენ „კონკას". კონკიდან გამოიყურებიან გაშტერებული, უაზრო, გამოფიტული თვალები.

არეული ხალხი ერთმანეთს აწყდება, იკუმშება და ისევ იშლება...

კვლავ ჟრიამული, ყვირილი, ხმაური, გაძახილი...

ადგილი თანდათან იჭედება. თითქო არეულ ხალხში ახალი ნაკადი ემატება: შავი ბლუზები კეტებით ხელში, გაფართოებული თვალებით ვიღაცას ეძებენ. ერთ ადგილას ვერ ჩერდებიან და ისევ დაშორდებიან...

ვიცი, რომ ესენი არიან სადემონსტრაციოთ მოსული მუშები. მალე დაიწყება, დაიწყება წითელი დროშის აწევით. სად აიმართება იგი? რა ადგილს?

შავ ბლუზიანების ჩურჩული და მისვლა-მოსვლა ხშირდება.

ხმაური და ჟრიამული გრძელდება.

უეცრად ხმაური სწყდება,—როგორც შოშიების ჟივილ-ხივილი მიმინოს გამოფრენისას. ყრუ გუგუნი მოისმის შორი მხრიდან. არეულ ხალხის ტალღის მსვლელობა თითქო ჩერდება.

უამრავ თავების ზევით გაიქროლებს, — როგორც ბურანში,—აქანებული წითელი დროშა.

ელექტრონის დენის ძალით შექანებული, ადგილს მოვსხლტები. მივარდევე მხრებს, მუცლებს, მკლავებს... ერთის წუთით კიდევ მოვჰკრავ თვალს აფრიალებულ წითელ დროშას და იმ ადგილს, სადაც დროშა დაეშვება ვამჩნევ,—დამფრთხალი, შეშინებული, გაქანებული სახეები აქეთ იქით როგორ იფანტება...

ჩემსკენ მობრუნებულ სახეებს შევსცქერ და მოცარიელებულ ადგილზე ვამჩნევ რამდენიმე „გოროდოვოის"— ხელჩარეული რომ ებრძვიან მუშებს.

ახალი ტალღა მიტაცებს.

როგორც ფარეხში შესვლის დროს ერთმანეთში იბნევიან ცხვრები,— ზურგს ახტებიან, იჭედებიან, წაქცეულს თავს ევლებიან და გაურკვევლად მიისწრაფვიან,—ისე ირევა ერთმანეთში ხალხი...

მირბიან, უკან იხედებიან, გვერდზე გახტებიან...

ისმის მტვრევა ჭურჭლის, ჭახუნი მაგიდების, ტყლაშუნი, წკრიალი, რახა-რუხი, სროლა...

და უეცრად საიდგანაც გამოქანებული ყაზახის ცხენების თქაფა-თქუფი...

აირევა ერთმანეთში: ცხენები და ხალხი. ყვირილი და სტვენა, ბაირაღის ტყლაშუნი და გინება, ოხვრა და გოდება, წყევლა და კრულვა...

მოედანი ცარიელდება, აქა-იქ არის ჯგუფობრივი შეჯახება, ცხენების ჭენება...

მიკეტილ დარაბებთან რამდენიმე „გოროდოვოის" გაუკრავთ თავშიშველი მუშა და ხმლის ყუით სცემენ...

ქამარ მოხსნილ მუშას მკლავებში მკლავებით გაყრილი მიათრევს ორი „გოროდოვოი" მათი ხმლები გვერდებზე უშნოთ ქანაობენ...

დარაბებთან მიჭედილ ჯგუფში შევარდება მათრახ გაშვერილი ცხენიანი ყაზახი და ზურგებზე ავარდება კორიანტელი...

გარბიან... გავრბივარ მეც. ვხედავ ჩემს წინ როგორ მირბიან ფეხები. მერე ეს ფეხები კიბეებზე ეშვებიან სარდაფში.

სარდაფში ერთმანეთზე მიკრულია, არეული ხალხი.

სიჩუმეა.

გაფართოებული თვალები. გაკვირვებული სახეები...

— ვა!.. ეს რა იყო, კაცო ჰა?..

იკითხება ერთი ყარაჩოღულად ჩაცმული, გააფთრებული სახით.

— რა იყო და, ბუნტი იყო!

პასუხს აძლევს მეორე.

— მერე ვინ ბუნტობს, რა მინდაო?.

— სუ დეპო!, ბიჭები იყვნენ!..

—ვაჰ! ვაჰ! ვაჰ!..

— მაშა!.. ბუნტი ჩაგდეს, რაღა!..

— მერე, რა გვინდაო მაინცა?

— ხელმწიფე არ გვინდაო!

— მაშ, რა ვირის თავ-ფეხი გვინდაო!

— ისე უნდა იყვეს, როგორც ფრანციაშიო!..

— ბევრი დაიჭირეს, აი?

— ვაჰ! ვაჰ! ვაჰ!..

მეორე პირველ მაისობა,—შემდეგ წელს!

ხოლო ეს იყო; არა ქალაქის ახმაურებულ ქუჩებში, არამედ, შორს ქალაქიდან, ტყეში, მტკვრის პირად...

რკინის გზის ლიანდაგისათვის შენდებოდა ხიდი მტკვარზე. თავი ჰქონდა მოყრილი თბილისიდან წასულ დეპოს მუშებს. მოეწყოთ წრე. გადაეწყვიტათ მაისობის დამონსტრაცია.

თბილისიდან წავედით სამი ამხანაგი დღეობის ჩასატარებლად.

დანიშნულ სადგურზე გვხვდებიან ამხანაგები. მივდივართ ხიდისკენ, ხიდის შემდეგ ლიანდაგს ვცილდებით და ბილიკი გზით ტყისკენ ვეშურებით...

ტყის ნაპირას ვუახლოვდებით და... ხეების აბნეულ რიგებში ვამჩნევთ გრძელ ტარიან ჯოხზე ამართულ წითელ დროშას...

როგორც ყაყაჩოთა კონა, ამწვანებულ ჯეჯილში,—ისე ბზინავს დროშა, მწვანეთ გაფურჩქნილ ფოთოლთა შორის.

გული გამალებით ჰფეთქს, როგორც პაემანზე მიმავალ ახალგაზრდისა.

მივრბივართ! ხის ტოტებთა შორის აფრიალებული დროშა გვიზიდავს, რხევით თითქო ხელს გვიქნევს...

დროშის გარშემო ჯგუფებათ მდგარი მუშები...

და მერე, უწესრიგოთ გაფანტული მძლავრ-ტანიანი მუხის ტოტები.

გარინდული, ბოძებივით ასვეტული ხეები, მყუდროებას იცავენ, თითქო მავნე თვალთაგან წითელ დროშას მალავენო.

ვუახლოვდებით ჯგუფს...

გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..

გაისმის კრთომით იდუმალებით მოცულ არეში.

თეთრი წვერები და ფაფარსავით წამოყრილი თმები მარქსისა, დროშის რხევასთან ერთად—ხან აქეთ მოექცევა, ხან იქით. შეჯგუფებული თავებიც მას შესცქერიან.

ტყის მეორე ნაპირისკენ ვიზიდები და ვამჩნევ მზის სხივებისგან ალაპლაპებულ წყლის ზოლს...

ნელად მისრიალობს სამშობლო მთების ცრემლთა ნაკადული—მარადი მტკვარი...

ჩემს გვერდით კი,—ტოტებში აზიდულ დროშას, ფოთოლთა შორის გამოპარული მზის სხივი გაუელვებს და აპრიალდება, როგორც ხვარძნილი ცეცხლის ალი.

მუშებს მოტანილი აქვთ საუზმე: წვანილი, ყველი, კალბასი, პური და ღვინო...

დროშის გარშემო ვსხდებით. და იწყება მაისობა უღრან ტყეებში...

აზიდული დროშა, ტოტებში მარაოს მსგავსად ჩამოშვებული მზის სხივები, აღგზნებული თვალებით მოლაპარაკე ამხანაგი, ხის ძირებში წამომსხდარი მუშები, მკლავებივით გაფანტული მძლავრი ხის ტოტები, შორით მოდუდუნე მტკვარი—ერთდება, დუღდება და გონების თვალით გადავდივართ შორს, უცხო, ფიანდაზებით მოფენილ მხარეში, სადაც სივრცეს იის ფერი აქვს და ცხოვრებას ვარდის ფერი...

ერთი მუშა დროშის ტარს მიწიდან აძრობს. მის გარშემო ვგროვდებით და ვიწყებთ ლიტანიასავით ხეების გარშემო სიარულს,—სიმღერით.

მტკვარზე მოსრიალებს ტივი... მედროშე იქით გასწევს და მეტივეების განცვიფრებულ სახეებს—გაღებული პირით და გაფართოებული თვალებით ჩვენ რომ შემოგვცქერიან,—„გაუმარჯოს პირველ მაისს"...—მივძახით...

ტივი მიჰყვება მტკვარს ქვევით და ხის ტოტებში იმალება...

უეცრად მოგვესმის მატარებლის ყივილი. და თითქო ჩვენც ამას მოველოდით ოვსხლტით ალაგს და იქით გავექანეთ, სადაც მატარებელს უნდა ჩაევლო.

გულის ფეთქის გამოაშკარავება გვინდოდა.

ლიანდაგს მიუახლოვდით და მატარებელმაც ჩამოიარა.

„ურააა!.. გაუმარჯოს პირველ მაისს!.. გაუმარჯოს სოციალიზმს!..

ქუდების ქნევით და დროშის რხევით შევეგებეთ ფანჯრებიდან გადმოყუდებულ თავებს...

მატარებელი მისრიალებდა და ჩვენც მივყვებოდით უკან, სანამ კარგ მანძილზე არ დაგვშორდა.

მერე გონს მოვედით და ისევ ტყეს მივაშურეთ...

დაშლის დროც იყო. დროშა დავკეცეთ და პატარ-პატარა ჯგუფებად დავიშალეთ.

დავით სულიაშვილი.

პირველ მაისს

ეს მაისი სხვა ფერია,
სხვა ჰანგებზე მოიმღერის,
ამიტომაც ჩემი ჰანგი
აღიადებს და უღერის.

—:—

მახსოვს ბევრი მაისობა,
ჩავაბარეთ მწარე წარსულს.
დღევანდელი გრძნობას მიტკბობს;
და მიშუშებს გულს, დადაღულს.

—:—

ქარხნის მუშა წინ მიუძღვის
თავგანწირვით გაბედულათ,
მიწის მუშა მხარს მიმშვენებს,
მიიკვლევენ გზას ერთგულად.

—:—

ორივენი განმსჭვალულვართ
ერთი აზრით ერთი გრძნობით,
და განვაგრძობთ ძველის ნგრევას,
ახალ ქვეყნის მშენებლობით.

—:—

ღვივის ქურა სამჭედლოში,
ცხელი რკინა იჭედება.
კვერი სცემს და გრდემლი ჰბანავს.
უფრო მძლავრათ ეხმარება.

ნაპერწკლები [illegible]
ეფინება [illegible]
აკოცონებს დედა-მიწას,
ალი ზეცას აელვარებს.

—:—

ტრაქტორები ამუშავდენ,
გადუსერებს ველებს მკერდი,
ჯეჯილები ბიბინებენ,
უმართლდება გლეხს იმედი.

—:—

ელსადგურებს ამრავლებენ,
სინათლის და ძალის მფენსა,
ჭკუა ხელობს, შრომა მძლავრობს.
იმორჩილებს წყალს, ჰაერსა,

—:—

მშენებელნი მშენებლობენ,
მათ დარაჯობს მშრომელთ ჯარი.
მჩაგვრელთ მხსნელად ლტოლვა არის
გადალახოთ გსურს საზღვარი.

—:—

მათ დიდებას ვეტრფი უმღერ,
მწყემსის სალამურიც ჰბანავს,
შრომის შვილებს გრძნობას უტკბობს,
მტარვალთ ბანაკს მეხავს, ზარავს.

მუშა **შაქრო ნავთლუღელი**

სალამი პირველ მაისს

სალამი ტურფად მორთულო,
კეკლუცო პირველ მაისო,
მსოფლიო პროლეტარების
სიამაყევო, ხალისო!
გამომხატველო მშრომელთ
სოლიდარობის, დიადის,
ნიშანო, წინამორბედო
მსოფლიო დიდ განთიადის

შენით ვამაყობთ მშრომელნი
შენ ხარ მომცემი შვებისა,
ძლევამოსილი იმედი
მომავალ გამარჯვებისა.
დღეს გესალმებით ზეიმით
სალამი შენდა, მაისო!
„ვაშა"-ს შეგძახით მუშები,
ჩვენო იმედო, ხალისო!

მუშკორი მილიციელი.

მეგობარო მომე ხელი

(ძღვნად პირველ მაისს).

შეხე, შეხე, გარიჟრაჟმა
რა რიგ სჩანთქა ბნელი ღამე,
ცის სივრცეში მკრთალად მოსჩანს
საყვარელი, ბადრი მთვარე...
შორს, შორს მთებზეც, ჰორიზონტზე
მზე ამოდის მოელვარე;
ჰა, ბუნებავ, ფრთა გაშალე,
მოკეკლუცე, მონარნარე!
დღეს მსოფლიო ჩვენ გვეკუთვნის,
ყველა კუთხის არე-მარე
ჩვენივ სისხლით განბანილი,
შრომის შვილო, ჩაიბარე!..

დღეს ქალაქი მხიარულობს;
დღეს სოფელი ჩანგზე მღერის;
დღეს დროშები დაჰფრია
და ბულბული ვარდს უმღ
დღეს შვებაა! ზეიმია!
დღეს ერთდება გრძნობა ჩვენი;
დღეს ვიგონებთ აღმზრდელს ჩვენსას,
დიდ ლენინის მოწაფენი...
ჰა, შეხედე ხალხს, ბუნებას!
ილიმება ყველაფერი;
დღეს მსოფლიო ჩვენ გვეკუთვნის,
მეგობარო, მომე ხელი!..

მუშკორი ნიკოლოზ ტაბაკინელი.

ძღვნათ პირველ მაისს

მოახლოვდა მაისი და
გაზაფხული მტკიცედ დადგა.
ზამთრის ყინვით შეხუთული,
ხალხიც შრომის გზას დაადგა.
ბევრი დროა, რაც შავ მუშას,
მე, მაისი შემიყვარდა,
ცხოვრებაშიც მინდა ვნახო
ტანჯვა შვებათ თუ გატარდა.
მაისია, შრომის შვილთ რომ
უხალისებს გრძნობა გულსა,

მაისია, რომ გამკურნავს
მუშა-გლეხის იარ წყლულსა.
ეს დღე არის მთელი ქვეყნის,
მშრომელ კლასის გზა და ხიდი,
ამ დღემ უნდა მათში შექმნას
სიყვარული, ძმობა დიდი.
მშრომელ მაჯამ თვის ნაშრომი,
რომ თავის-თავს მოახმაროს,
ამისათვის ყველამ უნდა
ეს დიდი დღე შეიყვაროს.

მუშა ალექსანდრე ბაჯიაშვილი.

ძღვნად პირველ მაისს

თვეებს შორის რჩეული ხარ, რიცხვით პირველი,
გრილჰავიანი, უწყინარი, მდილო-მზიანი.
არც ყინვა იცი, არც ქარბუქი, არც სიცხე, მწველი,
საამო ხარ, სატრფიალო, ხალისიანი.
მშრომელმა ხალხმა სწორედ მისთვის ამოგირჩია,
რომ გამარჯვების სრულს იმედებს შენზე ამყარებს,
შენ ემბლემა ხარ შრომის, ბრძოლის, თავისუფლების,
ბრძოლის საყვირის ხმას რომ აძლევ, გულსაც ახარებ.
მტრებიც ბევრი გყავს, მართალია, მუდამ გებრძვიან,

შენ მოალერსე-მოკავშირეთ ყველას გვდევნიან,
მაგრამ ერთობა შენს და მშრომელთ უძლეველია,
მისგან მტარვალნი უსასტიკესად დამარცხდებიან.
შეამჭიდროვე, მუშა ხალხო, ბრძოლის რიგები,
დღეს ალლუმია მშრომელთ ჯარის, ჩვენო მაისო,
გავანადგუროთ მთელ მსოფლიოში შრომისა ურჩნი,
წითელ დროშების ტყეც გამოჩნდა, ქუჩაც გაივსო.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

პირველი მაისობა

(როგორ მოვაწყვეთ გაფიცვა ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებმა).

1904 წ. 30 აპრილი ორშაბათი იყო. ყველა მუშები სამუშაოზე გამოვცხადდით. ყველაზე ადრე მე და გიგო მივედით. ორივეს გვქონდა საპირველმაისო ბოლშევიკური ფურცლები. მალე პეტრე და სტეპკოც გამოცხადდენ და მოიტანეს მენშევიკური ფურცლები. ჩვენ ვიყავით ბოლშევიკურად განწყობილი მხოლოდ ხუთი სული ამ ქარხანაში. უმრავლესობას კი შეადგენდენ ისინი. ვიდრე ქარხნის კარები გაიღებოდა, ჩვენ ოთხივემ მოვილაპარაკეთ მეორე დღის შესახებ (ე. ი. პირველი მაისი როგორ ვიდღესასწაულოთ). სადილობის დროს შევიკრიბენით ამხ. პეტრა შემარნიშვილთან. ის მუშაობდა ქარხნის ქვეშ სარდაფში მატორებზე. შესავალი კი ეზოდან ჰქონდა. ეს იყო ჩვენი საიდუმლო ბინა. სადილობის დროს შევგროვდით 15—17 კაცამდე, ვიკამათეთ და დავადგინეთ, რომ ჩვენ, ვინც ამ კრებაზე ვიყავით, არ გამოვცხადდეთ ქარხანაში პირველ მაისს. მაგრამ ჩვენ აქ უფრო გვაინტერესებდა ის, რომ მექარხნეს და პოლიციას ეგრძნო ჩვენი ძლიერება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დავადგინეთ: დაევალოს ამხ. პ. შემარნიშვილს— დაჰკეტოს მანქანების კარები და გასაღები არ ჩააბაროს ქარხნის გამგეს და თან წაიღოს. მეორე დღეს, ვიდრე ქარხნის კარები გაიღებოდა, უკვე ფეხზე იყო წამომდგარი მექარხნე. გამგეც ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა, გაიღო ქარხანა 15 წუთით ადრე. მუშები თავიანთ განყოფილებებში წავიდენ. მე და ფილიპე კობაძე მოშორებით ვიდექით და შევამჩნიეთ, რომ ქარხნის გამგე ქუდმოგლეჯილი დარბოდა. პეტრეს ეძებდენ.

გამოცხადდა მექარხნეც. გახდა საათის 9, მაგრამ მაინც პეტრეს ვერა პოულობდენ. ამ დროს უსაქმო მუშები უკვე გამოდიოდენ საუზმეზე და იქვე ფურნის ქვეშ „პადვალში" მიეშურებოდენ. ფილიპეს ჩვენგან დავალება ჰქონდა მიეპატიჟნა მუშები. მას მიემატა ვანო, ვასო, მიხუა და სხვა, ასე —სამუშაო დღე თითქმის განახევრდა.

ბოლოს შესძლეს კარების გახსნა და აამუშავეს მატორები, მგრამ ქარხანაში ნახევარზე მეტი მუშა აღარ იყო.

ასე ვიდღესასწაულეთ პირველი მაისი.

მუშა ა. უმბრიევი.

საპირველმაისოდ

(მუშის მოგონება)

როცა ამ სიტყვებს გაიგონებს მუშა, მას ერთი წუთითაც არ ავიწყდება ის ახლო წარსული და აწ ისტორიის არქივში ჩაბარებული წყეული ნიკოლოზის რეჟიმი და ყველა მისი ერთგული ჯალათები.

განა შეიძლება მუშებმა დაივიწყონ ის, რაც გზას გვიკრავდა და გასაქანს არ გვაძლევდა არაფერში!

აი აგერ თვალწინ მიდგას სალდათის ბაზარი, ალექსანდრეს ბაღის კუთხე, სადაც 1900 წელს აფრიალდა წითელი და პატარა დროშა მარქსისა და ენგელსის სურათებით გამოხატული. მუშები თანდათან თავს იყრიან მის ირგვლივ; ყველა გრძნობს, რომ ის დღეს უშუალო მონაწილეა იმ სოლიდარობისა და საერთო ბრძოლის კაპიტალისტებთან, რომელიც უნდა განხორციელდეს ლოზუნგით: „მუშების განთავისუფლება—თვით მუშების საქმეა!" აგერ გამოჩნდენ რკინის გზის მუშები, ყველა მათგანი სათანადოდ არის შეიარაღებული —მსხვილ-მსხვილი ბზის, ზოგი შინდის „ტროსტებით", რომ თუ ვინიცობაა პოლიციასთან შეტაკებაში ის მოხვდა, მტერს საკადრისად პასუხი მისცეს. სტამბის მუშებიც ბლომად არიან, ერთი მეორეს უყურებენ, ელიან საერთო ნიშანს, რომ არავის გამორჩეს წითელი დროშის ის წარმტაცი სურათი, რაც მას ამშვენებს.

აგერ ჩვენი არაქელაც თავისი ჩიბუხით და უზარმაზარი ბზის კოხტად შეღებილი კომბალით ხელში დასეირნობს ალექსანდრეს ბაღთან და თვალით ანიშნებს ამხანაგებს დანიშნულ ადგილას შეჯგუფდენ და მას თვალი არ მოაშორონ. ჩვენთან არის მუშა მამალაძე, რომელსაც რევოლვერი ჯიბეში აქვს და მზადაა მტერს მოუშვიროს, თუ მან მოიწადინა წითელი დროშის შებღალვა.

არსენალიც გაჩუმებულია. ჯერ თორმეტი საათი შორსაა. გამოსვლის და წითელი დროშის აფრიალების ნიშნად ყველასათვის ცნობილია 12 საათის შესრულების დროს არსენალის გორიდან ზარბაზნის გრიალი. ეს ყველას, ვინც სადემონსტრაციოდ გამოსულა სალდათის ბაზარზე 1-ლ მაისს, გაგებული და შეგნებული აქვს—ს.-დ. ორგანიზაციამ დაადგინა ასეთი ნიშანი დემონსტრაციისათვის.

პოლიციასაც არა სძინავს. მასაც გაუგია, რომ მუშები საპირველმაისო დემონსტრაციას აპირობენ; ზოგიერთი „გოროდოვოი" გაფითრებული იყურება, „ფერი-ფური" წასვლია, მუშების „ტროსტებს" დაუფეთებია და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს მკვდარი იყოს, რაღაცას გრძნობს, ინსტიქტიურად გრძნობს, რომ მის მაგარ ზურგს მაგარი მუშის კომბალი არ ასცილდება... ოკოლოდოჩნიკებიც „საპოზოდოდ" არიან მორთულნი; მათ ჩაგონებული აქვთ რომ დღეს მუშათა საერთაშორისო დღეა,— პირველი მაისი, რომელსაც „სოციალისტები და ურიები" ქადაგებენ: მათ „ღმერთი და ხელმწიფე" არა სწამთ, იქ, ევროპაში, მუშათა კლასი „თავისუფალია", მაგრამ თვითმპყრობელურ რუსეთში ხომ აქ შეიძლება ასე იყოს,

ჟანდარმებიც ხშირად მიდი-მოდიან, ეტყობათ მათაც, რომ შორს არაა ის ხანა, როცა მუშათა კლასის მედგარი შემოტევით ნიკოლოზის ტახტის ხუხულა დაინგრევა; ცხენოსანი ჟანდარმებიც თანდათანობით ჩნდებიან და მზად არიან მუშებს დაერიონ.

აგერ იქ, გასწვრივ, თავი მოუყრია მუშათა ჯგუფის ორ თუ სამ კაცს და რაღაცაზე მსჯელობენ. ბოლოს ირკვევა, რომ ყაზახთა ცხენოსანი რაზმი მოეშურება სალდათის ბაზრისაკენ „წესიერების დასაცავად" და „ბუნტოვშჩიკების" გასაფანტავად. საომრად არიან გამოწყობილი და მხეცებივით აბრიალებენ თვალებს. მათ [illegible] უხვად გადაუკრავთ, რომ მეტი „სიმამაცე" და თავდავიწყება გამოიჩინონ „წესიერების" აღდგენის დროს და ასიამოვნონ თავიანთ ბატონებს.

„დვორნიკების" მობილიზაციაც არაა დავიწყებული და დიდი ტუკებით ხელში მათაც ევალებათ ბურჟუაზიის მყუდროება და თვითმპყრობელობა ერთგულად დაიცვან

ჰაი, გიდი, რამდენი მუშა დაასახიჩრეს ამ პოლიციის უშუალო აგენტებმა წარსულ ბრძოლებში დაუნდობელი ჯოხების ცემით დემონსტრაციის დროს ქუჩებში!..

ზარბაზანის გასროლის დროც ახლოვდება. კიდევ ორი წუთიც და შეიქნება ხელჩართული „ჯახი-ჯუხი" მუშების ჯოხებისა და პოლიციელების ხმლებს შორის:..

ვინ აჯობებს ბოლოს გამოირკვევა. მხოლოდ სადემონსტრაციოდ მოსული მუშების გადაწყვეტილებაა, ბოლომდე განაგრძონ ასეთი ბრძოლა, სანამ მთელი ძალა-უფლება მუშებს ჩაუვარდებოდეს ხელში.

გაისმა ზარბაზანის გრიალი და იმავე წუთში წითელი დროშა ჰაერში აფრიალდა. მას გარშემო მუშები იცავენ. დროშა საიმედო ხელში აქვს მუშა არაქელას და ის მას გააფთრებით იცავს!.

[illegible] მუშები თავის საყვარელ წითელ დროშას თავდავიწყებით იცავენ თავფხიან შეიარაღებულ ნიკოლოზის ჯალათებისაგან... სალდათის ბაზარი ხალხისაგან იცლება. ბევრს აპატიმრებენ და ციხეში მიჰყავთ. არა უშავს, ციხე ხომ ერთნაირი სკოლა იყო რევოლიუციისათვის...

—ეი, სადა ხართ, ძველი რეჟიმის სულთა-მხუთავნო?-.. გაგონდებათ თუ არა თქვენც ის დრო, როცა მათრახებით მუშების ზურგზე „ალაყ-მალაყებს" გადადიოდით?!..

გაიხსენეთ წლები—1900, 1901, 1902 და შემდეგი თქვენი „გმირული მამაცობისა" და თრთოლდეთ იმ წითელი პატარა დროშის მოგონებით, რომელიც დღეს უზარმაზარ საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების სივრცეზე გაიზარდა შრომის თავისუფალ ქვეყანაში და მას ამაყად დაჰყურებს ზევიდან.

ეს ის პატარა წითელი დროშაა, რომელიც თქვენი მეოხებით სისხლით შეღება მუშათა კლასმა წარსულ ბრძოლებში საპირველმაისო დემონსტრაციებში, და რომელზედაც ოქროს ასოებით ამოჭრილია:

— „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

მუშა უ. ჯაში

დიდი გადაფრენების კამპანიის ჩატარებისათვის

(თეზისები)

1. საავიაციო და ქიმიურ თავდაცვის და მრეწველობის საზოგადოება, საჰაერო ფლოტის მეგობართა და ქიმიურ მრეწველობის მეგობართა ყოფილი საზოგადოებანი, დაარსდა 1923 წ. მარტში, საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წელს, როდესაც დამთავრდა მუშათა კლასის და გლეხების ძლევა-მოსილი ბრძოლა საზღვარგარეთელ და შინაურ კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის საჰაერო და ქიმიურ თავდაცვის დამხმარე საზოგადოების ორგანიზაციის გარეგნული საბაბი იყო ლორდ კერზონის „ცნობილი“ ულტიმატუმი.

2. საბჭოთა ქვეყნების მუშებმა და გლეხებმა ამ ულტიმატუმზე უპასუხეს თავიანთი რიგების სიმტკიცით და შემჭიდროებით და წითელ საჰაერო ფლოტს გადასცეს საავიაციო რაზმი „ულტიმატუმი“, როგორც ნიშანი იმისა, თუ როგორ პასუხს აძლევს რევოლიუციონური პროლეტარიატი იმპერიალიზმის და ყველა იმათ გამოსვლებზე, ვინც გაბედავს ხელი შეახოს მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

3. ერთი რაზმის ჩაბარებას მოჰყვა შემდეგი და ჰაერში აფრინდენ ესკადრილიები „ლენინი“ № 1, „ლენინი“ № 2, „ძერჟინსკის“ სახ., „წითელი ბალტიელი“, „მორეულ-აღმოსავლეთის ულტიმატუმი“, „წითელი მოსკოვი“, „ილიჩი“ და მთელი რიგი ცალკე ჰაეროპლანები, მათ შორის საბჭოთა საქართველოდან: „თბილისელი მუშა“, „წითელი აფხაზეთი“ და „წითელი აჭარისტანი“.

4. ამ მუშაობის შემდეგ ამოძრავდა მთელი მშრომელი ხალხი, რომელმაც შეიგნო საჰაერო საფრთხე და მისცა წითელ საჰაერო ფლოტს არა მარტო თავისი კაპეიკები და მანეთები, არამედ თავისი მორალური და ძმური დახმარება. დაარსდა საგანმანათლებლო წრეების, კუთხეების, ქიმიურ ლაბორატორიების სანიმუშო-საცდელ მინდვრების ქსელი, (ნიადაგის გამანაყოფიერებელი და მავნეებთან საბრძოლველ საშუალებებით), სემინარიუმები, კურსები და და სხვა. საზოგადოებრივი დახმარებით საავიაციო და ქიმიურ მრეწველობის მშენებლობა მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული; იგი განთავისუფლდა საზღვარგარეთის მრეწველობისაგან ჰაეროპლანების შექმნის საქმეში; გადაჭრილია მატორების მშენებლობის ძნელი პრობლემა და ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი საკუთარი კონსტრუქციის საბჭოთა მოტორი, რომელიც კეთდება ჩვენ საავიაციო ქარხნებში.

5. საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობამ, მშრომელ მასების დახმარებით, უკანასკნელ წელს დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩვენი ჰაეროპლანები პირველად გაშორდენ კავშირის საზღვრებს 1924 წელს და გადაფრინდენ ტერმეზიდან (შუა აზია) ყაბულში (ავღანისტანი), დასძლიეს რა ჰინდუკუშის ქედი, უფრო გვიან საბჭოთა პილოტები გადაფრინდენ ბაქოდან თეირანში და ბოლოს 1925 წ. ზაფხულზე დიდი საბჭოთა ექსპედიცია გადაფრინდა მოსკოვ-პეკინ-ტოკიოში.

6. წარსული გადაფრენების გამოცდილების და საავიაციო მშენებლობის დარგში წარმატების მიღწევის შემდეგ, ამა წლის ზაფხულის შუა რიცხვებში საბჭოთა საზოგადოებრიობა „ავიაქიმის სამ მილიონიან წევრთა სახით, გადადის ახალ ეტაპში და აწყობს რამდენიმე გადაფრენას დასავლეთ-ევროპაში და ახლო-აღმოსავლეთში. გავლილი იქნება მანძილი 20 ათასი კილომეტრი—საბჭოთა კავშირის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრალიის, პოლონეთის, ოსმალეთის და სპარსეთის ტერიტორიებზე.

7. გადაფრენა მოხდება 4 მიმართულებით: 1 გადაფრენა საფოსტო აეროპლანით —მარშრუტი.—მოსკოვი—კენიგსბერგი - რომი, პარიზი—ვენა — პრაგა — ვარშავა—ფრანკფურტი, მე-2 გადაფრენა სამგზავრო ჰაეროპლანით—მარშრუტი— მოსკოვი-ბერლინი-ფრანკფურტი-კენისბერგი - მოსკოვი მე-3 გადაფ.—მოსკოვი—ხარკოვი—სევასტოპოლი — [illegible]—თბ.—კავკავი—როსტოვი—ლიპეცკი—მოსკოვი. ამ მარშრუტს ხვდება დიდი სიძნელენი გზაში—უნდა იქნას გადალახული შავი ზღვა და კავკასიონის ქედი. და ბოლოს მე-4 გადაფრენა, რომლის საბოლოო პუნქტია სპარსეთი-მოსკოვი-ხარკოვი - როსტოვი - მინერალური წყლები-ბაქო-თეირანი.

ყველა გადაფრენა მოხდება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ორიგინალურ კონსტრუქციის ჰაეროპლანებზე, რომელიც აშენებულია საბჭოთა ინჟენერების ნახაზებით და ხელმძღვანელობით, ჩვენი მუშების მიერ და ჩვენს საავიაციო ქარხნებში.

8. წარსული წლის გადაფრენამ ჩინეთსა და იაპონიაში დაამტკიცა საბჭოთა მფრინავების ფრენოსნობის დიდი უნარი, მიმდინარე წლის გადაფრენა ევროპასა და ახლო-აღმოსავლეთში წარმოადგენს პასუხს შარშან უცხოეთის მფრინავთა გადმოფრენაზე საბჭოთა კავშირში. ეს გადაფრენა ამტკიცებს იმას, რომ საბჭოთა საავიაციო მშენებლობა დამდგარია ფართო ევროპიულ გზაზე.

9. ამ დიდი გადაფრენათა ჩატარებას დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში აქვს ჩვენთვის უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ტეხნიკური მნიშვნელობა: ჩვენი წითელი მფრინავები გაეცნობიან საავიაციო საქმეს სხვა ქვეყნებში, სადაც ამ მხრივ დიდი წარმატებებია მიღწეული და თავის მხრივ დაანახვებენ ხალხს და ევროპის ავიაციას მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს უკანასკნელ მიღწევებს, რადგან ყოფილ მეფის რუსეთს არ ჰქონდა თავისი საავიაციო მრეწველობა და ეს დარგი პირველად დაადგა განვითარების გზას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. გადაფრენამ პეკინსა და ტოკიოში საკმაოთ განსაზღვრა ჩვენი ადგილი მსოფლიო ავიაციის რიგებში. ახალმა გასვლამ დასავლეთში და აღმოსავლეთში საბოლოოდ უნდა განამტკიცოს საბჭოთა ავიაციის მიერ მოპოებული ადგილი.

10. მუშები და გლეხები, საბჭოთა მოსამსახურეები და წითელ-არმიელები, პირველ რიგში ავიაქიმის წევრები კიდევ უფრო ახლოს უნდა გაეცნონ ამ დღეებში ავიაციას, როგორც კულტურის და ტეხნიკის უდიდეს მიღწევას. საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებმა შეძლების დაგვარად მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ გადაფრენის მოწყობაში და თუნდაც მინიმალური მონაწილეობა მიიღონ საშუალებათა გამონახვაში.

11. ამ ფრიად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ მუშაობაში, მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო თვით მოსახლეობამ, არამედ ყველა ჩვენმა პარტიულმა, პროფესიონალურმა, კომკავშირის, პიონერთა, საბჭოთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სხვა ორგანიზაციებმა. არ უნდა დარჩეს არც ერთი ორგანიზაცია, რომელმაც თავისი წვლილი არ შეიტანოს საბჭოთა საავიაციო მრეწველობის მშენებლობაში.

12. გადაფრენის მოსამზადებელი კამპანია უნდა ჩატარდეს წითელი საჰაერო ფლოტის გაძლიერების, საავიაციო მრეწველობის განვითარების საბჭოთა გადაფრენებისათვის ხელის შეწყობის, საზოგადოების რიგების გაფართოების და დაბალი საფეხურის საავიაციო ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველების და გაღრმავების ნიშნით.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ.საპროპ. განყოფილება.

საქ. „ავიოქიმის“ პრეზიდიუმი.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 10—49

პარტიული ცხოვრება

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა სოფლად

(წერილი აჭარისტანიდან)

სოფლად სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა განისაზღვრება ორი ძირითად ამოცანით: პარტიის წევრთა შორის პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებით და მშრომელთა ფართო მასების კულტურულ მომზადებით.

რევოლიუციის არც ერთ პერიოდში ისე მწვავეთ არ დასმულა საკითხი პარტიისა და კომკავშირის წევრთა ფართო მასების პოლიტიკურ მომზადების შესახებ, როგორც დღეს, თუ ჩვენ ვერ შევძლებით სოფლად მომუშავე ამხანაგების პოლიტიკურ განვითარების დონის ამაღლება, ცხადია ვერც კომუნისტურ ხელმძღვანელობას გავაძლიერებთ გლეხობაზე.

სამწუხაროთ, ამ მხრივ მდგომარეობა მეტის-მეტათ ცუდია; პარტიის და კომკავშირის წევრთა პოლიტიკურ უცოდინარობა მასიურ მოვლენას წარმოადგენს აჭარისტანის სოფლებში. ხშირად სოფლელი კომუნისტი ვერ ერკვევა ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებში, ის არ იცნობს პარტიის პროგრამას, საბჭოთა ხელისუფლების მიზნებს და ამოცანებს და შეგნების მხრივ ასეთივე ჩამორჩენილი ელემენტებია სოფლად, როგორც დანარჩენი უპარტიო გლეხები.

ამიტომ პარტია გაძლიერებულ ყურადღებით უნდა მოეპყროს სოფლად პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის გაფართოების და გაღრმავების საკითხს. აუცილებლად საჭიროა სოფლის უჯრედებში აგიტ-პროპაგანდის დარგში მომუშავეთა კადრის შექმნა, მათთვის პოლიტ-ცოდნის წრეების დაარსება, სხვადასხვა საუბრების მოწყობა. ერთი სიტყვით, საჭიროა უჯრედებში აღმზრდელობითი მუშაობა ისე მოვაწესრიგოთ, რომ თვით უჯრედმა შესძლოს სოფლად მუშაობის ამოცანებში და სათანადო ხელმძღვანელობასაც გაუწევენ მას.

ამავე მიზნით უნდა გავამართლოთ პოლიტ-სკოლების რიცხვი და ჩავაბათ ამ სკოლებში პარტიული მასა.

არა ნაკლებ სერიოზული მნიშვნელობა აქვს მეორე საკითხს—გლეხთა მასის პოლიტიკურ-კულტურულ აღზრდას. ამ დარგში დღემდის უმთავრეს როლს თამაშობს ჩვენი ქოხ-სამკითხველოები.

მართალია, სოფლის ქოხ-სამკითხველოების მუშაობა დღემდის საგრძნობლად მოიკოჭლებს, მაგრამ თუ დღემდის რომელიმე სოფელში შენახათ კულტურის ხსივმა, სკოლის შემდეგ, იქ პირველი ადგილი ქოხ-სამკითხველოს უჭირავს.

ვიმეორებთ, ჩვენს ქოხ-სამკითხველოებს ჯერ-ჯერობით მრავალი ნაკლი აქვს: მრავალ მათგანი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ვინაიდან ფართო მასა წერა-კითხვის უცოდინარია. გარდა ამისა, ისინი არ არიან მატერიალურად უზრუნველყოფილი, არა აქვთ საკმაო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები და სხვ. ამიტომ პარტიისა და საბჭოთა ხელიუფლების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი საგანს შეადგენს პოლიტაღმზრდელობითი დაწესებულებათა გაჯანსაღება და მათი დაახლოვება გლეხთა ფართო მასასთან.

პარტიამ აგრეთვე ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სოფლის კომკავშირის პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას. სოფლის კომუნისტური ახალგაზრდობა უთვალავ უხილავ ძაფებით არის დაკავშირებული სოფლის უპარტიო მასასთან და, მაშასადამე, მას სერიოზული სარგებლობის მოტანა შეუძლია მშრომელ ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ აღზრდის სფეროში.

მაგრამ სხვას რა უნდა ასწავლოს, თუ თვით წერა-კითხვა არ იცი და ზოგადათ მაინც ვერ ერკვევი დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების მოვლენებში? ჩვენი ახალგაზრდობა სოფლად, როგორც კომუნისტური, ისე უპარტიო მასა, მეტის-მეტად ჩამორჩენილია არამც თუ პოლიტიკურად, საგრძნობმა ნაწილმა წერა-კითხვაც კი არ იცის. აი სწორედ აქ არის საჭირო უფროს ამხანაგის—კომუჯრედის დახმარება და ხელმძღვანელობა.

ჩვენ ამ წერილში აღარ ვეხებით სოფლის მშრომელ ინტელიგენციას, რომელიც სერიოზულ როლს თამაშობს ჩვენი სოფლის კულტურულ აღორძინების საქმეში, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სოფლის ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირის დამყარება და მათთან ერთად კულტურულ-პოლიტიკურ დარგში თავდადებული მუშაობა ერთ-ერთი საპატიო ამოცანათაგანია ჩვენი სოფლის კომუჯრედებისათვის.

შ. ფოცხიშვილი.

მესამე რაიკომის კავშირი ჯართან

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მესამე რაიკომმა მოიწვია სამხედრო ნაწილების საერთო კრება. კრებას დაესწრენ პირველი ქართული პოლკის, პირველი ცხენოსანი პოლკის, მეექვსე ტერ. პოლკის და მეორე საარტილერიო დივიზიონის წარმომადგენელნი. კრებაზე გაკეთებულ იქნა მესამე რაიკომის საანგარიშო მოხსენება. მოისმინა რა რაიკომის საანგარიშო მოხსენება, კრებამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. რაიკომის პრეზიდიუმმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მოისმინა კავკასიის მე-66-ე პოლკის, პირველი ცხენოსანი პოლკის, მეექვსე ტერიტორიალური პოლკის და მეორე საარტილერიო დივიზიონის კოლექტივთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებები. ხსენებულ ბიუროების მუშაობა რაიკომმა დამაკმაყოფილებლად სცნო.

უღ.

თელავის სამაზრო ორგანიზაციის მდგომარეობა

უკანასკნელი თვეების განმავლობაში (იანვარი, თებერვალი და მარტი) თელავის მაზრაში პარტიული მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ჩატარდა ძირითად პარტორგანიზაციების გამოკვლევა, რამაც ცხადყო, რომ უჯრედების მუშაობა გაუმჯობესდა.

აქტივობა სამაზრო ორგანიზაციაში თან და თანობით იზრდება, რაც უნდა მიეწეროს პარტიულ ამხანაგების პოლიტცოდნის დონის ამაღლებას.

უპარტიო გლეხობასთან განწყობილება კარგია, უჯრედის ღია სხდომაზე გლეხობა საკმაოდ ესწრება და იღებს მონაწილეობას დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაში.

პარტკრებები იმართება ყოველ-კვირეულად, სადაც ისმება, როგორც პარტიული ხასიათის, ისე ადგილობრივი სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხები. უჯრედის სხდომები უმეტეს შემთხვევაში ღია არის.

უჯრედებიდან არიან გამოყოფილი პასუხისმგებელი ხელმძღვანელები კომკავშირის და ქალთა შორის სამუშაო, რომლებსაც უჯრედი შეძლების და გვარად აძლევენ პრაქტიკულ მითითებებს.

მაზრაში არის 7 თემკომი. უჯრედებს თემკომებთან აქვთ ცოცხალი კავშირი; მაზრაში 13 კომუჯრედი იმყოფება: სამაზრო პარტკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

გეგმიანი სისტემის გატარებაში თემკომებმა გამოიჩინეს ცოტა სისუსტე.

პარტმუშაობა ტრანსპორტზე სწარმოებს სატრანსპორტო პარტუჯრედის საშუალებით.

სამაზრო პარტორგანიზაცია —თემკომები და უჯრედები საბჭოების გადარჩევას სათანადო ხელმძღვანელობას უწევდენ.

ზოგან ორგანიზაციაში ემჩნევა პარტ დისციპლინის დარღვევა, მაგრამ სამაზრკომს ამის საწინააღმდეგოთ აქვს მიღებული საჭირო ზომები.

თელაველი.

ტყიბულის პარტკომის მუშაობა.

(ქუთაისის მაზრა)

ტყიბულის საუბნო პარტკომი აერთიანებს სამ უჯრედს: ერთია თვით მაღაროებში, მეორე დაბა ტყიბულში. სატრანსპორტო უჯრედი და მესამე სოფ. ხრესილში. მორიგი კრებები ყველა უჯრედებში ხდება ორ კვირაში ერთხელ. ხშირად ხდება გაერთიანებული კრებები პარტუჯრედისა ახ. ლ. კომკავშირთან. უპარტიო გლეხებთან და მუშებთან კრებები კი ხდება თვეში ერთხელ.

ტყიბულის მუშაობას აწარმოებს, როგორც გლეხებს შორის, ისე ტყიბულის მაღაროების მუშებში; უკანასკნელთა რიცხვი დაახლოვებით 1.200-მდე აღწევს.

ღია კრებებზე მოხსენებები კეთდება ადგილობრივი ხასიათის საკითხზე: ქვანახშირის წარმოებაზე, კოოპერატივების, საავადმყოფოს მუშაობის შესახებ და სხვა საკითხებზე, რასაც უპარტიო მუშები და გლეხები დიდი ხალისით ისმენენ და მათ განხილვაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ.

დამოკიდებულება კომკავშირთან დამაკმაყოფილებელია.

ახ.ლ. კომკავშირის ტყიბულის რაიკომი აერთიანებს 2 თემკომს და 11 უჯრედს. კომკავშირის ორგანიზაციაში სისტემატიურად სწარმოებს პოლიტმეცადინეობა. კომკავშირელები ჩაბმული არიან სხვადასხვა საზოგადო და საბჭოთა მუშაობაში. ახ. ლ. კომკავშირის ტყიბულის რაიკომი ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე ბავშვთა კომუნისტ. ორგანიზაციას, რომელშიაც ირიცხება 7 კოლექტივი 450 პიონერით.

სოფლის კომკავშირის უჯრედებზე კავშირი და ხელმძღვანელობა მაისუსტებს, რასაც რაიპარტკომი აქცევს სათანადო ყურადღებას ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ტყიბულის უბნელი.

ორგანიზაცია ჯანსაღდება

(წერილი ახალქალაქიდან)

უკანასკნელი კონფერენციის შემდეგ ახალქალაქის სამაზრო ორგანიზაციის მდგომარეობას ახასიათებს, როგორც წევრების რიცხვობრივი ზრდა, ისე გაწეული მუშაობის ნაყოფიერება. ნახევარი წლის განმავლობაში ახალ სამაზრო კომიტეტის მუშაობაში გვაქვს მთელი რიგი მიღწევებისა პარტიული მშენებლობის განმტკიცება-განვითარების დარგში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ხუთი წლის განმავლობაში ორგანიზაციაში მხოლოდ მოსული ელემენტები შედიოდენ და გარდა ამისა მთელ რიგ მიზეზების გამო, მთელი ორგანიზაცია გაუქმებულ იქნა, მიღწევები მდგომარეობენ იმაში, რომ ამჟამად ორგანიზაციაში ირიცხება 94 მიწის მუშა გლეხი (უმეტესად ღარიბი გლეხი და მოჯამაგირეები), 19 მუშა და 25 მოსამსახურე; 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის კი ირიცხებოდა 59 გლეხი, 15 მუშა და 22 მოსამსახურე.

ქალაქში მოწყობილია 3 ხოლო, სოფლებში—ერთი კომუჯრედი და ათი საკანდიდატო ჯგუფი. ამ უკანასკნელებმა დიდათ გამოაცოცხლეს პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრება სოფლად და თავის გარშემო შემოიკრიბეს უპარტიო მუშების განსაზღვრული კადრი. კომკავშირს მაზრაში ათასამდე წევრი და კანდიდატი ჰყავს. უკანასკნელების შეთანხმებული მუშაობა საკანდიდატო ჯგუფებთან ხელს უწყობს პარტიის ავტორიტეტის ამაღლებას. ყველა კამპანია, რომელსაც პარტია ატარებს, გლეხობის ფართო მასებს იზიდავს. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში ჩაბმულია სოფლის ინტელიგენციაც. პარტიულ და პოლიტიკურ საკითხების გარდა უჯრედების და საკანდიდატო ჯგუფების სხდომებზე ირჩევა აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კითხვები, მაგალითად მიწის, საძოვრების, პოლიტ-განათლების მუშაობის საკითხები. დიდი ყურადღება ექცევა კოლექტიურ მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო არტელების მოწყობის საკითხებს. ეს საკითხები დიდათ აინტერესებთ უპარტიო გლეხებს.

სოფლად დიდძალი გლეხობა ილტვის პარტიისაკენ, მაგრამ მათ მიღებას აფერხებს ის გარემოება, რომ რეკომენდატორების რიცხვი ნაკლებია. სამაზრო კომიტეტმა მიიღო ზომები ამ ფორმალური მხრის შესრულების გასაადვილებლად: ხდება პარტიის წევრების მიმაგრება საკანდიდატო ჯგუფებზე ახლად შემოსულთა გასაცნობად.

გლეხ ქალებს შორის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მაზრაში 153 დელეგატი ქალია (ნორმის მიხედვით 25 ქალზე ერთი დელეგატი მოდის), მაგრამ პარტიაში ჩაბმულია 222 2დელეგატი ქალი. ზოგიერთ სოფელში ქოხ-სამკითხველოსთან ეწყობა „გლეხ ქალის კუთხე“.

ქალაქში და სოფელში მოწყობილია 8 პოლიტ-წრე, 1 პროფ-წრე, 1 იურიდიული წრე, 4 მოძრავი სკოლა (სოფლებში) და 1 ლენინის წრე, რომელსაც 378 მსმენელი ჰყავს, აქედან 75 პროცენტს უპარტიო გლეხები შეადგენენ.

სამაზრო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიულ—აღმზრდელობითი მუშაობას საკანდიდატო ჯგუფებში. ახალი კანდიდატების მიღების გამო განზრახულია საკანდიდატო ჯგუფების რიცხვის გადიდება.

შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქის ორგანიზაცია უკვე გამოვიდა ის ალდენის პერიოდიდან, დაშლის შემდეგ და ამჟამად ძლიერდება მუშაობა პირველი საფეხურის პარტ-ორგანიზაციების განსამტკიცებლად სოფლად.

ლევის.

როგორ მუშაობს ჩვენი ორგანიზაცია

(გორის მაზრა)

მთელს მაზრაში დამთავრებულია ქალთა დელეგატების არჩევნები. მაზრაში 1123 დელეგატი ქალია.

ქალთა კრებები ხდება სისტემატიურად, ესწრებიან მუშა და გლეხი ქალები.

ქალთა განყოფილებამ ენერგიულად ჩაატარა ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი.

ამ დღეს ქალთა ორგანიზაციებმა აიღეს შეფობა პიონერთა კოლექტივებზე. ყველა რაიონებში, გახსნილი იქნა მკერავთა არტელი და სხვა.

პარტიაში გადარიცხულია ძველი დელეგატი ქალები, დაახლოვებით 50.

ქალთა ორგანიზატორები მუშაობენ მუშურ რაიონებში, მაგრამ ორგანიზატორების სიმცირის გამო მუშაობის ფართოდ გაშლა ფერხდება.

საბჭოთა არჩევნებში ქალები აქტიური მონაწილეობას იღებდნენ, ესწრებოდა 40% მეტი.

ქალთა დელეგატები ღებულობენ მონაწილეობას კლუბების მუშაობაში და სხვადასხვა წრეებში.

სწარმოებს მოზარდ ქალთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, რისთვისაც გამოყოფილია მომზადებული ამხანაგები.

ქალთა შორის წ.-კითხ. უცოდ. მოსასპობად არსებობს განსაკუთრებით ქალებისთვის 3 ლიკ-სკოლა, ორი ქართველებისთვის და ერთიც ებრაელებისათვის.

ჯ.

საპირველმაისო პროკლამაცია

გამოცემული სოც.-დემ. პარტიის მიერ 1898 წელს

(რევოლიუციის მუზეუმის მასალებიდან)

ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდით!!
გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!!

პირველი მაისობა

ყოველ ქვეყანაში და ყოველ ერში, წელიწადში რამდენიმე დღესასწაულია, ყოველ წელს რამდენიმეჯერ შეაჩერებენ მუშაობას, გამოკეტავენ დუქნებს დააყენებენ მანქანებს, შეაჩვენებენ ხარ-ურმებს, დარეკვენ ზარებს და ყველა ღარიბი და მდიდარი, მუშა და ბურჟუა, გლეხი და აზნაური მოსვენებას ეძლევა. მაგრამ არის აგრეთვე ერთი დღე, რომლის დღესასწაულობა არ წააგავს არც ერთ მათგანს, რომელიც არ არის გამოგონილი სათაყვანებლად წმინდანის, სადიდებლად გვირგვინოსანის, განსამტკიცებლად ცრუ-მორწმუნეობის, დასაძინებლად გონების... არის ერთი ასეთი დღეობა, რომელსაც არ დღესასწაულობს ის, ვინც ყოველდღე დღესასწაულშია, უარყოფს ის,—ვინც ყოველდღე თავისუფალია, ეწინააღმდეგება ის,—ვინც ყოველდღე ფუფუნებაშია. ეს დღე აძლევს ერთს იმედს და მეორეს უიმედობას, ერთს—სასოებას და მეორეს სასოწარკვეთილებას, ერთს—სიხარულს და მეორეს—ქმუნვარებას. **ერთის სიტყვით ის ქვეყანას ჰყოფს ორ ბანაკად,** ორ კლასად, და როცა ერთისთვის მხიარულებაა,—მეორისათვის მოთქმა-გოდებაა. ეს საკვირველი **დღე არის დღე პირველი მაისისა.**

პირველმაისობა არ ეკუთვნის იმას, ვინც განცხრომით ატარებს წუთი-სოფელს, ვინც პატრონობს ქვეყნის სიმდიდრეს და ვისაც ჰმონებს მილიონობით ხალხი; არა, ეს ეკუთვნის პირიქით მას, ვინც ტანჯვაში ატარებს ცხოვრებას, ვინც თავის შრომით ჰქმნის ყოველსავე სიმდიდრეს ამა სოფლისას, ვინც ცხოვრობს იმიტომ, რომ ბატონები აცხოვროს. მუშაობს იმიტომ, რომ უფროსები არჩინოს. მრავლობს იმიტომ, რომ იმათ ემონოს თვითონ და ამონოს თავის შვილები და შვილისშვილები... ამ თანამედროვე მონათა სახელი მუშაა, მუშა ხალხი, და აი პირველი მაისი მუშა ხალხის საკუთრებაა. მას არ გააჩნია სხვა რამე საკუთრება, მას არ შეარჩინეს სახლ-კარი, ადგილ-მამული, საკუთრების არავითარი ნასახი, მას დაუტოვეს მხოლოდ მისი მარჯვენა:—წადი, იმუშავე და გვარჩინე. და მას მან დაურთო თავის წილ მეორე საკუთრება—ეს არის პირველი მაისობა. აქვს მას თავისი მარჯვენა და აქვს პირველი მაისი. პირველი ბუნებისაგან მინიჭებულია, მეორე მის მიერ შექნილი. პირველი იარაღია მდიდართა გასამდიდრებლად, მეორე იარაღია მდიდართან საბრძოლველად. პირველი მათ ჰმონებს შეძლებულთ, მეორე მათ ანთავისუფლებს მონობისაგან, პირველი მისგან ჰქმნის სამუშაო მანქანას, მეორე მისგან ჰქმნის თავისუფალ მოქალაქეს და როცა თავისუფალ მისწრაფებას პირველ მაისისას, ის მიაშველებს ღონეს თავის მაჯისას—მაშინ შეიძვრის მთელი ქვეყანა და ძირიანად დაინგრევა არსებული წყობილება. დიახ, ძალა შექმნის უფლებას, ძალა შექმნის ადამიანობას და ვაი, მუშა ხალხის ბრალი, თუ მან შემთხვევის დროს იარაღი არ [illegible]. მარა სანამ ის ამას გამოიყენებდეს, მანამდის საჭიროა მისი ერთობა, მისი თვით-ცნობიერება და მისი მოძრაობა, და აი ამას უნერგავს მას პირველი მაისი.

პირველი მაისი არ არის საკუთრება თვითეული მუშის, თვითეული ოჯახის, არა. ის არის საკუთრება ყველა მუშის, სადაც და როგორ პირობებში უნდა სცხოვრობდეს ის. ეს დღე აერთებს მუშას ერთი და იგივე ერისას, ეს დღე აერთებს მუშას სხვადასხვა ერისას. ის აკავშირებს იმათ, ვინც გაყოფილია ენით, ზნე-ჩვეულებით, ზღვა-ოკეანებით. ის უღვიძებს ერთი და იმავე მისწრაფებას ფრანგს და ქართველს, რუსს და ინგლისელს, ნემეცს და სომეხს, ისპანელს და იტალიელს, ამერიკელს და ავსტრიელს, ერთი სიტყვით **ყველას მთელი ქვეყნის პროლეტარიატს.** ის არის ისეთივე თვალთ-უხილავი ჯაჭვი, რომლის რგოლებს თვითეული ერის მუშა-ხალხი წარმოადგენს და რითაც გარსშემორტყმულია მთელი დედამიწა! პირველი მაისი ერთხმათ აფეთქებს მილიონთა გულს, ერთნაირად ამუშავებს მილიონთა გონებას, ერთი გრძნობით აღელვებს მილიონთა არსებას. ამ დღეს ქვეყნის ყოველ კუთხეში აფრიალებულია ერთი და იგივე დროშა. მუშათა ერთობის, მუშათა ძმობის, მუშათა მტრების დამხობის და სამართლიანობის აღდგენას. ამ დღეს მუშა ცხელი და ცივი ქვეყნის, ძველი და ახალი ქვეყნის თხოულობს ერთსა და იმავეს; უარჰყოფს ერთსა და იმავეს, ებრძვის ერთსა და იმავეს და მომავალს უმზადებს ერთსა და იმავეს. და აქ მუშა გრძნობს, რომ ის არ არის მარტო ობლად, უმწეოდ გარიყული, ის გრძნობს, რომ მის გვერდით მუშათა მთელი ჯარია, მზად არის დაიცვას თავისი თავი და დაიფაროს თავისი ამხანაგები და ეს ამაღლებს მას გონებრივად, ანსპეტაკებს ზნეობრივად და მით ადამიანი იქმნება ადამიანად.

პირველი მაისობა არის კლასის დღესასწაული.

პირველი მაისობა ეს ერთად ერთი დღესასწაულია, შემოღებული თვით ხალხის მიერ, თვით მუშის მიერ. დიახ, მუშა ეს გუშინ ისე დაბეჩავებული, ისე ყველასგან აგდებული, ასე დამცირებული, დღეს ისე გაძლიერდა, ისე გამოკეთდა, რომ თავის საკუთარ დღესასწაულსაც კი იარსებს!.. დიახ, ის დღეს აღარ არის ის, რაც იყო წინედ. ის დღეს ბუმბარაზია, ის მდევია, რომლის ფეხის გადადგმა ანძრევს არე-მარეს, და რომლის ერთი დაძახება წვდება კიდიდგან კიდეს.

მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა ბურჟუაზიისათვის: შენ გსურს მე დღის ვიმუშავო და შენ ქონება გაამრავლო, მე არ მსურს და იქმნა ნება მუშისა... მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა მთავრობისათვის: შენ გინდა მე ვადიდო ან მეფე, ან წმინდანი. მე არ მინდა, მე მაქვს სატრფიალო საგანი, მე მყავს საკუთარი ღვთაება და ის მინდა ვადიდო; ეს ღვთაება მუშა ხალხია, ე საგანი ჩვენი მისწრაფებაა... და იქმნა ნება მუშისა!.. მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა თავის თავისათვის: ჩვენ დღეს იმდენად შეერთებული და შეგნებული ვართ, რომ კაპიტალისტთა დაუკითხავად, პოლიციელთა ნება დაურთველად შეგვიძლიან მუშაობა შევწყვიტოთ. გამოვიდეთ და ჩვენი უფლება მოვითხოვოთ. დეე, შეშფოთდენ ბატონები, დეე, იცოდენ, რომ მუშა ხალხი აზვირთებულია და მათ ძარცვა-გლეჯას წალეკავს [illegible]... და იქნა ნება მუშისა. ასრულდა ის, რაც მან გადაწყვიტა, განხორციელდა ის. რაც მან მოისურვა და მით აღდგა ის მკვდრეთით და ფერხთა თვითთაგან გაირეკა მტერი მონობისა და შეითვისა ღირსება ადამიანისა.

პირველი მაისი არის დღესასწაული შრომისა.

მაგრამ ეს ერთ დღეს არ დაბადებულა, ერთ კვირას, გინდ ერთ თვეს არ შემუშავებულა, ერთი ბრძანებით არ შემოღებულა—ის ნელ-ნელა შემზადდა მუშა ხალხის გულში, ნელ-ნელა მომწიფდა და ძირი მოიმაგრა. ის ხან ერთ ქვეყანაში ამოყოფდა თავს, და ხან მეორეში, ხან ერთი წაატანდა ხელს, ხან მეორე და მხოლოდ ბოლოს შეიქნა ის საყოველთაო დღესასწაულად, ბოლოს მიიღო ის ყველა ქვეყნის პროლეტარიატმა.

შრომის დღესასწაული პირველად დაიბადა ამერიკაში. 1884 წელს ოქტომბერში ამერიკის შეერთებულ მუშათა კოოპერაციამ თავის წლიურ კონგრესზე ქ. ჩიკაგოში დაადგინა: „1886 წლის 1 მაისიდან შემოღებული იქნას რვა საათის სამუშაო დღე და ამ მიზნის განხორციელებას ახლავე შეეცადონ მუშათა ყველა ორგანიზაციები“. ესევე გადაწყვეტილება განიმეორეს 1885 წლის კონგრესზე. მუშები თავიანთ პირობებში კაპიტალისტებთან უწერდენ: 1886 წლის 1 მაისიდან ამ პირობებს ძალა აღარ ექნებათო. ცხადია, ეს იყო პირველი მაისობის არა დღესასწაული, არამედ შრომის პირობების შეცვლის დღე. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, **შრომის** დღე.

ნიუ-იორკის ნემეცთა მუშების ცენტრალური კავშირმა 1885 წელს თავის კონგრესზე გადაწყვიტა: „რადგანაც სხვადასხვა დღე წელიწადში კანონით არის დადგენილი, როგორც მოსვენების დღე სხვადასხვა შემთხვევების პატივსაცემად, და რადგანაც არც ერთი ეს დღე არ არის დანიშნული მუშათა დემონსტრაციისათვის, ამიტომ ცენტრალური კავშირი აღიარებს სექტემბრის პირველ ორშაბათს შრომის დღედ და ამ დღეს უნდა შეწყდეს ყოველნაირი მუშაობა. ამნაირად აქედან წარმოდგა იდეა, ყოველ წლივ ერთი დღის დღესასწაულისა. ჩიკაგოს კონგრესმა წამოაყენა კითხვა რვა საათის დღის შემოღებაზე ერთ რომელიმე დღიდან (პირველი მაისიდან 1886 წლისა), ხოლო ნიუ-იორკისამ დღესასწაულის ერთ რომელსამე დღეს (სექტემბრის პირველ ორშაბათს) ეს არის იდეა რეფორმის და იდეა დღესასწაულის.

1886 წელს, დეკემბერში ეს ორივე გადაწყვეტილება შეათანხმეს ერთ საერთო კონგრესზე და დაადგინეს: სექტემბრის პირველი ორშაბათი ჩაირიცხოს მუშათა დღესასწაულად და იმავე დღეს გაიმართოს დემონსტრაციები რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის, 1888 წ. კონგრესზე განიხილეს ეს დადგენილება და ერთი დელეგატის წინადადებით სექტემბრის ორშაბათის მაგიერ დაინიშნა პირველი მაისი.

ამნაირად ამერიკის მუშებმა შეიმუშავეს პირველი მაისის იდეა, რაიცა იხატება იმაში, რომ ეს დღე იქნეს დღესასწაულად და კაპიტალისტებისაგან შრომის პირობის შეცვლა მოითხოვონ; მაგრამ ამავე [illegible] უარყოფდენ მუშათა ცალკე პოლიტიკურ პარტიის შედგენას და მთავრობაზე ძალის დატანებას ცვლილებების შემოსაღებად.

აი, ეს უკანასკნელი იდეა დაიბადა საფრანგეთში. 4 ნოემბერს, 1888 წ. ლიონში მომხდარ მუშათა სინდიკატების კონგრესმა მიიღო შემდეგი:

„რადგანაც—დიდი ხანია, რომ მუშათა ორგანიზაციები თხოულობენ სხვადასხვა რეფორმებს, სახელდობრ: რვა საათის სამუშაო დღეს, დღის ქირის მინიმუმს (უმცირეს), კაპიტალისტთა პასუხისმგებლობას მუშის უბედური შემთხვევის დროს, აღზრდას ბავშვთა, და შენახვას დაერდომილთა და მოხუცებულთა საზოგადო ხარჯით და სხვა,—და რადგანაც, ყველა ეს მოთხოვნილება ხვდება თვითეულ ორგანიზაციის მიერ ცალ-ცალკე და ამის გამო არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ამიტომ, აუცილებლად საჭიროა ამ მოთხოვნილებათ მიეცეს ახალი ფორმა და ახალი ძალა. ფორმა საერთო და საყოველთაო, ძალა მედგარი და პირდაპირი. ამისათვის კონგრესი ადგენს: 1) კვირას, მომავალ ათ თებერვალს საფრანგეთის ყველა სინდიკატების მუშებმა და ორგანიზაციებმა სასოფლო, სამაზრო, და საგუბერნიო სამმართველოში გაგზავნონ დეპუტატები და მოითხოვონ შემდეგი რეფორმები: ა) რვა საათის სამუშაო დღე, ბ) დანიშვნა ქირის მინიმუმისა (უმცირესი), რომლის დაბლა ვერასოდეს ვერ დაიწევა ქირა, ხოლო მაღლა კი აიწევს, 2) 24 თებერვალს იგივე დეპუტაცია უკან დაბრუნდება, პასუხს მოიკითხავს, ხოლო მანამდი კი, მანიფესტაციები ამ რეფორმის სასარგებლოდ გახშირდება. 3) კონგრესის თვითეული დელეგატი მოვალეა უკან დაბრუნებისთანავე ეს მოძრაობა შეამზადოს და სისრულეში მოიყვანოს.

ამნაირად როგორც ხედავთ აქ კაპიტალისტებზე აღარ არის ლაპარაკი, ლაპარაკია მთავრობაზე, მან დააკანონოს რეფორმები და მას დაეტანოთ ძალაო და მართლაც, დანიშნულ დღეს, საფრანგეთის 60 უმთავრეს ქალაქის მუშებმა, როგორც ერთი კაცი, ისე შეასრულეს კონგრესის გადაწყვეტილება. ამ შესანიშნავ მანიფესტაციამ ამ საკვირველ ერთსულობამ გააშტერა მთელი საფრანგეთი და აალაპარაკა მთელი ქვეყანა.

ამ გარემოებამ საფრანგეთის მუშებში დაბადა ის აზრი, რომ თუ ერთი ერის მუშებმა ასეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, რაღა იქნება მაშინ, როცა მრავალი ერის მუშა, ერთ დღეს ერთნაირ მანიფესტაციას მოახდენსო. და აი 14 ივლისს 1889 წელს პარიზის ინტერნაციონალურ მუშათა კონგრესზე ერთმა მუშამ **ლავინიმ** წინადადება წარადგინა: „ერთ რომელიმე დღეს მოხდეს ინტერნაციონალური მანიფესტაცია, ისე, რომ ყველა ქალაქის და ყველა ერის მუშებმა ერთ და იმავე დროს, მთავრობისაგან მოითხოვონ რვა საათის სამუშაო დღე, და ამ კონგრესის განაჩენთა განხორციელება“. კონგრესმა ეს აღფრთოვანებით მიიღო, ხოლო ბებელის და ლიბკნეხტის წინადადებით ამას მიუმატეს: „სხვადასხვა ქვეყნის მუშებმა ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანონ ისე, როგორც ნებას მისცემს ადგილობრივი პოლიტიკური მდგომარეობა“. ე. ი. იქ, სადაც თავისუფლება არ არის, სხვანაირად უნდა მოხდეს, ხოლო სადაც თავისუფლებაა—კიდევ სხვანაირადო.

ასე და ამგვარად კონგრესმა დააკანონა საერთო მანიფესტაცია, მარა როდის და რომელ დღეს? აი, მაშინ წარმოდგა ამერიკის დელეგატი და კრებას მოაგონა ამერიკელთა გადაწყვეტილება პირველი მაისობის შესახებ და სთხოვა ეს საერთო დღე ყოფილიყო პირველი მაისი, რაც მიღებულ იქნა.

ამ სახით პირველი მაისის დღეობა მოგვცეს ამერიკელ მუშებმა, ხოლო პირველი მაისის პოლიტიკური იდეა საფრანგეთისამ და ეს ორივე შეერთებულ იქნა ინტერნაციონალური კონგრესის მიერ.

მარა ეს გადაწყვეტილება ეხებოდა მხოლოდ 1890 წლის პირველ მაისს. ამის განმეორებაზე კი არა თქმულა რა და აი ყოველწლიური განმეორება დაადგინა ბრიუსელის ინტერნაციონალურმა კონგრესმა 1891 წელს. აი ამ კონგრესის განაჩენი:

„კონგრესი,

—„რომ შერჩეს პირველ მაისს თავის ნამდვილი ეკონომიური და კლასთა ბრძოლის ხასიათი, აწესებს: „უნდა მოხდეს ერთი საერთო დემონსტრაცია მთელი ქვეყნის მუშებისა. ამ დემონსტრაციის დღეთ დაინიშნოს პირველი მაისი და პირველი მაისს შრომა შეჩერებულ იქნას, სადაც კი ეს შეიძლება“.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ყველა ერის მუშათა ნაციონალურ კონგრესზე (საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის, ისპანიის, პორტუგალიის და სხ. და სხ. ბოლოს ინგლისის) და ხელმეორედ განამტკიცა ციურიხის ინტერნაციონალურმა კონგრესმა 1893 წელს, რომელსაც დაესწრენ რუსეთის მუშათა წარმომადგენელნიც, ხოლო თავის მხრივ კონგრესმა მიუმატა შემდეგი:

„თვითეულ ქვეყნის სოციალდემოკრატია ღებულობს ყოველივე ღონეს პირველ მაისს მოხდეს მუშაობის შეჩერება და ეს დღე შეიქნეს დღეთ საერთო კლასიურ მანიფესტაციისა და ამ კლასის მისწრაფების საჯაროდ გამოცხადებისა, იმ მისწრაფების, რომ არსებულ წყობილებას ბოლო მოუღოს სოციალური რევოლიუციით, გააუქმოს კლასთა სხვადასხვაობა და მით ერთი და იგივე ერში და სხვადასხვა ერთა შორის დაამყაროს მშვიდობიანობა.

მუშებო!

ხომ ხედავთ, პირველი მაისობის ისტორია გრძელი ისტორიაა, ხომ ხედავთ როგორ ნელნელა გაიზარდა და გადიდდა ის, ხომ ხედავთ რამდენ ქვეყანაში და რამდენ კონგრესზე იქნა გასინჯულ-შესწორებული და ბოლოს მიღებული, ხომ ხედავთ, როგორ ასრულებს ყველა ერის მუშა ხალხი თავიანთ კონგრესების გადაწყვეტილებას.

მაშ, შევუერთდეთ ჩვენც ევროპის მუშებს, შეუკავშირდეთ ჩვენს მოძმეებს, შეუსისხლხორცდეთ მთელ ქვეყნის პროლეტარიატს და შევისისხლხორცოთ იგი. აღვმართოთ ჩვენც მათ მიერ აღმართული დროშა, დროშა, რომელიც ჩვენიც არის, ვიბრძოლოთ ამ დროშის ქვეშ მათთან ერთად და ვებრძოლოთ ისინი ჩვენთან ერთად, ვიქნეთ მათი ამხანაგნი ბრძოლაში და ვიქნეთ მათი ამხანაგი გამარჯვებაში, გავიზიაროთ მათი გაჭირვება და გავიზიაროთ მათი დალხინება.

მაშ, ვიდღესასწაულოთ პირველი მაისი, ვიდღესასწაულოთ ეს ერთად ერთი ჩვენი დღე. იცოდეთ, რომ ყველა დანარჩენი დღესასწაულები ჩვენი დღესასწაული არ არის: ჩვენია მხოლოდ პირველი მაისი, იცოდეთ, რომ ყველა დანარჩენი დღე ჩვენ გვაერთებს ჩვენ მტრებთან, ჩვენ გვაკავშირებს კაპიტალისტებთან, ჟანდარმებთან, ბერებთან, ყველა იმ ხალხთან, რომელიც ჩვენ კისერზე ზის და ჩვენ სისხლსა სწოვს. ერთად ერთი პირველი მაისი გვაშორებს მათგან, ერთად ერთი პირველი მაისი გვაძლევს საკუთარ სახეს, გვაგრძნობინებს საკუთარ ძალას და საკუთარ მოწოდებას.

იცოდეთ, რომ დღეს ბრძოლის ველზეა გამოსული მთელი ქვეყნის პროლეტარიატი. გაუწოდოთ მას ხელი, გავძახოთ ჩვენი ხმა, ჩავდგეთ მის ფერხულში და აი ეს ფერხული, ეს გზაა, რომ ჩვენ შეგვიყვანს აღთქმულ ქვეყანაში!..

Дозволено цензурою. Тифлис. 6 декабря 1898 г.—Батум, Типография Едзебе и Ко,

საბჭოთა საქართველო

ბრძოლა კონტრაბანდასთან

ქუთაისი, 30 აპრილი. მარტში და აპრილში ქუთაისში და მის მაზრაში დაკავებულია 4½ ათასი მანეთის კონტრაბანდა.

შავიქვის ექსპორტი

ფოთი, 30 აპრილი. გავიდა ინგლისში იტალიის გემი „ფიდალდასი“, რომელმაც წაიღო 6.558 ტონა შავიქვა.

ტყის ხანძარი

ოზურგეთი, 30 აპრილი. სოფ. ლიხაურის მიდამოებში გაჩნდა ტყის ხანძარი. ხანძარის ჩაქრობაში მონაწილეობას იღებენ ახლო-მახლო სოფლის გლეხები, ოზურგეთიდან გაიგზავნა ცეცხლის მქრობელი რაზმი. ცეცხლი საშიშროებას უმზადებს სოფელ ლიხაურს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

ხიდების აშენება

ოზურგეთი, 30 აპრილი. წარსულ წელს გურიაში აშენებულია შემდეგი ხიდები: 4 ცემენტის ხიდი მდინარე ბახვზე და ნატანებზე, 12 პატარა ხიდი—ნატანების გზა-ტკეცილზე, 26 ხიდი შეკეთებულია.

ჩაის მოსავალი

ბათომი, 30 აპრილი. მთელ აჭარისტანში მოსავალს კარგი პირი უჩანს პლანტაციების ზედმიწევნითი მოვლის, თბილი ზამთრის და წვიმების წყალობით.

ჩაის პირველი მოკრეფა დაიწყება 2 კვირაში.

ნავთსადგურში

ბათომი, 30 აპრილი, ოსმალეთიდან ჩამოტანილია 16.000 ცალი ლიმონი და ფორთოხალი; და აგრეთვე 8 ტონა ტყავი. ნავთის სინდიკატის სახელზე ნოვოროსიისკიდან მიღებულია 10,000 კასრა ცემენტი.

ახალი აფთიაქი

თელავი, 30 აპრილი. სოფ. ნაფარეულში იხსნება აფთიაქი„ სოფელ მაწანწარაში იხსნება საექიმო პუნქტი.

—:—

პარტახტიანი ტიფი

სოხუმი, 30 აპრილი. დრანდის გზარაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია კვლავ მძვინვარებს. აღნიშნულია სიკვდილის 9 შემთხვევა.

თავდასხმა

სოხუმი, 30 აპრილი. ფრანდის გზატკეცილზე გულრიფშიდან 3 ვერსის დაშორებით უცნობი ბოროტ-გამზრახველები თავს დესხენ სოხუმიდან მომავალ დელიჟანს.

მეთამბაქოების განვითარება

ოზურგეთი, 30 აპრილი. გურიის საკრედიტო ამხანაგობებმა დაურიგეს გლეხებს მეთამბაქოების განსავითარებლად 100.000 მანეთი.

მეთამბაქოება

ოზურგეთი, 30 აპრილი. აღმასკომის ცნობების თანახმად მიმდინარე წელს **თამბაქოს პლანტაციების სივრცემ გადააჭარბა ომის წინა დროის სივრცეს 30—40% ით.** 1923 წელს დათესილი იყო—50 დესეტინა, რომლის მოსავალი უდრიდა—2.000 ფუთ ფოთლოვან თამბაქოს, 1924 წელს—150 დესეტინა მოსავალი—6.000 ფ., 1925 წელს—397 დესეტ. მოსავალი—18.086 ფუთი.

აბრეშუმის სართავი ფაბრიკა

თელავი, 30 აპრილი. აბრეშუმის სართავი ფაბრიკა დაათვალიერეს საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ყურულაშვილმა, ს. ჯუღელმა, ბ. კალანდაძემ და ლორთქიფანიძემ.

გაეცნო რა მუშაობას, კომისიამ დამაკმაყოფილებლად სცნო შესრულებული მუშაობა. ამ დღეებში მოელიან იტალიელ—ინჟინრებს ფაბრიკაში მანქანების დასათვალიერებლად.

აბრეშუმის თესლის დარიგება

თელავი, 30 აპრილი. 25 აპრილს საზოგადოება „აბრეშუმი“ შეუდგა აბრეშუმის თესლის დარიგებას სოფლის სამომხმარებლო საზოგადოების საშუალებით.

გარდა მოტანილ 3.250 კოლოფისა საჭირო იქნება კიდევ 1.500 კოლოფი აბრეშ. თესლი.

ბეითალთა ყრილობა

სოხუმი, 30 აპრილი. ახლო მომავალში მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი იწვევს ბეითალთა ყრილობას აფხაზეთში საბეითლო საქმის ცენტრალიზაციის საკითხის განსახილველად.

სკოლა უმეთვალყურეოდ

(ლაგოდეხი, სიღნ. მ.)

მართალია ბევრ ადგილას და მით უმეტეს პროვინციებში არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული, სასწავლებლები და სწავლა-აღზრდის საქმე, რის მთავარ მიზეზად ეკონომიური პირობები შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ყველაზე უვარგისს და დამაფიქრებელ მდგომარეობაშია, ლაგოდეხის ქართული სკოლა! არ ვიცი როგორ ავწერო,—საიდან დავიწყო და რომელი ერთი გავაცნო მკითხველ საზოგადოებას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთოდ სკოლების ბედით და უბედობით, რომ ამით წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ ზემოხსენებულ სკოლაზე და მის უმწეო მდგომარეობაზე.

სკოლას არ აქვს აუცილებელი საჭიროებები, რაც ხელს უშლის საგნის ღირსეულად შესწავლას. სკოლაში არ მოიპოვება არც ერთი ზოოლოგიიდან ან ისტორიიდან რაიმე სურათები. არ არის აგრეთვე ფიზიკური ცდებისათვის არც ერთი ხელსაწყო. სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკა და დაბოლოს სკოლას აკლია პარტები, მაგიდები და სკამები.

აბა სამასწავლებლოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ის ხიზნების ოთახს უფრო მოაგონებს, ვინემ სამასწავლებლოს.

რით აიხსნება სკოლის ასეთი მოუწესრიგაგონებს, ვინემ სამასწავლებლო.

თუ შეიძლება სადმე მოეწყოს სკოლა, თუ შეიძლება სადმე სკოლის კეთილდღეობაზე და მის უზრუნველყოფაზე ვილაპარაკოთ—ეს უსათუოდ შესაძლებელია, ლაგოდეხშიაც, რადგანაც ის საკმაოდ მდიდარი სოფელია. აქაური გლეხკაცობაც დაინტერესებულია სკოლის კეთილდღეობით. მაგრამ საქმე ის არის, რომ საჭიროა ინიციატორი. სკოლის გამგეს კი არ სცალია სამისოდ, ის დატვირთულია გაკვეთილებით! შუადღემდის შვიდწლედში ასწავლის და შემდეგ კი შრომის სამეურნეო სკოლაში.

ამგვარად მთელი დღეები გაკვეთილების შესწავლა-გასწავლაში გადის და სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი მოწყობა-მოგვარების საქმე უყურადღებოთ რჩება.

ნუ თუ სამეურნეო სკოლაში არ შეიძლება, უადგილო მასწავლებლის გამოგზავნა? ასეთები ხომ საკმაოზე მეტია მაზრაში?

ამით ჩვენ ორს კი არა, სამ კურდღ. დავიჭერდით: ერთი რომ, უმუშევარ მასწავლებლების რიცხვს შევამცირებდით, მეორე სკოლაში მეცადინეობის ნორმალურ პირობებს შევქმნიდით, რაც ორივე სკოლაში მეტათ დააწინაურებდა სწავლის საქმეს და მესამე სკოლის გამგეს გავანთავისუფლებდით ზედმეტი გაკვეთილებისაგან, რაც გამოიწვევდა ძალაუნებურად ერთ სკოლისადმი მეტს ყურადღების მიპყრობას.

ლაგოდეხის სკოლის ასეთ მდგომარეობას უთუოდ უნდა მიექცეს ყურადღება და ეს ნაკლი თუ დღემდი არა, მომავალი სამოსწავლო წლიდან მაინც უნდა გამოსწორდეს.

ხიზანბარელი.

სახალხო სასამართლოები სოფლად

(წერილი გარე-კახეთიდან)

სოფლად მომუშავე სახალხო მოსამართლე დღეს ზომაზე მეტად დატვირთულია საქმეებით. ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ სოფლის ადმინისტრაცია მოკლებულია წვრიმალი საქმეების გარჩევის უფლებას და ყველა ისინი გადაცემულია სახალხო სასამართლოზე.

ხშირად ასეთ ზედმეტი დატვირთვით აიხსნება ის დაბრკოლებანი, რომელსაც ადგილი აქვს სახალხო სასამართლოების მუშაობაში. დანიშნავს მოსამართლე გასარჩევათ რომელიმე დღისათვის 10 საქმეს, ნამდვილათ კი ხუთის გარჩევასაც ვერ ასწრებს. მომჩივან-მოპასუხენი თავიანთ მოწმეებით დგანან მთელი დღე და ბოლოს, დაღამებისას ირკვევა, რომ საქმე გადადებულია.

რატომ ხდება ეს? უწყებებში ნაჩვენებია, რომ სხდომა იწიშნება დილის 9 საათზე. გლეხები თავიანთ მოწმეებით მოეშურებიან ამ დროისათვის (და ზოგჯერ ბევრათ ადრე) დანიშნულ ადგილას. ჯერ ერთი, სხდომის გახსნას არ დაადგება საშველი. რამდენიმე საათის განმავლობაში მოსამართლე ეცნობა თავის ოთახში საქმეებს.

შემდეგ, როცა სხდომა იწყება, ორი საათი საჩივრის წაკითხვას უნდა (მით უფრო თუ ცუდათ ნაწერია), ორი საათი განაჩენის წერას, ამას მიუმატეთ თვით საქმის გარჩევის დრო და თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია, შესძლებს თუ არა ერთ დღეში მოსამართლე ათი საქმის გარჩევას.

გლეხი მთელი დღეობით აღამებს თავის მოწმეებიანად ბაზარში, შემდეგ ველარ ასწრებს სახლში დაბრუნებას ,დუქანში ღამის თევა, ისიც მოწმეებით და სადილ-ვახშამი, ხომ ხარჯს მოითხოვს? ზოგჯერ ეს ხარჯები და გაცდენილი დრო არც კი ღირს იმის ფასად, რასაც სასამართლოში სჩივის გლეხი.

ამიტომ სოფლად სახალხო სასამართლოების მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სახალხო მოსამართლეთა შტატის გადიდება ერთი საუკეთესო საშუალება იქნება ამ სენის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. აქ სხვა გამოსავალი უნდა მოინახოს.

ჯერ ერთი სასამართლოს სხდომები უნდა იხსნებოდეს დანიშნულ დროზე. მოსამართლეები წინდაწინ უნდა ეცნობოდენ საქმეს, რომ მეორე დღეს სხდომის გახსნა არ ყოვნდებოდეს. გარდა ამისა უნდა შემცირებულ იქნას ყოველდღიურათ ნავარაუდევ გასარჩევ საქმეების რიცხვი. მართალია ეს შეაფერხებს საქმეების დროზე განხილვას, მაგრამ მომჩივან-მოპასუხის მოწმეებთურთ გაცდენის ის [illegible], რომ მოსამართლეები იმდენ საქმეს ნიშნავდენ გასარჩევად, რამდენის გარჩევაც მათ უთუოდ შეუძლიათ.

ხშირი დამსწრე.

—:—

რაჟდენ ექიმი

(წერილი ბათომიდან)

მთავარ საავადმყოფოს ექიმმა რაჟდენ შუშანიამ მეტად ორიგინალური საშუალება გამოძებნა კორესპონდენტის კალმის თავიდან ასაცილებლად. ან კი რა დიდი ჭკუამახვილობაა ამისათვის საჭირო, მით უფრო, თუ კაცი უმაღლესი განათლებისაა და თუ საქმე კედლის გაზეთს შეეხება. ქაღალდი უწყინარი და მშვიდი არსებაა, სიმაგრე და გამბედაობა ხელს არ უწყობს მას, რომ ვისმეს ურჩობა გაუწიოს და დახევისაგან თავი დააღწიოს.

მაგრამ ექიმი შუშანია კულტუროსანი კაცია, ის ქაღალდის მიმართაც ტეხნიკური საშუალებით მოქმედობს, თუ კი ამას საჭიროდ დაინახავს. ასეთი საჭიროებაც აღმოჩნდა: კედლის გაზეთ „შრომის ხმა“-ში კორესპონდენტ „პერომ“ მოათავსა წერილი, რომელიც შუშანიას ჭკუაში არ დაუჯდა. ექიმს ამით თავი დიდათ არ შეუწუხებია. კალმით დაწერილს ნაჯახითაც ვერ ამოსჭრით, ნათქვამია. ნაჯახი აბა რათ დასჭირდებოდა, როცა ჯიბეში ჯაყვა დანა ჰქონდა.

ჰოდა და მივიდა შუშანია გაზეთთან, დაუსვა გამოცდილ დოსტაქარივით დანა „პეროს“ წერილს და თვალის დახამხამებაში ამოჰკვეთა გაზეთიდან. შემდეგ რიხიანათ ჩაიცინა რაჟდენმა ულვაშებში და გაუდგა გზას. „ჩემი ჯაყვა კარგათ იყვეს და ჯღაბნონ „პეროებმა“ რამდენიც უნდათ, ერთბაშათ საპარსე არ მომიჯაქნონო“,—გაიფიქრა მან.

მაგრამ დახეთ უბედურებას. შუშანიას უცნაური დოსტაქრობის ისტორია, როგორც ხედავთ, „კომუნისტის“ ფურცლების ყურადღების ღირსი გახდა. თურმე პატარა კედლის გაზეთს, ისეთი მოსარჩლე ჰყოლია, რომელსაც ვერ შესწვდება შუშანიის ჟანგიანი დანა. ერთი ცალის ნაცვლათ, რაჟდენ ექიმის საქმენი საგმირონი დღეს 23 ათას ტირაჟიან გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება, რომელიც მთელ საქართველოში კუთხიდან კუთხემდე მოეფინება და, ასე გასინჯეთ, საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც აცნობს „კომუნისტის“ მკითხველებს, რომ ბათომის მთავარ საავადმყოფოში ყოფილა კაცუნია რაჟდენ ექიმი, რომლის არსებობის შესახებაც შეიძლება მის ნათესავებისა და ქუჩის მეზობლების გარდა არავის არაფერი სცოდნოდა, რომ მას ამგვარი ოსტატობა არ ეხმარა კორესპონდენტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვნახოთ რა ჯადოსნური დანის პატრონია ექიმი შუშანია, რამდენ ერთი ცალ „კომუნისტში“ ამოსჭრის ის ამ კორესპონდენციას.

ეკალი.

ფეხგახდილი მნახველები

(ბალი, სამურზაყანო)

ეხლახან იქნა დამთავრებული აღმასკომის მიერ, საავადმყოფოსთვის ორ - სართულიანი შენობა. ქვემო სართულში მოწყობილია საწოლი ოთახები, სადაც მოთავსდება ოცდაათი ავათმყოფი, ზემო სართულში კი მოწყობილია საოპერაციო ოთახები. მუშაობა ჯერ-ჯერობით კარგათ მიმდინარეობს.

ექიმები გვყავს, ავათმყოფების მოვლა და წამლობა კარგადაა დაყენებული.

გლეხები ძალიან კმაყოფილია, მაგრამ მათ აწუხებს ერთი რამ; ავათმყოფის სანახავად ნათესავებს არ უშვებენ, თუ მნახველებმა ფეხსაცმელები არ გაიხადა. ეს კი გლეხს ძალიან ეძნელება და სირცხვილადაც მიაჩნია. იყო შემთხვევა, 10—12 ვერსიდან ჩამოსული გლეხი დაბრუნდა სახლში ავათმყოფის უნახავად, რადგან ვერ შესძლო აზიური ჩექმების გაძრობა. დაბრუნდა აგრეთვე თავისი ქმრის სანახავად მოსული ქალი სოფლიდან ავათმყოფის უნახავად.

სისუფთავის დაცვა სხვანაირადაც შეიძლება.

მეორი.

„გიჟუმარი სი კოჩი“

(ს. წყემი, სენ. მ.)

ჩვენი კოოპერატივის ნოქარი თვალმახვილი კაცია. არის შემთხვევა, როცა ის რამე საქმეებზე აღმასკომში, ან მეზობელ შენობაში შეირბენს. საქმესაც აკეთებს და ერთი თვალი კოოპერატივისაკენ აქვს, რომ იქ არაფერი დაშავდეს.

ყველამ იცის ჩვენი ნოქრის ამგვარი თვალმახვილობა და, გულშიაც რომ ვისმე ჰქონდეს ბოროტი განზრახვა, კოოპერატივში ისე ადვილათ ვერ შეპარავს. არ სცოდნია ალბათ ეს მღვდელ არსენ ჰალაგანიძეს. მამა არსენი შევიდა კოოპერატივში. ბევრი იტრიალა, ხან სად შეიხედა და ხან სად. ჭერზეც მიმოაელო თვალები და იატაკსაც ჩაჩერდა, სად დაიკარგა ნოქარიო.

ბოლოს, რომ კაცის ლანდი ვერსად ნახა მისი თვალები კოოპერატივში მდებარე საქონელმა მიიპყრო. მამა არსენს დაავიწყდა მოსეს ალთქმა: „არა იპარო“, ეკლესიის მადლი“, ჯვარიც და ხატიც. ყველაფერი ფეხებზე მოიკიდა. ან კი რას კარგავდა? ყველა ესენი მას ოხრახუშის ფასადაც არ უღირდა.

რომ მომხდარიყო სასწაული და ერთი ან ორი ათით ს. წყემი ძილს მიეცა, გაქვს სიცოცხლე, მამა არსენი გულს გაიძღებდა. რაც რამე იყო კოოპერატივში ალბათ სულ სხვა გზისაკენ გაუყენებდა. მაგრამ ამ შუადღისას რა უნდა ექნა? წაეღო დიდი რამ, მაშინვე ქუჩაში შეამჩნევდენ. მე შენ გეტყვი, გზაში სოფლად ვისმეს გააპარებ. თუ შეგნიშნა ხელში რამე, უნდა დასაბამიდან დასასრულამდე გამოგკითხოს, სად, როგორ, ვისთან, რა ფასად შეიძინე საქონელი.

„ეჰ, ჯიმალურელი“, რა გლახა დროს ჩამივარდა. ხელში ეს აუარება ქონება, გაიფიქრა არსენმა სინანულისაგან ტუჩების კვნეტით.: ბევრი იფიქრა, მაგრამ სხვა, რომ ვერაფერი მოახერხა, მივარდა მახლობელ თაროს, სადაც თამბაქო ელაგა და თვალის დახამხამებაში ჯიბე პაპიროსებით აივსო. მერე ერთი ჩახველა, პატიოსან კაცივით და რიხიანათ გარეთ გამოვიდა.

ნოქარი ხომ ყოველივე ამას ხედავდა. მივიდა მამა არსენთან და მორიდებით შეეკითხა: „რა მოგივიდა მამაო, ბარძაყი ისე გაგსივებია, რომ სამივენე ანაფორასაც დასჩენია“?. არსენს ცივი ოფლი დაასხა, მაგრამ არ შეიმჩნია: „ისე ბავშვს ყაბალახი მიდევს ჯიბეში“-ო. უპასუხა მან დამშვიდებით. ნოქარი არ ეშვებოდა: „მიჩვენე და მიჩვენე რანაირი ყაბალახია“-ო. ამასობაში სხვებმაც მოიყარა თავი.

ბევრი იუარა მღვდელმა, მაგრამ მერე როცა გაჩხრეკით დაემუქრენ, ნაძალადევათ გადიხარხარა: „გიჟუმარი, სი კოჩი“-ო, „კარგი, ხუმრობა იყვეს, ოღონდ პაპიროსები დამიბრუნე“, უპასუხა მუდარით ნოქარმა. არსენმაც ღიმილ-სიცილით ამოალაგა „ხუმრობით“ წაცოცებული პაპიროსები.

ფეხები მოსტეხოდა და იმ დღეს კოოპერატივში არ შესულიყო, ის არ ერჩია მამა არსენს?

ხანდელი.

მაგალითი დაგვანახვეთ

(ცაიში, ზუგდ. მ.)

სოფლის ერთ-ერთ მოედანზე გლეხებს თავი მოეყარა და ხმა მაღლა რაღაცაზე მსჯელობდენ. ლაპარაკმა დამაინტერესა და მიუახლოვდი მათ.

— არა ძმაო, ის „ჩევიოტია“, თუ რაღაცა, ლამის მთელი ქვეყნიერება შესძრას; ჩემი ქალიშვილი არ მასვენებს: მთელი ქვეყნის ქალები „ჩევიოტითაა“ გამოწყობილი და გინდა თუ არა, მეც მიყიდეო.—სთქვა ერთმა გლეხმა და თანაც ჩიბუხი დაიბერტყა ხელის გულზე მადიანად;

— ის ჩვენი ნიკოლოზა, ამას წინად ბათომში ყოფილა და იქიდან ჩამოუტანია „ჩევიოტები“, „ლონსკი შრაფები“, „ბიქტორის“ ჩულქები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი—დაუმატა მეორემ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სწორედ ვერ გამიგია, რატომ სდევნის მთავრობა „ჩევიოტის“ მოვაჭრეებს—იკითხა ერთმა გლეხმა. პასუხი არავინ გასცა. ჩემს მოვალეობად ჩავსთვალე კითხვაზე პასუხის გაცემა და ჩავერიე ლაპარაკში. საკმაოდ მოგრძო პასუხი გამოვიდა, მაგრამ ავხსენი თუ რა ზარალი მოაქვს კონტრაბანდით ვაჭრობას სახელმწიფოსათვის და მასთან დაკავშირებით თვით მშრომელ მასისათვის.

— ჰერიპა,..—წამოიძახა ჩემს სიტყვებზე ერთმა გლეხმა,—რაც ნასწავლი და პასუხისმგებელი ამხანაგებია, ყველა „ჩაჩევიოტებულია“, ისინი უწყობენ ხელს კონტრაბანდით ვაჭრობას და მე ვინ ოხრახუში ვარ კონტრაბანდას ვებრძოლო.—სთქვა მან და არხეინად იქვე მოლზე წამოწვა.

— მოდი ერთი და გაეცი ამას პასუხი—გავიფიქრე გულში და შუბლზე ჭირის ოფლი გადამესხა. ხელ-ახლა გამოვბრუნდი და „კონტრაბანდით“ გავიპარე.

ლიმი.

სანაქებო თემი

(დიდჭყონი, სენაკის მაზრა)

საბჭო ნამდვილი საქმის მოყვარული, ცოცხალი და ენერგიულია, ამას ამტკიცებს საქმე.

მან სამაღმასკომთან ერთად ააგო მდ. ტეხურზე სახერხი ქარხანა. სატყეო მასალები აქ ახლოს არის. ხეების ჩამოტანა სატყეო აგარაკებიდან ხდება თვით მდინარე ტეხურის საშუალებით. ხე-ტყის ქარხანამ ფასები ძლიერ დასცა. მაგალითად ერთი ადლი ლამფის დახერხვა 3-4 კაპ. ჯდება, მაშინ როდესაც სხვაგან 6-7 კაპიკია.

სახერხი ქარხნის გარდა, რომელიც დაჯდა 5 ათას მანეთამდე, აშენებულია 3000 ფუთის დამტევი, პარკის ფარდული, რაც დაჯდა ოთხი ათასი მანეთი. თავდება აშენება 12 თვალიანი საავადმყოფოსი, საავადმყოფოს შენობისათვის გამოყენებული იქნა ყოფ. აზნაურის სახლი. გზები და ხიდები ყველგან შეკეთებულია.

სარაიონო მილიციის შენობა შეკეთებულია საფუძვლიანად. დაწყებულია 7 წლიანი სკოლის შენობის აგება, რაც დამთავრდება ამ დღეებში. გარდა ამისა ჩატარებულია კომპანია კოპერაციის დასაარსებლად. შეგროვილია 1200 მან. საპაიო და საწევრო თანხა.

სამწუხაროდ ვერ მოგვარდა ტელეფონის საქმე. ამას უნდა დროზე მიაქციოს ყურადღება სამაზრო აღმასკომმა. ამნაირად დიდი ჭყონის თემის საბჭოს მუშაობა მისაბაძია დანარჩენ თემებისათვის.

ბ. ურანეიშვილი.

ტყიბული.

დაგვიარსეთ საკუთარი კოოპერატივი. ორი წელია, რაც ტყიბულის მაღაროების კოოპერატივი შეუერთდა გლეხთა კოოპერატივს. ამან დიდი უხერხულობა შექმნა მაღაროს მუშებისათვის, რადგან გლეხთა კოოპერატივი უმთავრესად გლეხებისათვის საჭირო საქონელს ეტანება. საჭიროა მუშათა კოოპერატივი ცალკე დაარსდეს, რადგან ის უკეთ დააკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებებს.

გ. ხუციბერიძე.

გორი.

„გოჭი ბიჭი“. ამ სახელწოდებით ცნობილია გორში, ვინმე გიორგი ზაზუნია. მას აზირებული ჩვეულება აქვს: გაილეშება ღვინით და. შემდეგ კი ერთი ალიაქოთი და ჩხუბი აქვს ხელოსნებში.

იქაური.

წერილებიდან

ს. თერჯოლა (შორ. მ.)

კრება „აღდგომას“. საბჭოს მორიგი კრება, რომელიც იმართება თვეში ერთხელ, დანიშნულია 2 მაისისათვის, ე. ი. ეგრეთ-წოდებულ „აღდგომა“ დღეს. ქეიფსა და უსარგებლო დროს დაკარგვას, ჩვენმა საბჭომ არჩია ეს უქმე დღე სამუშაოთ გამოიყენოს.

ლია.

დიღომი (თბილ. მ.)

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. განათლების განყოფილების დახმარებით მოწყობილი იქნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, სადაც ამჟამად ირიცხება 30 მეტი ახალგაზრდა. მეცადინეობა სკოლაში სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან. გლეხები კმაყოფილია სკოლის მუშაობით.

ა. ზერ—ლი.

დ. ჩხარი (შორ. მ.)

დაკარგული დღე. ამას წინათ ჩხარში მოწვეული იყო „ეპოს“ რწმუნებულთა ყრილობა. დელეგატები ყოველი კუთხიდან ჩამოვიდენ, მაგრამ კრება მაინც არ შესდგა. ამის მიზეზი იყო ცეკავშირის ინსტრუქტორის გამოუცხადებლობა. ამრიგათ ერთი დღე უსარგებლოთ დაეკარგათ გლეხებს და ასევე უსარგებლოთ გასცვითეს ფეხსაცმელები ჩხარში წასვლა-წამოსვლით.

ვალ—ია.

გაგრის მაზრა

მოუწყობელი სკოლა. აქაურ ქართულ სკოლას აკლია სახელმძღვანელოები, არა აქვს შესაფერისი ბინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებელთა ხშირი ცვლა, რაც თავის უარყოფით გავლენას ახდენს მეცადინეობაზე. ქართული სკოლა გაგრის მაზრაში მასწავლებელთა სავარჯიშო სასწავლებლათ გადაიქცა. როდის მოეღება ამგვარ მდგომარეობას ბოლო?

იაგო ნადარეიშვილი.

კოხნარის თ., (გურია)

ბაბუების გზით. კოხნარის თემში, სოფელ ნაკადულში, რამოდენიმე მოწინავე გლეხების საშუალებით და მონდომილობით დაიწყეს ქოხ-სამკითხველოს აშენება. ყველა გლეხები სიხარულით შეეგება ამ მნიშვნელოვან საქმეს. ზოგს ფიცრები მოქონდა, ზოგს ფული, ზოგს კიდევ ჭურნახული და ასე ამ რიგათ. როდესაც ჯერი მივიდა გლეხ გერასიმე ახალაძეზე, მან განაცხადა „მე თქვენი არც სამკითხველო მინდა და არც გაზეთი“-ო.

ახალაძის ამგვარ პროვოკაციამ არ გასჭრა. შეგნებულ გლეხებმა ქოხ-სამკითხველოს აშენებაში მაინც ენერგიული მონაწილეობა მიიღეს და დღეს ნაკადულს აქვს თავისი სამკითხველო.

წყარო.

ს. ტეზერი, (გორ. მ.)

ჩვენც დაგვინიშნეთ ექიმი. სოფლები: კოშკის ტეზერი, ხახუტის ტეზერი, რუსანთი, ლიხის კალთა, მონასტერი, ბურბულის ციხე, ქვიშხეთი, ტაბაკირი და სათივე უექიმოთ არიან. ზოგიერთი მათგანი დაშორებულია სურამიდან რამდენიმე ათეულ ვერსითაც და ამნაირათ ყოველგვარ საექიმო დახმარებას მოკლებულნი არიან. საჭიროა ამ სოფლებშიც დაარსდეს საექიმო პუნქტი.

ტეზერელი გიგო.

ზუგდიდი

ვაჭრებს გული გაუხარეთ. საზ. „აბრეშუმმა“ წელს კერძო ვაჭრებს დაურიგა აბრეშუმის თესლი მოსახლეობაში გასასაღებლათ. ასე მაგალითად, თესლი მიეცა: ფახულანის, წალენჯიხის, ზუგდ. და სხვ. ადგილების კერძო ვაჭრებს. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

თ—ია.

ქუთაისის ქრონიკა

— **ფართლეულობის განაწილება.** მიმდინარე წლის მარტის თვის განმავლობაში „ცეკავშირ“-მა განაწილა 75000 მანეთის ფართალი. თავის რაიონის კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის.

— **ბამბა.** საქ. საბამბო კომიტეტის გეგმის მიხედვით, მიმდინარე წელს ბამბის სათესი ტერიტორია განაწილდება შემდეგ ნაირათ: ქუთაისის მაზრაში 1000 დესეტ. სამტრედიის რაიონში—2500 დეს., აჭარისტანში—100, დეს. ხოლო გურიაში—200 დესეტინამდე. კომიტეტი შეუდგა სათესლე მასალების და ავანსის გაცემას მებამბე გლეხებზე, ყოველ დესეტინაზე ავანსად ეძლევათ 40 მანეთი.

— **ბამბის ქარხანაში.** საქ. საბამბო კომიტეტის ბამბის ქარხანა დაიხურა მომავალ სეზონამდე. მუშაობა შეწყდება ნედლი მასალის უქონლობის გამო. ქარხანამ დაარსებიდან გასწმინდა 32.000 ფუთი ბამბა.

121.000 კილოგრამი ბამბის თესლი, რომელიც დარჩა ქარხანას გადაგზავნილია თბილისის ზეთის სახდელ ქარხანაში.

— **მალარია ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობებს მიხედვით, მარტის თვეში აღნიშნულია 490 შემთხვევა ციებ-ცხელებისა; გასულ თვეებთან შედარებით ხსენებული ავადმყოფობა გაიზარდა თითქმის 70 პროცენტით. მიღებულია ენერგიული ზომები მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლათ.

უპარტიო ცხოვრება

ბარიტის მადნების დამუშავება

ლეჩხუმის მაზრაში მოიპოვება მაღალი ღირსების ბარიტის უხვი მადნები, რომლის მოპოვება დაიწყო ჯერ კიდევ 13 წლის წინად. ამ ჟამად ამ მადნების დამუშავების და გასაღების საქმე არის ს. შ. ფ. ს. სამთო-ქიმიური კომბინატის ხელში. კომბინატის მიერ ნედლ დაუმუშავებელ მადანზე დაწესებულია 35 კაპიკი პირველი ხარისხის ერთის ფუთ მადანზე, 30 კაპიკი მეორე ხარისხის ფუთზე და 25 კაპიკი მესამე ხარისხის ფუთ მადანზე, კომბინატი ბარიტს არ ღებულობს დაუხარისხებლად. ყოველ დღიურად თვითეული მუშა ამზადებს და ახარისხებს 10—15 ფუთამდე ბარიტს. სოფ. მექვენაში (ლეჩხუმი) ბარიტის მოპოვებაზე მუშაობს ყოველდღიურად დაახლოვებით 100 კაცი.

მუშა-გლეხებს (რომელნიც ახლო-მახლო სოფლებიდან არიან მოსულნი, მუშაობა უხდებათ გვირაბებსა და შახტებში, რომლის სიღრმე 20—30 მეტრს უდრის. მადანი მიწიდან ამოღებული პრიმიტიულია.

სრულიად არ არის მექანიზაცია მოპოვების საქმეში. კომბინატი მემადნოე გლეხებს სთვლის კერძო მწარმოებლად, რომელ თანაც დადებული აქვთ ხელშეკრულება. ამ მუშებზე არ ვრცელდება არც შრომის კანონმდებლობა და არც სოციალური დაზღვევა.

თვად კომბინატს აქვს თავისი საკუთარი სამადნე ადგილები, სადაც დღიურად მუშაობს 15—20 კაცი. ქირის მუშები ღებულობენ ან დღიურად ან ნარდი მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ეს მუშები დაზღვეული არიან და შედარებით „საკუთარი წამლების" მქონე გლეხებთან უფრო უზრუნველყოფილნი არიან.

ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობა

ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია

11 აპრილს მოხდა ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობის ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ამხ. კვიხორია, ჯაჯუნავა და სავჩია.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. ჟღენტიშვილი, ღვამბერია და ქობულია.

სამანქანო ამხანაგობათა მოწყობის წესი

ზოგიერთ სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს ჯერ კიდევ არ აქვთ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა მოაწყონ სამანქანო ამხანაგობებში.

ამის გამო ამხანაგობებმა მიმართეს ცენტრს შუამდგომლობით, რათა მან შეადგინოს ადგილებს საჭირო განმარტებები ალნიშნულ ამხანაგობათა მოწყობის წესის შესახებ.

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა და საკრედიტო ამხანაგობებს დაუგზავნა სათანადო განმარტებები.

სასოფლო მეურნეობა

ალბულალის სასოფლო-სამეურნეო კომუნა

ალბულალის კომუნას ჰყავს 45 წევრი, რომლის ძირითად მოსაქმეობას მიწის მუშაობა შეადგენს. კომუნას აქვს აგრეთვე თიხის ქარხანა, სადაც მზადდება თიხის ჭურჭელი, კრამიტი, აგური, მილები და სხვა.

კომუნას ჰყავს 8 ცხენი და 12 უღელი ხარ-კამეჩი.

მუშაობის სახელმძღვანელოდ არჩეულია საბჭო.

კომუნის წევრებს უჭირავთ ერთი სახლი, რომელიც 25 ოთახისაგან შესდგება.

ყოველ საღამოს სამეურნეო კომისია წევრებს ანაწილებს სამუშაოებზე. მეორე დღეს დილიდან ყველა თავის საქმეს აკეთებს.

ამ ჟამად კომუნა ხნავს მიწებს, რგავს კართოფილს და ეწევა სხვა საგაზაფხულო სამუშაოებს.

ალბულალის კომუნის ისტორია ასეთია: დაარსდა იგი ერთი წლის წინად და აერთიანებდა 7 კაცს. სოფლელები მას პირველად უნდობლად უყურებდენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომუნის წევრების ერთგულმა და ნაყოფიერმა მუშაობამ თვალსაჩინო გახადა კომუნის უპირატესობა, სოფლის ულარიბესი გლეხები შეურიგდენ კომუნას და რამდენიმე თვეში წევრთა რიცხვი 45 კაცამდე ავიდა.

მუშა-საქონლის უყოლობის გამო, ბევრს ღარიბ გლეხს არ შეეძლო თავისი მიწის ნაჭრის მოხვნა-მოთესვა და უფრო ხშირად იგი უქარიდებოდა სოფლის კულაკებს.

წელს კომუნას ერთი ნაჭერი მიწაც არ რჩება მოუხნავ-მოუთესველი.

მებამბეობა კახეთში

ამხანაგობამ „კახეთის მებამბეობამ" უკვე დასდო ხელშეკრულება მებამბე გლეხებთან 1000 დესეტინის ბამბით დათესვის შესახებ. ამხანაგობამ ივრის ნაპირად მდებარე რაიონებს გაუგზავნა მიწის მოსახვნელად 3 ტრაქტორი, ხოლო ალაზნის რაიონის მებამბე გლეხებს—4 ტრაქტორი. სოფლად მებამბე გლეხებში დიდი მოთხოვნილება არის ტრაქტორებზე, რადგან ამჟამად ხვნა-თესვის გახურებული ალოა და გლეხობას მუშა საქონელი არ ყოფნის ყანების მოსახვნელად.

ადგილობრივმა გლეხებმა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დახმარებით მდ. ივრის ველზე შესძლეს ორი სარწყავი არხის—„ყარაიას" და „დოგლაურის" არხების აღდგენა.

პირველ არხით ირწყვება 100 დესეტინა და მეორე არხით—300 დესეტინა.

ბადიაურის რაიონში მიმდინარეობს მუშაობა „მალხაზის არხის" აღსადგენად, ამ არხით მოირწყვის 2,500 დესეტინა მიწა, რომელიც ფრიად ხელსაყრელ ნიადაგს შეიცავს ბამბის კულტურისათვის.

მებამბე გლეხებისათვის ავანსების დასარიგებლად ამხანაგობა „კახეთის მებამბეობას" აქვს სადგურ ბადიაურსა და წნორის წყალზე 25 ათასი ფუთი ხორბალი და მანუფაქტურა საკმაო რაოდენობით. ერთი ფუთი ხორბალი გლეხებს ურიგდებათ 1 მან. 50 კაპეიკად, ხოლო ბამბის თესლი („კინგი"-ს ჯიში) 65 კაპეიკად ფუთი.

გასულ წელს დარიგებული ავანსები ყველა მებამბე გლეხმა არ გადაიხადა ამ მიზეზით, რომ მებამბეობის რაიონებში გვალვიანობის გამო ბამბის მოსავლიანობა იყო.

გლეხებზე და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე გალიდ რიცხვება 12 ათასი მანეთი.

საშუალოთ ყოველ მებამბე გლეხებზე მოდის 25 მანეთი დაუფარავი სესხი.

ბრძოლა სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან

გაზაფხულის დაწყებისთანავე მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ განაახლა და გააძლიერა მუშაობა სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან დასაცავათ.

ამ ზამთარში და გაზაფხულზე საქართველოს მინდორ-ველებში ძალიან გამრავლდენ მინდვრის თაგვები. განსაკუთრებით თაგვების დიდი სიმრავლე არის შემჩნეული გორის, სიღნაღის, თელავის და თბილისის მაზრებში, ბრძოლა ამ მავნებლებთან სწარმოებს სოროების თაგვის მაქარით მოწამვლის საშუალებით.

აპრილის შუა რიცხვებში უკვე მოწამლული იყო თაგვის სოროები 15 ათასი დესეტინის სივრცეზე.

აღმოცენების შემდეგ ნათესებს საშინლად ანადგურებენ აგრეთვე ერთგვარი ჭია-ღუები, რომელნიც უხვად მოიპოვებიან როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ველებში. ყოველწლიურად ჭია-ღუები სპობენ საშუალოდ 250 ათასს დესეტინა ნათესს. ზარალი, რომელიც ამ მწერებს მოაქვთ წლის განმავლობაში, 3 მილიონ მანეთს აღემატება.

მიწათ-მოქმედების სახ. კომის. მავნებლებთან ბრძოლის ბიურო საკმაო რაოდენობით აწვდის საქართველოს კუთხეებს წამლებს ამ მწერების გასანადგურებლათ. მაგ., აჭარისტანს გაეგზავნა 25 ფუთი თაგვის მაზი, ზუგდიდის მაზრას—19 ფუთი და სამეგრელოს მეთამბაქოებს—25 ფუთი.

ტრაქტორების ნისიად დარიგება

ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკებს განზრახული აქვთ მოაწყონ ტრაქტორების ნისიათ დარიგება გლეხებისათვის.

ამ მიზნით ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა წინადადება მისცა რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებს სასწრაფოდ მოახდინონ საკრედიტო ამხანაგობათა დაკითხვა და გამოარკვიონ თუ რამდენი ტრაქტორი დასჭირდება თვითეულ რესპუბლიკას.

თვითეული ტრაქტორის ფასად დაწესებულია 1.700 მანეთი. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, არტელებს და სხვა გაერთიანებულებს ტრაქტორები ეთმობათ ნისიად იმ პირობით, რომ ვალი გასტუმრებული იქნეს ორი ან სამი მოსავლის მოწევის შემდეგ.

„ზესელმაში", რომელსაც სარეალიზაციოთ გადაცემული აქვს 250 ტრაქტორი, ტრაქტორებს აძლევს 1.300 მანეთის კრედიტით. დანარჩენი—400 მანეთი გადახდილ უნდა იქნეს შეკვეთის დროს. კრედიტის დაფარვა ხდება შემდეგი წესით: 20 პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს პირველი მოსავლის შემდეგ, ხოლო 40—40 პროცენტი შემდეგი მოსავლების მოწევის შემდეგ. რესპუბლიკებისათვის საჭირო ტრაქტორების რაოდენობის გამოკვლევისთანავე ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი დაიწყებს კრედიტების გახსნას. ამავე დაწესებულების განმარტებით შეკვეთის მიღებიდან კრედიტის გახსნამდე საჭირო იქნება რესპუბლიკანური ბანკების გარანტია. ტრაქტორები დარიგდება დაუყონებლივ გარანტიის წარდგენისთანავე.

საბჭოთა აღმშენებლობა სვანეთში

(სვანეთის სამაზრო ალმასკომის მოხსენება სვანეთის საბჭოთა მეორე ყრილობაზე)

სვანეთის მეორე საბჭოთა ყრილობას, რომელიც მოწვეული იქნა 20 მარტს სოფ. მესტიაში, დაესწრო 24 დელეგატი და 6 თემ-ალმასკომის თავმჯდომარე. სამაზრო საბჭოთა საარჩევნო კომისიის მუშაობის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, გაკეთებული იქნა მოხსენება ზემო-სვანეთის სამაზრო ალმასკომის საქმიანობის შესახებ. ამ საკითხზე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. **პიმენ დვალი,** და ამხ. **სილ. ნავერიანი.** ამ უკანასკნელმა მოხსენება გააკეთა სვანურად.

სვანეთის სამაზრო ალმასკომის საქმიანობა

მშვიდობიანობის და წესიერების აღდგენა

პირველ პირობას,—ამბობენ მომხსენებლები, წარმოადგენდა მაზრაში მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარება. ორი წლის წინად სვანეთი წარმოადგენდა შეიარაღებულ ბანაკს, სადაც ძნელი იყო მშვიდობიანი-ოჯახური მუშაობის წარმოება. სწორედ ამ უკულმართი მოვლენების აღმოფხვრისაკენ იყო მიმართული ალმასკომის ყურადღება. მუშაობას ამ მიმართულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია, და დღეს სვანეთის წარმოქმნილი გლეხობა ეწევა მშვიდობიანს ცხოვრებას და უშიშრად განაგრძობს ყოველდღიურ მუშაობას. თუ წინად სვანის გლეხს ეშინოდა უთოფოდ კარში გამოსვლა, დღეს მას იარაღი არ სჭირდება და დღეს ის სამუშაოდ გამოდის არა თოფით, არამედ სამეურნეო იარაღით. მეორე მხრივ, შექმნილმა წესიერებამ ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალება მისცა ხელი მოეკიდა საბჭოთა აღმშენებლობისათვის და კულტურულ-ეკონომიურად დაუწინაურებელი სვანეთის ყოველმხრივ ჩამორჩენილი მოსახლეობა, იმ მიზნით, რომ სამაზრო ალმასკომის მუშაობა ყოფილიყო ნაყოფიერი, სამაზრო ხელისუფლების ორგანოებში არჩეულ იქნენ ისეთი ამხანაგები, რომელთაც ჰქონდათ გლეხობასთან საერთო ენის გამონახვის მისი პირ-ვარამის და სულისკვეთების გაგება-შეგნების უნარი.

გლეხობის ყურადღების მოსაზიდად, მის საერთო მუშაობაში ჩასაბმელად, სამაზრო ალმასკომი იმ თავითვე შეუდგა საბჭოთა აღმშენებლობას.

მშენებლობა

პირველ საბჭოთა ყრილობის დამთავრებისთანავე არჩეულ სამაზრო ალმასკომიდან გამოყოფილ იქნა სამი პირისაგან შემდგარი საქმიანი პრეზიდიუმი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში შეთანხმებულ მუშაობას აწარმოებდა საბჭოთა მშენებლობის ყველა დარგებში.

პირველ ხანებში ალმასკომის ორგანოებს მეტად ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, რადგან დაწესებულებებს შესაფერი ბინებიც კი არ მოეპოვებოდათ. პირველ რიგში ალმასკომი იძულებული გახდა შეეკეთებია რამდენიმე შენობა, რომელიც დანგრეული და გაპარტახებული იქნა ავანტიურისტულ გამოსვლების დროს. ალმასკომმა შეაკეთა ბეგრი სასახლის შენობა, სკოლები და სხვა. გარდა ამისა, საფუძვლიანად გადააკეთა ევროპიულ ბინებად სვანური ტიპის 30 სახლი. ეს ღონისძიებანი ვერ აკმაყოფილებენ ალმასკომის და სხვა ორგანოების საჭიროებას, და ამიტომ თემ-ალმასკომი შეუდგა ერთ კაპიტალურ 24 ოთახიან სახლის აშენებას, რომელიც მოკლე ხანში დამთავრებული იქნება. უკანასკნელ დრომდე, მაზრას არ ჰქონდა საავადმყოფოს ბინის უქონლობის გამო. ალმასკომმა ააშენა და შეაკეთა საავადმყოფოს 3 შენობა.

ჯანმრთელობის საქმე

სვანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი პროცენტი სხვადასხვა სნეულებით არის დაავადმყოფებული და საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას, რისთვისაც საჭირო გახდა მუდმივი საექიმო პუნქტების მოწყობა. საექიმო პუნქტები მოეწყო კალისა და ლახამულის რაიონებში, სადაც პუნქტებისთვის შეკეთებულ იქნა შენობები. საერთოდ მაზრაში ჯანმრთელობის დარგში შემდეგი გაკეთებულა: კალის საექიმო პუნქტში 1 ივლისიდან 1925 წლ. 1 მარტამდე ამბულატორიულ დახმარება გაეწია 1.008 ავადმყოფს. მესტიის ამბულატორიამ—3.884 ავადმყოფს. ქირურგიულმა განყოფილებამ—22.283-ს. სტაციონალური მკურნალობა გაეწია 82 ავადმყოფს. ოპერაცია გაუკეთდა—101 კაცს. კბილის საექიმო კაბინეტმა ა. წ. 15 აპრილიდან ა. წ. პირველ მარტამდე დახმარება გაუწია 1.327 ავადმყოფს. ბეჩოს საავადმყოფოში ერთი წლის განმავლობაში გატარებულია 3.099 ავადმყოფი. მათ შორის 45 კაცი მწოლარე ავადმყოფი იყო. ლახამულის საექიმო პუნქტმა დახმარება მისცა 2.348 კაცს, ტობარის საფერშლო პუნქტმა—2.123 ავადმყოფს. სულ სვანეთის საავადმყოფოებში და საექიმო პუნქტებში ერთი წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 16.171 ავადმყოფს.

საფოსტო კავშირი და საგზაო მშენებლობა

ერთ მნიშვნელოვან საქმედ სვანეთის აღმშენებლობაში უნდა ჩაითვალოს ჯვარიდან მესტიამდე 105 ვერსის მანძილზე ფოსტა-ტელეგრაფის ხაზის გაყვანა, რამაც სვანეთის აღმშენებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა. გარდა ამისა, მაზრ-ალმასკომის თაოსნობით გამოკვლეულ იქნა მესტია-ჯვარის მომავალი გზა-ტკეცილი. ალმასკომ[illegible] აგრეთვე ვერს ნახევრის მანძილზე წყლის არხის გაყვანა სოფ. მესტიაში.

იმ მიზნით, რომ ალმასკომს შემოსავლის წყარო გამოენახა, მან ხელი მოჰკიდა სვანეთის ტყეების ექსპლოატაციას, რისთვისაც დაარსებულ იქნა სატყეო განყოფილება პირველად სოფ. ჯვარში და შემდეგ ქალ. ზუგდიდში. განყოფილება აწარმოებს ხე-ტყის დამზადებასა და ბაზარზე გატანას.

დამოკიდებულება მეზობელ ხალხებთან

შემდეგ მომხსენებელნი ეხებიან სვანეთის დამოკიდებულებას მეზობელ ხალხებთან. ოთხი წლის განმავლობაში, დიდი მტრული განწყობილება არსებობდა სვანეთისა და ყაბარდო-ბალკარეთის გლეხობის შორის. ისინი გადამტერებულნი იყვნენ სისხლის აღების ნიადაგზე და ამიტომ შეწყვეტილი იყო მათ შორის მისვლა-მოსვლა და ყოველგვარი კავშირი, რაც მეტად ცუდად მოქმედობდა სვანეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ყაბარდო-ბალკარეთი სვანეთისათვის წარმოადგენს საუკეთესო ბაზარს მუშა-საქონლის და საუკეთესო ხარისხის შალეულობა-ნაბდების შესაძენად. მტრობის ჩამოვარდნამდე სვანები ყოველ ზაფხულობით დაიარებოდენ ყაბარდო-ბალკარეთში და სამუშაოზე აღებულ ხელფასით იძენდენ ზემოაღნიშნულ საქონლებს.

ალმასკომმა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მიზნად დაისახა ძმური კავშირის აღდგენა ამ ორ ეკონომიურად ერთი მეორესთან დაკავშირებულ ტომებს შორის. ამ მიზნით არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ყაბარდო-ბალკარალებთან. მოლაპარაკებას ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა და ამჟამად აღდგენილია კეთილ მეზობლური ურთიერთობა ხსენებულ ორ ტომსა და სვანებს შორის.

კამათი

სამაზრო ალმასკომის საქმიანობის გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სვანეთის ყველა თემების წარმომადგენლებმა. ორატორები ერთხმად იწონებდენ ალმასკომის მიერ ერთი წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას და აღნიშნავდენ, რომ ის, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა მოკლე ხანში, არ გაუკეთებია სხვა ხელისუფლებას ათეული წლების განმავლობაში. მაგ. ლატალის თემის წარმომადგენელი ამხ. ზ. გადრანი სვანეთს ადარებს დანგრეულ სახლს, რომელიც ხელახლა აშენდება. „ამ დანგრეულ სახლის ხელახლა აშენება—ამბობს იგი,— უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე მთლად ახალი სახლის აგება".

ეცერის თემის წარმომადგენელი ზიმურზა აფრასიძე (საქ. ცაკის წევრი) სამაზრო ალმასკომის მუშაობას სცნობს ძლიერ დამაკმაყოფილებლად.

„ამხ. ლ. ჭალისა და ს. ხაჯრიანის (სვანეთის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე)—მუშაობას—აცხადებს იგი—მე ვადარებ ერთი უღელი ხარის კარგი ჯიშის ხარის მუშაობას. ამ ორ ხარში ერთი ქართველი ხარია და მეორე სვანური ორივე ისინი გულმოდგინედ სწევენ უღელს და ძლიერ კარგი ნამუშევარიც დატოვეს".

დანარჩენ ორატორებსაც სვანეთის ცხოვრებაში დიდ მოვლენად მიაჩნიათ ალმასკომის მიერ განხორციელებული შემდეგი სამუშაოები: ფოსტა-ტელეგრაფის ხაზის გაყვანა, მაზრის სამკურნალო-საექიმო დაწესებულების დაწესება, კერამიკული ქარხნის აგება, სკოლების რიცხვის გადიდება, სასკოლების აგება. სასამართლო უბნების გამრავლება და სხვა. ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე ზოგიერთ ნაკლულოვანებასაც. სხვათა შორის, შეეხენ სამაზრო ორგანოების არაპროპორციულ დანიშნულებით ხარჯვას, მაგ. მასწავლებლისა და ადმინისტრაციის მოსამსახურეთა ხელფასის გაცემის დაგვიანებით, იმიტომ, რომ მათი გასასტუმრებელი ფული ალმასკომს მოუხმარია მაზრაში მშენებლობისათვის.

შემდეგ ორატორები მოითხოვენ ალმასკომმა ყურადღება მიაქციოს ცენტრიდან დაშორებულ თემებში სკოლების, საექიმო პუნქტების და სასამართლო უბნების მოწყობას და აგრეთვე ამ უბნების ერთი მეორესთან დაკავშირებას შარა გზებისა და ტელეფონის საშუალებით. კამათის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

სვანეთის სამაზრო საბჭოთა მეორე ყრილობა. ალმასკომის ერთი წლის მუშაობას სთვლის ფრიად დამაკმაყოფილებლად. საანგარიშო წლის განმავლობაში სამაზრო ალმასკომის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ჩაითვალოს საუკეთესო მიღწევად.

წითელ ჯარში

საბანაკო სამზადისი.

მოახლოვებულია წითელი ჯარის ბანაკად გასვლის დრო, ქართული ჯარის ნაწილები უკვე შეუდგნენ შესაფერ სამზადისს.

ბანაკად გასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარის ცხოვრებაში.

ზაფხულის განმავლობაში პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ყველაფერი ის, რაც თეორიტიულად აქვს შესწავლილი წითელ-არმიელს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბანაკობა იმ შემადგენლობისათვის, რომელიც დღეს გვყავს წითელ ჯარში. ესენი არიან წითელ-არმიელნი, დაბადებულნი 1903 წელში. ჯერ ისინი არ იცნობენ ბანაკობას და ბანაკათ გასვლა მათ პირველად უხდებათ.

ბანაკობის დროს წითელ-არმიელნი გაეცნობიან ბრძოლის საშუალებებს სხვა და სხვა პირობებში, ჯარის საბრძოლო მოძრაობას და სხვ. უდიდესი ყურადღება ბანაკად მიქცეული ექნება სროლის საქმეს.

რაც შეეხება პოლიტიკურ დარგს, აქ წითელ ჯარს ეძლევა ფართე გასაქანი.

ნაწილები ზაფხულში დაუახლოვდებიან სოფელს და მოუხდებათ მუშაობის წარმოება გლეხობაში.

საზაფხულო პერიოდი სავსებით უნდა გამოყენებული იქნეს გლეხობის გასამხედროებისათვის. მიღებული იქნება ზომები, რომ გამოცოცხლდეს მუშაობა აწ არსებულ სამხედრო კუთხეებში და ჩაეყრება საძირკველი ახალ სამხედრო კუთხეებს.

ნაწილებმა უნდა მიიღონ მხედველობაში ის გარემოება, რომ დღეს დღეობით საწრეო მუშაობა კუთხეებში ვერ არის მოგვარებული. ჩამოყალიბება სამხედრო ხასიათის წრეების, მოხსენებების და საუბრების გასამხედროების ირგვლივ, წვევამდელების ჩაბმა მუშაობაში—აი ეს საშუალებები სავსებით უნდა იქნენ გამოყენებულნი საზაფხულო მუშაობის დროს.

ნაწილების პარტუჯრედებმა უნდა აიღონ შეფობა სოფლის პარტორგანიზაციებზე და ამით გაუწიონ დახმარება პარტიის ხაზის გამოსასწორებლად. განვლილი წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ წითელმა ჯარმა დიდი სარგებლობა მოუტანა სოფლის პარტდაწესებულებებს, ვინაიდან კავშირი მათ შორის მჭიდრო იყო. ამ ზაფხულს უნდა ვეცადოთ, რომ ეს კავშირი უფრო გავაცოცხლოთ. რაც შეეხება კულტურულ მუშაობის წარმოებას, ამაში ჩვენს ნაწილებს დიდი გამოცდილება აქვთ. ეხლა საჭიროა გავაფართოოთ მოქმედების ასპარეზი და კულტურული დახმარება აღმოუჩინოთ სოფლების უფრო მეტ რიცხვს.

ე. ხ—ი.

გასამხედროების გზაზე

N ლეგ. მე-2-ე ასეული.
(ბორჩალოს მაზრა).

გახსნილია სამხედრო კუთხეები სოფ. არახლოში, ბოლნის-ხაჩინში და ლიუქსემბურგში. კუთხეები უზრუნველყოფილია ლიტერატურით და მასალით. ყველა კუთხეში გამოდის კედლის გაზეთი. მცხოვრებლები ძალიან დაინტერესებულნი არიან სასროლი საქმით. ასეულის მეთაურები ატარებენ სამხედრო და პოლიტმეცადინეობას.

N ლეგ. მე-5-ე ასეული.
(ქვემო-მაჩხაანის რაიონი).

ასეულმა გახსნა კუთხეები სოფ. ჯუგაანში, ქვემო-მაჩხაანში და ბოდბისხევში.

კუთხეები სათანადოთ არის მოწყობილი, ჩამოყალიბებულია სამხედრო წრეები. კვირაში ერთხელ მეთაურები ატარებენ მეცადინეობას. ახალგაზრდობა ძალიან ეტანება სამხედრო საქმეს და დიდ აქტივობას იჩენს.

ე. ხ.

მეცხვარეებში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წითელ წყაროსკენ.

როცა ბუნება იღვიძებს, ქალაქში ძნელად ეტევა კაცი.

გუნება მიიწევს გარეთ, იალაღზე, ცისა და ქვეყნის ამოლღვარებულ წიაღში.

მრავალჯერ მინახავს მომხიბლავი გაზაფხული და ბუნების ძლიერი ატეხვა. მაგრამ თვალწინ გადაშლილ კახეთის ველებს ისე ვუცქერი, თითქოს პირველად ვხედავდე ყველაფერ ამას.

თუმცა პირველი ხილვა დაირღვევა ყოველ მოვლენას, რაც იწვევს ახალ განცდას და ახალ შთაბეჭდილებებს ადამიანში.

მზე, ჰაერი სინათლე და ფერები უფრო ძლიერად, უფრო უხვად მომეჩვენება.

უკან დარჩენ ჯეჯილით ამწვანებული თვალ უწვდენი ველები. ჩვენ წინაც იშლება ისევ ეს ალგზნებული სიმწვანე ახლად შემოსილის პირნახულისა.

მელაანიდან მივდივართ დანგრეულ ეტლებით სიღნაღისაკენ.

ვუცქერით ამ ფირუზ-ნაღებ ველებს და ფიქრებსა ვართ:

ერთი ხე არსადა სჩანს. არც წყარო, არც მდინარე. ოცდაოცდა ათი ვერსის მანძილზე ხომ არც ერთი სოფელიც არ დაგვინახავს. მაშ რამისთვის მოდიან აქ გლეხები სახნავ-სათესად? სიცხე-პაპანაქებაში რამდენჯერ გაუშრებათ წყურვილისაგან ხახა ან თვითონ გლეხებს, ან იმათ საქონელს?

და როდესაც ეს გაზაფხულის მწვანე ოკეანე გადაიქცევა შემოდგომის სიმშვიდით და გატიალებით, რა უდაბურ გუნებაზე დააყენებს მაშინ სილამაზის მოტრფიალე თვალსა თუ გულს!

მაგრამ ეხლა კი ვერ ძლებს კაცი ბუნების ალისიანი ატეხვითა და მოზღვავებით. ცაში შეურჩეულივით ატყორცნილი ტოროლები ხოტბას ასხამენ მომხიბლავ დილას და მოუსვენარი რაკრაკით თავიანთისვით ათრობენ ყველა მსმენელებს.

ჩქარა გავლიეთ ეს იდილია და შევედით ქიზიყის „დედა-ქალაქ" სიღნაღში.

აფსუს, რომ ადამიანები არა სცოცხლობენ სამას-ოთხას წლობით, თორემ ვეტყოდენ, რომ თავიანთ ბავშობაშიც სიღნაღი თითქმის ასეთივე იყო, როგორსაც ვხედავთ ეხლა: ასეთივე ჩალმაიანდები და ხაოზები, ასეთივე მეკუპრავები და მჭედლები. მიკიტნებს ხომ სულ ტყუილათ დასწამებენ ცილს, თითქოს ისინი მცირედ მაინც გამოცვლილიყვენ ამ ხუთასი წლის განმავლობაში.

მხოლოდ ერთი-ორი სახლია, რამდენიმეთ რომ არღვევს ამ სიძველის დამღნარ და გაბუნებულ ქსოვილს.

სიღნაღის სიძველეზე და მნიშვნელობაზე რა ილაპარაკებს ისე ძლიერად, როგორც მისი ციხე-გალავანი.

ორი ათას ადლამდის იქნება ეს ციხე-გალავანი თავის სიგრძე-სიგანეში. უწინ მთელი ქალაქი ამ გალავანში იყო მოქცეული. რამდენი ბრძოლა იქნება გადახდილი ამ გაუტეხავ ქონგურიან სადარაჯოებზე—ვინ დაითვალოს!

წინ გადაშლილა ალაზნის ველი. მხოლოდ შავ-თეთრი ნისლით დახატული ძლივსღა მოსჩანს—როგორც ბურანი. მაგრამ ცოდვათ მიმაჩნია, ალაზნის ველების სიმშვენიერეს სხვა მხრიდან გადავხედო, როცა წინ მიძევს წითელ წყაროსთან არწივის ბუდეთ ატყორცნილი „თამარის ციხე".

საცოდავებული ამინდია. იმავე დანგრეული ეტლებით გავუდექით წითელი წყაროს გზას.

თუ გუნებაც და ბუნებაც ხალისიანია—ოცდაათ ვერსს ისე გაივლი თუნდაც ამ სახიფათოდ დანგრეული ეტლებით, რომ ვერაფერს შეამჩნევ. თუ ერთ-ორ ადგილას ცივი წყაროც შეგხვდა—ეს ხომ შარბათზე უტკბესად შეერგება მოგზაურს ამ სიცხე-პაპანაქებაში!

ყაზიბეგის ძმები.

წითელ წყაროს ეგრევე ეწოდება თუქურმიშა, დედოფლის წყარო, როგორც თუმ მეცხვარეებს ერთ და იმავე დროს ჰქვიათ ხოლმე ორი-სამი ნამდვილი სახელი.

ეს განზე მოქცეული თავისებური დაბა საგანგებოდ გამოცოცხლდება ხოლმე საქართველოს მეცხვარეთა ყრილობის დროს.

ეხლაც ყოველი ქუჩა, ყოველი გზა-ჯვარედინი და სამიკიტნოების აივნები სავსე არის მეცხვარეებით. აქ არიან თუშები, ფშავები, ქიზიყელები, კახელები და თბილის-ბორჩალოს მაზრელები.

იმათგან შესდგება ტიპების ულამაზესი გალერეა მხნე, გამძლე სალი ვაჟკაცებისა.

უცქერი მათ ახოვნობას, სადა ჩოხებს, თვითმოქმედ ვაშვებულ სქელ ულვაშებს. მარაქიან ხანჯლებს და ისე გგონია, ეს ლაშქარი წამოშლილა ორი-სამი საუკუნის სიმორიდანო.

მეტად თავისებური ხალხი არიან ეს მეცხვარენი. ვისაც იგინი არ უნახავს, ეგონება: მეცხვარე უეჭველად უვიცი, უტყვი და მეტად ჩამორჩენილი ადამიანი არისო. როცა გაიცნობენ, მაშინ კი განცვიფრებაში მოვლენ ყველანი.

მე არა მგონია, რომელიმე დაწინაურებულ ქვეყანაში იმდენი ნასწავლი და თავისებური ხალხი იყოს მეცხვარეებში, როგორც ჩვენსა.

არიან უმაღლესი სწავლით აღჭურვილნი, ნასტუდენტრები, საშუალო განათლებით ხომ მრავალი მოიპოვება. ამ მხრივ ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს თუშობა. მათში ძალიან იშვიათად მოიპოვება უსწავლელი მეცხვარე.

შარშანაც ვსწერდი და ეხლაც უნდა გავიმეორო: ჩვენ ყაზბეგი ერთი კი არა გვყოლია, არამედ მრავალი. ეგრეთვე ყაზბეგის მეცხვარედ წასვლა სრულიადაც არ ჩაითვლება ორიგინალობად, როგორც ბევრ ჩვენთაგანს ჰგონია. ეს სულ ჩვეულებრივი მოვლენაა მთიელი კაცის ცხოვრებაში.

მე თან თითქოს აღტაცებული ვარ ამ გარემოებით: ნასწავლი, განვითარებული და ნიჭიერი ადამიანი არ ასცდეს ძალაუნებურად ინტელიგენტურ ცხოვრების ცდუნებას და რაღაც შინაგანი ბრძნულის კარნახით მიდის უბრალო მეცხვარედ. მეორე მხრივ კი ყველას ვუსაყვედურებ: არა, მე არ მინდა, რომ თავი გაანებოთ მეცხვარეობას და ხელი მიჰყოთ უხეიროდ და ფუქსავატ ინტელიგენტურ ცხოვრებას, როცა ჩვეულებრივი კაცი სწყდება არსებობის სათავეს და იწყებს გაზეიდებულ უნიადაგო მატრაბაზობას. მაგრამ ვერც ის გამიგია: როგორ აუქმებთ ამდენ სწავლასა და ბუნებრივად ჩანერგილ სიბრძნეს? რატომ არაფერში ხმარობთ ამ სიმდიდრეს? თქვენ მეცხვარეობას ეწევით იმავე წესით, როგორც ჩვენი ძველის-ძველი მამა-პაპანი რაში იყენებთ ამ სწავლას? რატომ არ სცდილობთ დაამჩნიოთ რაიმე კვალი ჩვენს ცხოვრებაში? რაღაც აუხსნელი ძუნწობით თუ მიუდგომელი ბრძენივით რას ჩავიმარხავთ ეს ბაჯაღლო სიმდიდრე მიწის გულში და არ გინდათ არგოთ ქვეყნას?

მისმენს **ზუქურაული**—კოხტა და კოპწია შობილ ქისტს რომ ჩამოაგავს. [illegible], [illegible] მიმოაჭინებს თვალებს კლდეზე მჯდომი არწივივით და მხოლოდ თავის გუნებაში იძლევა პასუხს. ხმას კი არ იღებს.

ასეთივე ამოცანაა ზუქურაულის ფანდი—**კოხტალა.**

აგერ ახალგაზრდა **მიქელაძე**—მჭერმეტყველი და აზრიანი. ვერ გამიგია— როგორ ატარებს გულჩახვეულად ამდენ სიმდიდრეს და იმის ცხვარი კი ვერაფრით ვერ გრძნობს თავის მატრონის სწავლასა და ნიჭიერებას.

არც ბუმბერაზი **ედიშერი** იძლევა პასუხს, თავისი შეხედულობით და ვაჟკაცის მარჯვენის სიგრძე ხანჯლით დიდ-მოურავს რომ მოგაგონებს.

მაგრამ არც უსწავლელი მეცხვარეები არიან ნასწავლებზე ნაკლები.

მოხუცი **შალვა ხეობელი** მთელი საათი გვართობს თავისი ენა-მახვილი და ბრძნული საუბარით. მისი ყოველი სიტყვა ხალხურ ჭეშმარიტების საკვეთელივით სჭრის ჩვენ გულს.

რომ ძისვა ეს კაცი ხელისუფლების მეთაურებთან და ქვეყნის ავ-კარგზე ჰკითხო თავისი აზრი, ხომ ბევრს მეთაურსაც ვერ იტყვის და არც ისეთი მარილი ექნება, როგორც ამ შინაურულ ბაასის დროს!

თიქინის მოხუცი. ჩვენც ვეცნობით. მხოლოდ შემდეგ გავიგე რომ ოთხი თვის წინედ ვარდასცვლია კაი ვაჟკაცი შვილი და ეხლა დარდით დღე-მუდამ ღვინოს გადაჰყოლია.

— სრული ორი წელიწადია ოჯახში აღარა ვყოფილვართ—ამბობს მოხუცი.

ეს სულ ჩვეულებრივი მოვლენაა თუშ-ფშავ მეცხვარეებში.

ამ მხრივ ქიზიყელები უფრო ბედნიერნი არიან. შირაქში ყოფნით—ისინი თითქმის ოჯახში იმყოფებიან.

ქიზიყელების და თუშების მეცხვარეობას ახალგაზრდა **ზუქურაული** ასეთი შედარებით ახასიათებს:

— ქიზიყელები სიმდიდრით ეწევიან მეცხვარეობას, თუშები კი—სიღარიბით. ქიზიყელებისთვის მეცხვარეობა გართობაა, თუშებისთვის კი— ხელობაა.

სვანების შემდეგ—პირველი ადგილი მჭერმეტყველობაში უეჭველად ჩვენს მეცხვარეებს მოეკუთვნებათ. ლაპარაკობენ მტკიცედ დარბაისლურად, მკაფიოთ და მოკვეთით.

გაზაფხულის ისარი

პირველ გაზაფხულს ყველაზე მწვავე ისარი მეცხვარეებისთვის უსროლია.

უკანასკნელ სამი დღის სიცივეს ბევრი მეცხვარე სამი წლითაც დაუგლოვებია.

სწორედ გაცხარებული დოლობა იყო. თოვლს დაუფარია მთელი შირაქი. შემდეგ მოჰყვა ქარი და წვიმა. არავის არ ჰქონია თავის მარაგი. მთელ სამ-ოთხ დღეს ცხვარს საკვები აღარ ჰქონია. ზამთრისაგან ისედაც შეწუხებულ პირუტყვს ამ დოლობის დროს ვეღარ აუტანია სიმშილი და სიცივე და უზომოდ გაულეტია. ყველაზე მეტათ დაზარალდა კი ისევ ნორჩი ბატკნობ.

ვისაც ას სულამდის მოკდომია—ამას ზარალად არ სთვლის. ზარალად სთვლიან სამას, ოთხას, ხუთას სულს. ერთს ექვსასი თავიდან გადარჩენია მხოლოდ ორას ორმოცდა ათი. მეორეს ორი ას ხუთასი თავიდან დახოცია ძველიც და ბატკანიც ათასი სული.

ოცდა ერთი ბინის სია ვნახე, სადაც ბატკნიანად უნდა იყვეს 35—40 ათასი სული. აქედან გაულეტილია 14 ათასი. ამას ზედ უნდა დაერთოს მრავალი ძროხა და ცხენი.

მაგრამ გასაოცარი არიან ეს მეცხვარეები. ყველაფერ ამას ისე ამბობენ, თითქოს სხვას გადახდომოდეს თავზე და არა იმათ.

აი მაგალითად ერთი როგორ მომითხრობს თავის ზარალს:

— ჩვენ ბინის ქვეშ სარდაფი იყო. რომ ავივდა ცხვარი უხოში იყო. შემთხვევით ერთი ცხვარი ჩასულიყო სარდაფში. იმას მიჰყოლოდა მეორე, მესამე. ჩქარა მთელი ფარა მიჰყოლია. სარდაფი რომ გავსილიყო ერთი პირი ცხვარით, ზედ მეორე პირი შემდგარიყო. მეორე პირზე—მესამე, მეოთხე და ასე ხუთ-ექვს პირად ზედიზედ შესდგომოდა ცხვარი. რასაკვირველია ქვეშ რაც მოქცეულა, სულ ჩამხრჩვალიყო. ასე დამეღუპა ორას სამოცი სული ცხვარი.

ყველაფერ ამ ზარალს შემდეგ კი მეცხვარეები რას მოითხოვენ?

მხოლოდ საბალახოების გადასახადის **გადადებას** რამდენიმე კვირით, რადგან დასუსტებულ ცხვარს ფასი არა აქვს ჯერ-ჯერობით და ეხლა გაყიდვა ზარალზე ზარალის ნიშნავსო.

მიაჩნიათ, რომ არ ჰყვარებიათ ჩივილი და ასეთი გამძლეობა ეტყობათ.

აქ აშკარად გამოსჭვივის ბუნება იმ ხალხისა, ვინც წლით-წლობამდის თანაბრად იტანს შემოდგომის ქარს, ზამთრის ყინვას ზაფხულის სიცხეს, სეტყვასა და წვიმას. ამათ ვაჟკაცურ იერს არაფერი აკვირვებს. ჩვენ კი გვაკვირვებს ამათი დამშვიდებული დარბაისლობა.

ასის შემდეგნი მოუდგომელი მსაჯულივით ამბობს:

— შვიდიც, რვაიც, ცხრაიც არც დაგვიწერია. ჩონ ზარალით მივყავს ორას-სამასის ზევით. თუ ორ დღეს კიდევ ყოფილიყო იგეთი სიცივე, „ოთხმოცი" აღარ დარჩებოდა.

მწვავე ყოფილა გაზაფხულის მიერ მეცხვარეების გულში ნატყორცნი ისარი, მაგრამ ვაჟკაცური მათი ბუნება არა სჩვევია ჩივილსა და გულგატეხას.

თვალის სარკმელი

თუ რაიმე სილამაზე არ განმეორდა ცხოვრებაში, ის სინამდვილეთ არ მიმაჩნია.

მართლაც გადახედე ალაზნის ველებს „თამარის ციხიდან" და ამის შემდეგ აღარ მახსოვს სხვა სილამაზე.

ვისაც უნახავს, აღარ უნდა [illegible].

ვისაც არა და—მიგვყავს პირველად, რომ სამუდამოდ მოიხიბლოს თავისი ქვეყნის ჯადოსნურ კუთხით.

თამარის ციხე იშვიათ სილუეტად მოსჩანს [illegible] კლდეებიდან განშორებით—ცის სიმაღლეზე.

ავდივართ, ოფლში ვიწურებით და თან ყოველ ნაბიჯზე ვფიქრობთ:

— ჩვენ რომ ასვლა ასე გვიჭირს, მაშ ამის აშენებლებს რაღა ეთქმოდათ?

მაღლა კოშკიდან კი ახლად გადავხედე თვალის წარმტაც ალაზნის ველებს.

შორს წასულ მწვანე ოკეანეში ალაგ-ალაგ დაგუბებულიან ქარვის ფერი ყვითელი ზღვები. ეს შალე მორწყულ ადგილებია.

აგერ მეორე მხარიდან ახლად დაღვრილ სისხლის ფერად იჭრიალებს ფართე მინდორი.

ვინ გადაიხადა აქ ცხარე ბრძოლა? ვინ შეღება წითლად ეს მწვანე ველი?

— მაგრამ აქ ამოსულა ყაყაჩოების ზღვა და იმათი სიწითლეა, ასე რომ გეხიბლება.

გაღმა იწყება ისევ ველები—დაბურული და შავები. ნისლიც ჩამოწოლილა ალაგ-ალაგ მზის შესამოსად. სულ უკან კი კავკასიონის გალავანი თოვლ-ჩაწნული სხვადასხვა სახით. ხელეხუბ თოვლი ისევე ჰფარავს შუა წელს ზევით. თითქოს დამძვრალი თეთრი ზეწარი დაუფეხეხავთ გადუფენიათ შავ ვეშაპების უსწორ-მასწორო აგებულ ქედზე.

ბრძოლა, ნადიმი, შრომა თუ სადღეგრძელო—ყველაფერი მოუხდება ალაზნის ველებს და ყველაზე მეტად კი მას უხდება „თამარის ციხე".

დახოცილი ვაჟკაცები

შევედით წნორის-წყალზე.

სადგურის მახლობლად თან იშვიათი, თან გულსატკენი სურათი იხატება.

ხუთის-ექვსის ადლის სიგრძე-სიგანეზე შერეხილივით ჰყრია მუხის დარჩეული ხეები. რამდენი ათასი—არ დაითვლება. მხოლოდ ერთი მეორის თავზე კი ვკითხულობ 4604 ნომერს.

როგორც უსწორო ბრძოლაში დახოცილი ვაჟკაცები, ისე ჰყრიან ეს მუხის დარჩეული ხეები.

სად არის ასეთი რჩეული ტყეები? ან რათ ვაუჩეხიათ ასე დაუზოგავათ? ან სად მიდის ასეთი ძვირფასი მასალა?

გამოვკითხე.

ეს მასალა გამოდის ალაზნის ტყეებიდან. ამზადებს რკინის გზა „შპალებათ" და სხვა თავის საჭიროებისათვის.

სამი ამდენი უკვე გავგზავნეთო,—მეუბნება მოსამსახური. რამდენიმე თვის შემდეგ კი შეწყდება მუშაობა, რადგან ასეთი რჩეული ხეები უკვე ილევა ალაზნის ტყეებშიცო.

აწერილს მადლი არა აქვს, კაცმა უნდა თავის თვალით ნახოს, თუ რა სიმდიდრეს წარმოადგენს ეს დაწოლილი ტყე.

ყველაზე მსხვილი ხეები არიან [illegible].

რომელიც ყველაზე მსუბუქ სიმკვრივისას— ამას ხმარობენ შპალებისათვის.

კაკლის ხეებიც საკმაოდ არის.

უკანასკნელად გადავავლე თვალი შავქერქა მუხის [illegible] მორებს და წამო-

ლევ. მეტრეველი.

პატარა ფელეტონი

მილოცვებისებურათ

სააღდგომო ტრადიციებს
უცვლელ ვებრძვი,
მე იმათი არაფერიც
არ მრწამს ხეწვი!
და კალამით თუ რომ მაინც
ავმოქმედე,
სხვა აზრს მივსდევ და უბრალოდ
არ ვარ უბედი!..

***

წელს პასკები, სააღდგომო,
რომ დავაცხვე,
დასაგზავნათ სულ ცალ-ცალკე
გადავაწყვე,
და დავჯექი ბარათების
დასაწერად;
მე ვწერდი და პასკები კი
იდგა ცერად!..

***

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას.

პასკას, პირველს, მე ვუგზავნი
ჩვენს რედაქტორს,
რათა მან ეს, ვისაც უნდა,
განუმარტოს,
რომ პრესა და პირმშვილი
პოემორი,
ერთი საქმის ორი ფხაა
ეგი ორი!..

—

გაზ. „მუშა"-ს.

ერთი პასკა რა საქმეა
შენთვის, აბა?
მხამს, პასკისგან რომ აგიგო
მთელი დაბა,
მთა დაგიდგა, შუნებრივი,
თუ გოლოლი!..
ძვირი არის მუშებისთვის
შენი ტოლი!..

—

გაზ. „ახალი სოფელი"-ს რედაქციას.

თუ „მუშისთვის" არ მშურს პასკა
მე ნობათად,
შენთვის იგი მეგეტება
ერთი ათად,
პასკის ცხობას ცოტა შიში
რომ არ ახლდეს:
მეშინია—„ექსპორტს" ფქვილი
არ მიაკლდეს!..

—

„Заря Востока"-ს.
„Заря Востока"-ს.
რომ „იმპორტ"-ს არ შეეშალა
ჩემთვის ხელი,
შენთვის პასკა არ მინდოდა
ასე თხელი,
ჩვეგვეროდა რომ ყოფილიყო,
არა რგვალი,
რომ სუყველას დარჩენოდა
მასზედ თვალი!..

—

„Рабочая Правда"-ს.
ერთის ნაცვლად, შენ გიგზავნი
პასკას წყვილად,
ვინც ეს ასე გამოგაცხვე
წვრილ-წვრილად:
ნებაყრობა მუშისთვის ჯერ
უცნობია
და ხელდახელ შესაჭმელად
ეს სჯობია!..

—

ყველა კორესპონდენტებს.

თითოს-თითო წითელ-წითელ
კვერცხით ხელში
გეგებებით აღდგომა დღეს
თქვენ ამ წელში;
სამისოთ ნიშანია
ეგი ფერი,
მასზეთ კი თქმული არის
ყველაფერი!..

—

პროლეტარულ პოეტებს.

თქვენთვის პასკა ხელში არის
სახიფათო,
თქვენ შეგშვენის ლავაში, ან
ტაბლა, ფართო,
რომ კბილით ზედ მოეჭიდოთ
ერთად ყველა...
ჩიოს ერიდეთ! მას არ მოაქვს
თქვენთვის შველა...

—

ცისფერ ყანწელებს.

მეშინია, რომ ვახსენო
თქვენს წინ პასკა,
ან გოჭი, ან ინდაური,
ისე დაცხა.
შეგდეთ ძველი, თქვენგან ხერა რომ
მისიც მძულდა...
ყამირიც კი თქვენს ფეხებ-ქვეშ
მოგიღუღდეს!..

—

ახალ მწერლობას.

„თქვენთვის პასკა გამომცხეთ
მე რამდენი?!
ეჰ, „სწრაფია, ვით წყლის ტალღა,
ჩვენი დღენი!.."
და რომ მესმის ვითარებს
მე ეს წესი,
ვფიქრობ: ახალს როდის შესცვლის
უახლესი?!

—

მიხეილ ჯავახიშვილს.

ერთ პასკაზე, არ მინდოდა,
რომ დამესვა,
რადგან გიყვარს, ვიცი, ხელში
ორი ნესვი.
მეც, იმ თავით შიში მაქვს რა
შენი კვაჭის,
ერთ პასკაზე მსურს [illegible]
ერთი ნაჭერი!..

—

გრიგოლ რობაქიძეს.

თქვენთვის... თქვენთვის აღარ დამრჩა
პასკის „ნიჭი".
მაგრამ უეცრათ მომაგონდა
მეტერლინკი:
მან დუმილი დაგვიხატა
მისტიურად;
ამ ხერხს კი დღეს თქვენც იყენებთ
თქვენებურად!..

—

სახელგამს.

სახელიც და გვარიც გწყალობს,
მაგრამ პასკა
შენთვის მაინც აღარ მეყო,
აღარ დამრჩა.
მქონებოდა, სულ ერთია
მაინც შენთვის:
რას გააწყობს ერთი წვეთი,
ზღვას თუ ერთვის?!.

—

მილიციას.

რომ პასკით არ მომიშივდეს
მილიცია,
მე ბრძანება ურყეველი
მიმიცია,
და წითელი თუ მოპკლდეს
ხელში კვერცხი,
იშიშლის და მეგების
ცხვირწინ კვრთხი!..

—

ქალაქის ალმასკომს.

ერთი პასკით, მსურს, მოვთავლო
ალმასკომი,
ან არა და, სად შევიძლო
მასთან ომი?!
ურჩობისთვის იმან იცის
სხვა მეგარა;
მე კი ვამბობ: „მისი პირი
შემეყარა!.."

—

„ტუნი"-ს.

პასკა ყველა მივაბარე
უნდ იმას,
ვერიდები: ქარსა და მტვერს,
ნისლს და წვიმას,
ერთ გლახ ბინის რა ხანია
ვებრძვი „ტუნი"-ს,
თუ დავმარცხდი, რაღა დამრჩა
წავალ ტუნისს!..

—

„სტრახკასას".

მაროკოსა და ტუნისზე
მომაგონდა:
მოდის სიკვდ და ჩა, გულიც
შემიღონდა,
ან „სტრახკასის", მინდა, ვსთხოვო
აგარაკი;
გამაგზავნის, რაღათ უნდა
ლაპარაკი!..

***

მილოცვები დავასრულე
თუმცა ამ წელში,
მე ფანქარი მაინც შემრჩა
ჩემი ხელში,
რომ მომავალ წლისთვის მე
კვლავ მომართო,
სხვებს რას დაგდევ? მინდა, რაებ
რომ გავართო!..

ონისიმე.

საქართველოს პროლეტარული მწერლების პირველი ყრილობისათვის

საქართველოს პროლეტარულ მწერლებს

ძვირფასო ამხანაგებო

5 მაისს, მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს, მოწვეულია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა პირველი ყრილობა.

კომუნისტურმა პარტიამ განსაზღვრა თავის დამოკიდებულება საერთოდ მწერლობასადმი და კერძოთ პროლეტარული ლიტერატურისადმი თავის ცენტრალური კომიტეტის მიერ გასულ წელს გამოქვეყნებულ რეზოლუციაში „შესახებ პარტიის პოლიტიკისა მხატვრულ ლიტერატურის სფეროში".

დღის წესრიგში დადგა ამ რეზოლიუციით გათვალისწინებულ შესაფერ პოზიციების დაკავების მუშაობის წარმოება.

1925 წლის 20 ივლისს დაარსებულ იქნა პროლეტარულ მწერალთა თბილისის ასოციაცია, რომელიც იმ თავიდანვე ეწევა ენერგიულ მუშაობას და რომლის გამგეობასაც დავალებული ჰქონდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობის მოწვევა.

პროვინციებში უკვე მუშაობენ პროლეტარული ერთეულები: მუშკორთა მთელი რიგი ახალი სახელებისა შემოდის მხატვრულ ლიტერატურის სფეროში; მსხვილ საწარმოო ცენტრებს, ერთეულებს, თუ მუშათა მოსახლეობის ადგილებში არსებობენ მთელი რიგი პროლეტარული ლიტერატურული წრეები, სადაც სწარმოებს ლიტერატურული საქმიანობა.

ყოველივე ეს საჭიროებს ძალთა თავის მოყრას, ორგანიზაციულად საბოლოოდ ჩამოყალიბებას და ასე ძალების შედუღებას ნაყოფიერ შემოქმედებითი-იდეოლოგიური მუშაობის გასატარებლად.

თბილისის ორგანიზაციის გამგეობა, იწვევს-რა ამ მიზნით საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობას, მიმართავს მოწოდებით ს. ს. ს. რ. ფარგლებში მომუშავე ყველა პროლეტარულ ლიტერატურულ ძალებს, რათა, ისინი, ქვევით მოთავსებულ სიის მიხედვით, ამა წლის 5 მაისს, საღამოს 5 საათზე გამოცხადდნენ აღნიშნულ ყრილობაზე, ქ. თბილისში, ხელოვნების სასახლეში, მახაზელის ქუჩა, № 13 სახლში.

ყრილობის დღის წესრიგი

1. მიმდინარე მომენტი და პროლეტარული ლიტერატურის ამოცანები.
2. პროლეტარულ მწერალთა თბილისის ასოციაციის გამგეობის ანგარიში (მომხსენებელი—ნ. ზომლეთელი).
3. ინფორმაციული მოხსენება პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაციის გამგეობის წარმომადგენლისა (მომხსენებელი—ამხ. ავერბახი).
4. პროლეტარული მწერლობის განვითარების გზები (მომხსენებელი—ამხ. შ. დუდუჩავა).
5. სამანდატო კომისიის მოხსენება.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

სია

საქართველოს პროლეტარულ მწერლებისა, რომელთაც ეძლევათ ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლება:

1. მიქელაძე სერგო, 2. ანაზარდი, 3. ანათოშა, 4. ასათიანი ალექსანდრე, 5. ასათიანი იოვან, 6. ასლამაზიშვილი ნიკო, 7. ახალკაცი პეტრე, 8. ბახტაძე იპოლიტე, 9. ბაჭიაშვილი ალექსანდრე, 10. ბერიძე აგრაფინა, 11. ბობოხიძე კალისტრატე, 12. ბუაჩიძე ბენიტო, 13. ბუხნიკაშვილი გრიგოლ, 14. განჯის კარელი ანტონ, 15. გარუნი, 16. გაწერელია აკაკი, 17. გედევანიშვილი იოსებ, 18. გეწაძე იასონი, 19. გოგიაშვილი მიშა, 20. გოლუბევი, 21. გორდაძე დავითი, 22. გრემენშჩიკოვი, 23. გულიაშვილი კოლია, 24. დევაძე ლადო, 25. დევაძე მიხეილ, 26. დესპოტაშვილი გიორგი, 27. დობროვოლსკი, 28. დოლიძე სოლომონი, 29. დუდუჩავა შურა, 30. ესაკია ლეო, 31. ერთაწმინდელი სეზმანი, 32. ეული სანდრო, 33. ვაკელი იონა, 34. ზომლეთელი, 35. თალაქვაძე სევასტი, 36. თალიკაძე შაქრო, 37. თოდრია სილიბისტრო 38. იტრიევ ნიკო, 39. იურინი მიხეილი, 40. კალაძე კარლო, 41. კალაძე რაჟდენ, 42 კანანელი გიო, 43. კოზლოვი, 44. კოპალაძე ნიკოლოზი, 45. კრეიტანი, 46. ლევიტანი, 47. ლეკიშვილი გიორგი, 48. ლისაშვილი იაკინთე, 49. ლომია პლატონი, 50. ლორთქიფანიძე კონსტანტინე, 51. ლუარსამიძე ვალერიანი, 52. მაგერი, 53. მამუკაშვილი შაქრო, 54. მაშაშვილი ალიო, 55. მდივანი გაგა, 56. მესხი აკაკი, 57. მესხიშვილი ლიზა, 58. ნავთლუღელი შაქრო, 59. ნაკაიძე გრიშა, 60. ნოწმინდელი დათიკო, 61. პოლუმორდვინოვი ელიზბარ, 62. რადიანი შალვა, 63. რამიშვილი კალისტრატე, 64. რონდელი დავით, 65. სამსონიძე პეტრე, 66. სალუქვაძე ვარდენ, 67. სახოკია ირაკლი, 68. სიტკოვსკი არკადი, 69. სულავა ალექსანდრე, 70. სულაძე ილარიონი, 71. სტორი. 72. ფერდოშვილი კალენიკე, 73. ფიცხელაური ივანე, 74. ქართველიშვილი შალვა, 75. ქვიტაიშვილი ონისიმე, 76. ქიქოძე პლატონ, 77. ქურციკიძე ილია, 78. ღოღობერიძე დათიკო, 79. შევცოვი, 80. შინატელი გიორგი, 81. ჩიჩიბაია არჩილი, 82. ჩიჩიბაია ვასილი, 83. ჩოდრიშვილი მიხეილი. 84. ჩხიკვაძე პანტელეიმონ, 80. ცემბერელი გოგიტო, 86. ხებრიელაშვილი ივანე, 87. ხეთა-
გიტო, 86. ხებრიელაშვილი ივანე, 87. ხეთაგური ნიკოლოზი. 88. ხუციშვილი გიგო, 89. ხიდისთაველი სიო, 90. ხოშტარია ილია, 91. ჯაბაური გიორგი, 92. ჯაში-უშანგი, 93. აკოპიანი აკოპ, 94. ალანიანი, 95. არაქელიანი, 96. გრიგორიანი, 97. დორიანი, 98. ვშტუნი აზატ. 99. თამაზიანი არმენაკ, 100. ისრაელიან სარქის, 101. მარტინ, 102. მკრტიჩიან, 103. საკიანი აკოპ. 104. ტერ-სიმონიანი ვართან, 105. შიროიანი და 106. შახველდიანი. *)

გარდა ამისა, აგზავნიან თავიანთ თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით აგრეთვე შემდეგი ორგანიზაციები:

მუშა და ახალგაზრდა კორესპონდენტთა ორგანიზაციები გაზ. გაზ. „კომუნისტისა", „ახალი სოფლისა", „ახალგაზრდა კომუნისტისა", „მუშა"-სი, „Заря Востока"-სი, „Рабочая Правда"-სი, „მოლოდოი რაბოჩი"-სა, „მარტაკოჩი"-სა, „[illegible]"-სა, და „წითელი არმიელი"-სა.

თბილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობა.

27 აპრილი, 1926 წ. ქ. თბილისი.

---

*) დამატებით სია კიდევ იქნება გამოცხადებული.

ქრონიკა

პირველი მაისის

დღესასწაულის გამო დღეს ყველა სავაჭროები და სასადილოები დაკეტილი იქნება.

ტყის დამუშავება.

ა.-კ. კომისართა საბჭომ მიზანშეუწონლად სცნო ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში ტყის დამამუშავებელ ორ ორგანიზაციების არსებობა.

კომისართა საბჭომ ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას მისცა წინადადება განიხილოს საკითხი თვითეულ რესპუბლიკაში ტყის დამამუშავებელ თითო მთლიან ორგანიზაციის დაარსების შესახებ.

საკითხის გადაწყვეტის დროს საგეგმო კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი მოსაზრებები:

ამიერ-კავკასიის რკინისგზები უზრუნველყოფილი უნდა იყვენ სატყეო მასალის მომარაგების დარგში და ამავე ორგანიზაციამ სავსებით უნდა გაუძღვეს ამ საქმეს.

ტყის დამამუშავებელი ორგანიზაციები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერი სამრეწველო თანხებით.

თბ. ალმასკომში.

◆ **ტრამვაით მგზავრობა** 1 მაისიდან ღამის 10 საათის შემდეგ ნაცვლად 30 კაპ., ეღირება 15 კ.

◆ **ხიდების შესაკეთებლად.** ალმასკომმა შეადგინა საგანგებო კომისია ქალაქში არსებულ ხიდების შესაკეთებლად.

◆ **კეთილმოწყობა.** ამ დღეებში ქალ. კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგება ბელინსკის ქუჩის საფუძვლიან შეკეთებას.

◆ **მუშათა სახლები.** ალმასკომმა კომუნალურ განყოფილებას წინადადება მისცა დაჩქარებით შეუდგეს ნაძალადევში და დიდუბეში მუშათა სახლების აგებას.

მიწათმოქმედ. სახ. კომისარიატში.

◆ **ბოტანიკურ ბაღის მოწყობა.** მიწათმოქმედების კომისარიატი ახლო ხანში შეუდგება ბოტანიკური ბაღის მოწყობა-გამშვენიერებას.

◆ **მიწათმოწყობა.** აპრილის პირველ რიცხვებიდან საქ. სხვადასხვა კუთხეებში მიწათმოწყობის სამუშაოებისათვის დაიგზავნა 80-ზე მეტი მიწისმზომელი.

სახალხო მამულების ტრესტში.

◆ **ღვინის გასაღება.** სახ. მამულების ტრესტმა მოსკოვში გასასაღებლად გაგზავნა 8.000 ვედრო ღვინო.

◆ **ხეტყის საწინააღმდეგო [illegible].** სახ. მამულების ტრესტმა საზღვარგარეთიდან მიიღო 8.000 [illegible] საწინააღმდეგო [illegible].

◆ **ძროხები.** სახ. მამულების ტრესტმა სახ. მამულების საჭიროებისათვის რუსეთიდან შეიძინა საუკეთესო ჯიშის 60 ძროხა.

◆ **ამერიკული ვაზი.** მიმდინარე წლის განმავლობაში სახ. მამულების ტრესტმა ამერიკიდან მიიღო 4 მილიონი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

სოციალური უზრუნველყოფა.

◆ **დახმარება 129 წლის გლეხს.** გუშინ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში გამოცხადდა 129 წლის მთიული გლეხი სოფელ ფშანაურიდან გიორგი ბედინაძე და დახმარება ითხოვა. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ფულადი დახმარება მისცა გლეხს და ადგილი დაუთმო სანევალიდო სახლში.

◆ **პენსიები და დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, იანვარში, თებერვალში და მარტში ინვალიდებს და გაჭირვებულთ დახმარების სახით მიეცათ ტფილისის მაზრაში 1815 მანეთი, სიღნაღის მაზრაში—3.512 მანეთი და ოზურგეთის მაზრაში—1943 მან.

შინავაჭრობის კომისარიატში.

◆ **კოოპერაციის წევრთა რიცხვი.** საქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა რიცხვი მიმდინარე წლის დასაწყისში აღწევდა 32.058-დე, წინა წელთან შედარებით წევრთა რიცხვი ერთი მესამედით გაიზარდა.

◆ **პურის შემოტანა.** „კომისარიატის" ცნობით, წელს საქართველოში რუსეთიდან უნდა შემოიზიდოს 4 მილიონი ფუთი პური.

სხვადასხვა.

◆ პროფ. ესმანის მეთაურობით თბილისში ჩამოვიდა ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა ექსკურსია.

◆ **არტელი.** თბილისში დაარსდა ახალი სამრეწველო-კოოპერატიული შრომის არტელი.

◆ წელს თბ. წერაკითხვის ლიკვიდაციის სკოლები დაამთავრა 1.326 კაცმა.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში სამეურნეო მუშაკთა თათბირის ანგარიშს შეცდომით ჰქონდა სათაური—„ბრძოლა მომზირნეობასთან". უნდა იყოს: „ბრძოლა მომჭირნეობისათვის".

ხელოვნების ქრონიკა.

◆ **„კრიკინა ბუხარზე".** ხვალ ოპერის თეატრში დაიწყება მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის წარმოდგენები. იდგმება—„კრიკინა ბუხარზე".

◆ **ბარბარე მესხიშვილის** უკანასკნელი გასტროლი გაიმართება ხუთშაბათს, 4 მაისს, რუსთაველის თეატრში.

◆ **მოსკოვის სატირის თეატრი.** მაისის შუა რიცხვებში თბილისში დაიწყება მოსკოვის სატირის თეატრის წარმოდგენები.

◆ **წითელი თეატრის** რუსული დრამა ამ დღეებში წარმოდგენების გასამართავად გაემგზავრება ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში.

◆ **სახალხო გამოფენა.** 3 მაისიდან 10 მაისამდე თბილისის ყველა სახალხო ბაღებში გაიმართება ბავშვთა ნაწარმოების გამოფენები. გამოფენები ღია იქნება საღამოს 5-დან—7 საათამდე.

სასამართლო

ს—ბა „ბირლიკი"-ს თანა მშრომელთა საქმე

მესამე სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, რომელთა საშუალებით დადასტურდა წინასწარი გამოძიებით გამოკვლეული ფაქტები.

მოწმეების ჩვენებიდან საერთოდ ირკვევა, რომ საზოგადოება „ბირლიკი"-ს ბუხჰალტერია ყოველდღიურ ოპერაციებს სისწორით არ აწარმოებდა.

გამგეობის წევრები: გასან ნაგრუზოვი და მამედჯან რუსტამოვი არ იჩენდნენ საქმისადმი ერთგულებას; სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებთან სდებდენ ფიქტიურ ხელშეკრულებებს, რითაც დიდ ზარალს აყენებდენ საზ. „ბირლიკი"-ს. გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე მინასაზოვი არაწესიერად აწარმოებდა ფულების გაცემის ანგარიშს ვალდებულ პირებზე; მინასაზოვი არღვევდა აგრეთვე უფლ საბუთებს.

მოწმე **სვიმონიშვილის** თქმით, სარევიზიო კომისია დეფექტების გამოსასწორებლად მიტომ ვერ ღებულობდა ვერავითარ ზომებს, რომ კომისიის წევრებს დიდი ავანსები გამოჰქონდათ.

დაკითხულ იქნა მოწმე ალ. ერქომაიშვილი და სხვ.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლომ ექვს-ექვსი თვის ციხე მიუსაჯა მარიამ ბრისნიკოვას და ანაიდა გროიანცს ხულიგნობისათვის.

დოღი

3 მაისი

ორშაბათს, 3 მაისს, დიდუბის იპოდრომზე გაიმართება ექვსი საინტერესო დოღი.

1. საზარიერო ჯილდო 80 მანეთი. მონაწილეობენ მოხალისე მხედრები ცხენებზე არა უმცროს 4 წლისა. დისტანცია 2667 მეტრი (2,5 ვერსი), ექვსი ბარიერით.

ჩაწერილია: არაქსი (მხედარი—ნაკაშიძე), ვერდუნი ([illegible]), არჩილი (ბოკაშვილი), ყირგიზი (გურგენიძე), დონი (გაბუნია), ელექტრიკი (ლესელიძე), ანანური (ნაცვლიშვილი) და ციცერონი (გაბრიძე).

2. ჯილდო 120 მანეთი. მონაწილეობენ მეორე ჯგუფის ცხენები. დისტანცია 2134 მეტრი (2 ვერსი).

ჩაწერილია: სარდარი (მხედარი—მიჩურინი). სოფილიტი და ავი (ბოკაშვილი).

3. ჯილდო 60 მანეთი. მონაწილეობენ მეოთხე ჯგუფის ცხენები. დისტანცია 2667 მეტრი (2,5 ვერსი).

ჩაწერილია: ვარსკვლავი (მხედარი—ნაკაშიძე), ციგანკა (მეჭაია), აფხაზი (შენგელია). საარიხი (ნაცვლიშვილი) და პირკა (ერისთავი).

4. ჯილდო 100 მანეთი. მონაწილეობენ მესამე ჯგუფის ცხენები. დისტანცია 1.600 მეტრი (1,5 ვერსი).

ჩაწერილია: მუნჩუკი (მხედარი—მამიკონიანი), ცოტო (მამედოვი) და მასსი (კაზუმ-ოღლი).

5. ჯილდო 300 მანეთი. დისტანცია 2134 მეტრი (2 ვერსი).

ჩაწერილია: ზემბი (მხედარი—კაზბეგოვი), ელფუმი (ქათამაძე) და მილხიტი (მამაჯანიანი).

6. ჯილდო 80 მანეთი. მონაწილეობენ მეოთხე ჯგუფის ცხენები. დისტანცია 1867 მეტრი (1,75 ვერსი).

ჩაწერილია: რივიერა (მხედარი—მამედოვი), გულივერი (ყურბანოღლი) და გერდა (იუხანოვი).

დასაწყისი 12 საათზე 30 წუთზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

საოცარი ორგანო

მუცლის მარცხენა მხარეს მოთავსებულია ორგანო, რომელითაც უკანასკნელ ხანებში ძლიერ დაინტერესდენ მეცნიერები. ეს არის—ტყირპი. დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო, თუ რა დანიშნულებას ემსახურებოდა ეს ორგანო. შემდეგ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ის დიდ მონაწილეობას იღებს სისხლის შემადგენლობის მოწესრიგებაში, სახელდობრ—მასში მუშავდებიან სისხლის თეთრი ბურთულები და იშლებიან წითელი ბურთულები. მაგრამ სხეულის მრავალ ადგილას მოიპოვებიან ორგანოები, რომელთა ქსოვილები ძლიერ წააგვანან ტყირპის ქსოვილს: ლიმფატიური ჯირკვლები, ძვლის ტვინი და სხვა. ამის გამო, იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ხდებოდა ტყირპის მოკვლა, არც ადამინი და არც ცხოველები არ კვდებოდენ: ტყირპს უჩნდებოდა მოადგილეები.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ინგლისელმა მეცნიერმა **ბარკროფტმა** აღმოაჩინა, რომ ცხოველები, რომლებსაც ამოაცალეს ტყირპი, ვერ უძლებენ მოწამვლას, დაღლას და სხვ. ამ მოვლენის ასახსნელათ ბარკროფტმა მოახდინა მთელი რიგი ცდები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ტყირპი ასრულებს ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო მრავალ სამუშაოს.

პირველ-ყოვლისა ბარკროფტმა დაამტკიცა რომ ტყირპში ყოველთვის მოიპოვება სისხლის ერთგვარი მარაგი, რომელიც მონაწილეობას არ იღებს სისხლის მიმოქცევაში და რომ, საჭიროების დროს, ტყირპს შეუძლია მისი გამოყოფა. ბარკროფტმა რენტგენის სხივების საშუალებით გამოარკვია ტყირპის მოცულობა და დარწმუნდა, რომ ტყირპი სისხლის მარაგს სწორეთ იმ დროს გამოყოფს, როცა ორგანიზმი ამას საჭიროებს. თუ მაგალითად ცხოველს ცოტ-ცოტაობით გამოაცალეს სისხლი, ტყირპი თავისი მარაგიდან ავსებს ამ დანაკლისს. თუ ცხოველმა სისხლი ცოტა დაჰკარგა, ტყირპი დანაკლისს მთელი რაოდენობით აღადგენს. მაგალითად კატას შეგვიძლია გამოვაცალოთ მთელი სისხლის $1/16$ და ტყირპი ამ დანაკლისს აღადგენს. თუ სისხლის გამოშვებას განვაგრძეთ, ტყირპის შეკუმშვა გრძელდება, მისი მოცულობა 5-ჯერ შემცირდება, მაგრამ დანაკლისის აღდგენა უკვე აღარ შეუძლია.

ტყირპის შეკუმშვა გრძელდება კუნთების მუშაობის დროს. მუშაობის დროს ძალიან იზრდება მოთხოვნილება მჟავბადზე და, მაშასადამე, სისხლის წითელ ბურთულებზე, რომლებსაც მჟავბადი ფილტვებიდან ქსოვილებში გადააქვთ. კუნთების მუშაობის დროს ტყირპის მოცულობა სანახევროთ მცირდება და იგი თავის მარაგიდან გამოყოფს საჭირო სისხლს.

ამრიგად, ბარკროფტის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ტყირპი აწესრიგებს არა მარტო შემადგენლობას სისხლისას, არამედ მის რაოდენობასაც სისხლის სადენ მილებში და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ცხოველები, რომლებსაც ტყირპი ამოაცალეს, ვერ უძლებენ დაღლას და სისხლის მოწამლვას.

ნარევი

საჰაერო ფოსტა ამერიკაში

ამერიკის საჰაერო ფოსტა მსოფლიოში საუკეთესო საჰაერო საფოსტო ორგანიზაციას წარმოადგენს.

საჰაერო ფოსტა მოქმედებს პირდაპირ ხაზზე, რომელიც ნიუ-იორკს სან-ფრანცისკოსთან აერთებს. მანძილი ამ ქალაქებს შორის 4.300 კილომეტრს უდრის.

1924 წ. აგვისტოდან მოეწყო ღამით ფრენა ამ ხაზზე ქ. ჩიკაგოსა და ჩაიენას შორის, ამ დღიდან აეროპლანები განუწყვეტლივ დაფრენენ—დღით და ღამით—ატლანტის ოკეანედან წყნარ ოკეანესაკენ და უკან. მიმოსვლის ცხრილის მიხედვით მანძილი სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკს შორის გაველილი უნდა იქნეს 34 ს. და 45 წუთში. ყველაზე ჩქარი მატარებლები ამ გზის გავლას 96—120 საათს ანდომებენ.

1925 წლის პირველი ივლისიდან მოეწყო საჰაერო-საფოსტო კავშირი ღამით ჩიკაგოსა და ნიუ-იორკს შორის. ახალ საფოსტო ხაზზე ფრენს 24 აეროპლანი. ფოსტა დანიშნულ დროს გადააქვთ: დილის 8 საათზე ფოსტა მიაქვთ ნიუ-იორკის მთავარი ფოსტიდან, 9 ს. 30 წუთზე ფოსტა უკვე დატვირთულია აეროპლანზე, რომელიც გამზადებულია გასაფრენათ; მეორე დილის 6 საათზე და 45 წუთზე ფოსტა უკვე მიტანილია ჩიკაგოს მთავარ ფოსტაში.

მიმოსვლის მოწყობას წინ უძღოდა საჰაერო ხაზის მოწყობა ნიუ-იორკსა და ჩიკაგოს შორის, რაც 500.000 დოლარი დაჯდა. ამ გზაზე, რომლის სიგრძე 1.200 კილომეტრს უდრის, დადგმულია 150 შუქურა მფრინავებისათვის ღამით გზის საჩვენებლათ.

ღამით გადაფრენა ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში ამნაირად ხდება: აეროპლანი მიფრენს ნიუ-იორკის გაჩირაღდნებულ აეროდრომიდან და უკან სტოვებს უზარმაზარ ელექტრონის შუქურას, რომელიც ½ მილიარდი სანთლის ძალის სინათლეს იძლევა. 20 კილომეტრის მანძილზე დასავლეთით მოწყობილია ასეთივე ძალის შუქურა. ამ შუქურადან მფრინავს აძლევენ ნიშნებს წყვეტილი სხივების სახით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ყველაფერი მზად არის და, თუ საჭიროა, მფრინავს შეუძლია დაეშვას. 130 კილომეტრის მანძილზე ნიუ-იორკიდან მფრინავს ხვდება მთები. შემდეგი 50 კილომეტრი ყველაზე უფრო საშიშია ფრენისათვის რადგან თუმცა მთების სიმაღლე 1000 ფუტს ვერ აღემატება, მაგრამ მთები ხშირი ტყით არის დაფარული, რაც აძნელებს დაშვებას; მიუხედავათ ამისა აქ მაინც არის მოწყობილი 5 დასაშვები მოედანი ნიუ-იორკსა და კლივლენდს შორის მოწყობილა 32 დასაშვები მოედანი. დასაშვებ მოედნებს შორის 10—15 მეტრიან ბოძებზე მოწყობილია გზის მაჩვენებელი შუქურები, რომლებიც 4—4 ფანარისაგან შესდგებიან. ფანარების ამ ჯგუფს ზევით, მაღალ ბოძზე, დადგმულია უძრავი წითელი ფანარი, რაც აღნიშნავს მფრინავს, რომ ეს არის გზის მაჩვენებელი შუქურები და არა დასაშვები მოედანის.

საჭირო ნიშნებს დასაშვები მოედნებიდან მფრინავებს აძლევენ წყვეტილი სხივების სახით. ერთი წითელი წყვეტილი სხივი ნიშნავს: „ცუდი ამინდია. მოსალოდნელი, მიიღეთ ზომები“. ორი ასეთი წყვეტილი ხაზით მფრინავს ბრძანებას აძლევენ დაეშვას და დაუცადოს შემდეგ ინსტრუქციებს.

ნიუ-იორკიდან გამოფრენილი აეროპლანი მიფრინავს მხოლოდ კლივლენდამდე. აქ ფოსტა გადააქვთ მეორე აეროპლანზე.

აეროდრომების ყველაზე საინტერესო მოწყობილობას წარმოადგენენ ½ მილიარდი სანთლის ძალის მქონე შუქურები. ეს შუქურები იმდენათ მძლავრი არიან, რომ არე-მარე ორი ვერსის მანძილზე განათებულია, როგორც დღისით და შეიძლება გაზეთების კითხვა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო პენსიის დანიშვნის შესახებ.

კ ი თ ხ ვ ა.

1896 წლის 1-ლ სექტემბრიდან 1921 წლის 1-ლ მაისამდი განუწყვეტლივ ვმსახურობდი მასწავლებლად ზუგდიდის მაზრის ს. ხეთის სკოლაში, ე. ი. სულ 24 წელიწადი და 9 თვის განმავლობაში. ამათ შორის ორი თვე საბჭოთა წყობილების დროს.

ციებცხელებიან ცუდი ჰავის გამო გადამეკიდა მალარია და მისგან წარმომდგარი მუცლის ავადმყოფობა; ქუთაისის საავადმყოფოში გამჭრეს და მუცლიდან ამომაცალეს ხორცმეტი, „ფიბრომიომად“ წოდებული. ამასთან დარჩა კიდევ ხორცმეტი, რომელიც იზრდება და დღესაც მაწუხებს. დავრჩი სავსებით შრომის უნარს მოკლებული მასწავლებელი ქმრის სარჩენად, რომელიც ღებულობს 40 მანეთს თვეში. გვყავს სარჩენი ერთი მოხუცი ნათესავი და ვინახავთ ერთს ვაჟიშვილს, რომელსაც უსახსრობის გამო ვერ გავაგრძელებიეთ სწავლა. არავითარ დახმარებას არ ვღებულობთ.

გთხოვთ მიპასუხოთ, შემიძლია თუ არა მოვითხოვო კანონით დაწესებული პენსია და ვის მივმართო პირველად ამის შესახებ თხოვნით.

ყოფილი მასწავლებელი ქალი **ნინო ხუბულავასი.**

პ ა ს უ ხ ი.

თანახმად საკავ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1925 წ. 15 იანვრის დადგენილების მე-14-ტე მუხლის განსავითარებლად ამ.-კავ. შრომის სახკომატის მიერ 1925 წ. 27 აპრილს გამოცემული ინსტრუქციისა, სრული პენსიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ სოფ. და ქალაქის პირველ საფეხურის სკოლის ისეთ მასწავლებელთ, რომელთაც უმსახურიათ სახ. განათლების დარგში 25 წლის განმავლობაში და იმ პირობით, თუ კი მათ საბჭოთა ხელისუფლების დროს უმსახურია არა ნაკლებ ხუთი წლისა. საქართველოში კი ხუთი წლის სტაჟად ითვლება დრო საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1925 წლის 1-ლ იანვრამდის. აქედან ცხადია, რომ საერთო წესით თქვენ აღნიშნული პენსია არ მოგეცემათ. მაგრამ ვიანაიდან თქვენ გაქვთ სამსახურის დიდი სტაჟი (24 წელი და ცხრა თვე), თანახმად იმავე ინსტრუქციის მუხ. 16-ისა, გაქვთ უფლება სათანადო განცხადებით პენსიის მიცემის შესახებ მიმართოთ საქართ. სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სამშაბათს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება ს. კ. პ. (ბ) ც. კ. **ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის** მეორე სხდომა.

სხდომას უნდა დაესწრონ: ამხ. თოდრია, კანდელაკი დ., ასრიბეკოვი, ყურულაშვილი, სუტირინი, გორდელაძე, ბიბინეიშვილი, პაპავა, ასათიანი, ჰელიძე, რუხაძე ლ., თალაკვაძე, კიკნაძე, ტოროტაძე, ძიგრაშვილი, ფრანგიშვილი, ზომლეთელი, კალაძე რ., გედევანიშვილი, დუდუჩავა, ამაღლობელი, ბუაჩიძე, რონდელი, ქიქოძე, შინატეხელი, ბუხნიკაშვილი, კალაძე კ., ლისაშვილი, ესაკია, მაშაშვილი, სიტკოვსკი, სტორი, შტუნი, აკოფოვი, ვაკელი და სამსონიძე.

სამშაბათს, 4 მაისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქ.-კომპარტიის **თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი** რაიკომის ბიუროთა წევრების და იაჩეიკების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) თბილ.-კომიტეტ. პრეზიდიუმის ანგარიში, 2) მიმდინარე საკითხები.

სამშაბათს, 4 მაისს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ასრიბეკოვის** კაბინეტში შესდგება **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა.**

ა. წ. 5 მაისს

არუსიაკ პეტროსოვი-ცინცაძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ, საღამოს 5 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მის საფლავზე (ნიკოლოზის სასაფლაოზე), რასაც აცნობებენ ამხანაგებსა და მეგობრებს **კოტე და ვიკუნია ცინცაძეები.** ბ. 1245 2—1

ღრმათ დამწუხრებულნი: ელისაბედ ბერეჟიანისა შვილებით, რძლებით, სიძეებით, შვილისშვილებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ დაუვიწყარ

ივანე ნიკოლოზის ძის ბერეჟიანის

გარდაცვალების 40 დღის თავზე 5 მაისს ოთხშაბათს 12 საათზე ქ. ოზურგეთში გადახდილი იქნება პანაშვიდი ქ. 2344

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა, შვილებით: ნატალია, მარიამი, გიორგი და სერგო, სიძე შალვა ხუნდაძე და შვილისშვილები ოთარი და ნუნუ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე მანუჩარის ძე მიქაძე

გამოსვენება პირველ მაისს თავის ბინიდან, შმიდტის ქუჩა № 1, ნაშუადღევის ოთხ საათზე ქ. ბათომში. ბ. 1238

ბათომის რაიონული საბაჟოს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 29 აპრილს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ხელმძღვანელი და დამსახურებული თანამშრომელი

ალექსანდრე მანუჩარის ძე მიქაძე

ბ. 1239

მთავარი საბაჟო სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილება და თბილისის რაიონული საბაჟო უაღრესი მწუხარებით აღსავსე აუწყებენ მარად საყვარელი მეგობრის და ხელმძღვანელის, შრომის გმირის, ბათომის საბაჟოს პასუხისმგებელი თანამშრომლის

ალექსანდრე მათეს ძე მიქაძის

გარდაცვალებას ქ. ბათომში ა. წ. 29 აპრილს. დაკრძალვა ქ. ბათომში 1 მაისს. 2345

სახმედვაჭრობის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ენერგიული და სპეტაკი მუშაკის, აწყურის აფთიაქის გამგის ამხ.

საშა გომურაშვილის

გარდაცვალებას. ბ.

ვასო ანდღულაძე და ვალოდია ბერაძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი მეგობრის

საშა გომურაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ბ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა სპირიდონის ასული, მამა გრიგორი ალექსანდრეს ძე, და ევგენია გრიგორის ასული და ძმა გიორგი გომურაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს თავისი საყვარელი

საშა (ალექსანდრე) გომურაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. არამიანცის სახელობის საავადმყოფოდან დღეს, შაბათს 4 ნახ. საათზე. ბ.

„გრუზგოსტორგ“-ის მაღ. № 12-ის ღრმად დამწუხრებული თანამშრომელნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 29 აპრილს ღამით უდროოდ გარდაიცვალა მათი საუკეთესო ამხანაგი და პატიოსანი მუშაკი

იასონ ალექსის ძე გიგიბერია

2346

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხ.-ს („გრუზგოსტორგი“-ს) ადგილკომი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ ა. წ. 29 აპრილს მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უანგარო და დაუვიწყარი თანამშრომელი ამხ-ს მაღ. № 5 გამგე

ამხ. იასონ გიგიბერია

გამოსვენება მოხდება ორშაბათს, ა. წ. 3 მაისს, საღამოს 5 საათზე მლეთის შესახვევი № 5. 2349

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პელაგია (პაშა) გუსარის ასული, შვილები გია და ეთერი, ძმა ესტატე ალექსის ძე გიგიბერია, დები დესპინე და მინადორა, სიმამრი გუსარ მანუჩარის ძე, სიდედრი თებრონე ანდრიას ასული, ცოლისდები ფაჩუ, ნინო და მარო და ცოლისძმები—ნიკოლოზ და ბაკურ დგებუაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვისძვირფასი

იასონ ალექსის ძე გიგიბერია

ცხედრის გამოსვენება ბინიდან (მლეთის შესახვევი 5) მოხდება ორშაბათს, 3 მაისს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2343

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე მინადორა, შვილი თევდორე, ძმები, დიმიტრი და ალექსანდრე, რძლები სოფიო, ზინაიდა და ევგენია, შვილისშვილი ლენიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ივანე თევდორეს ძე მღებრიშვილი

გამოსვენება შაბათს, 1 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ ბინიდან სემიონოვის ქ. № 4, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2334

ღრმათ დამწუხრებული მშობლები დედა ნატალია, მამა თედორე, და ეკატერინე გუგულია), ძმა გრიგოლი (ქორქიკა) და თამარა, სიძე ალექსანდრე, დისწული თინა და ეთერი კვანტალიანები, დეიდა ვარდიკო, ბიძა კოწია, ბიცოლა ოლინკა, ბიძაშვილი თამარა კიკაჩეიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამა წლის 2 მაისს კვირას დილით ათ საათზე ქალ. სამტრედიაში მაცხოვრის სასაფლაოზე მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგის სტუდენტის

ვლადიმერ (ლადო) თედორეს ძე ჩომახიძეს

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი. 2334

აპოლო არტისტო ტოლდი

დღეს და ყოველდღე
პირველად ეკრანზე სომხეთის ყოფა-ცხოვრება
„ნ ა მ უ ს ი“
შირვან-ზადეს რომანის მიხედვით.
რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
სურათის ჩვენების დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი
ყველა კონტრამარკები გაუქმებულია
0—24

ორშაბათს, 3 მაისს
ლოლი
დასაწყისი 12 ნახ. საათ.
ბ. 1143

МОСКОВСКИЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕАТР ВТОРОЙ

სახელმწიფო ოპერა
ხვალ, 2 მაისს, მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის პირველი გასტროლი
ჭრიჭინა ბუხარზე
ორშაბათს **ერიკ მე-14**
დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ. ბ. 1244

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
და ივნისის შუა რიცხვებში გამოვა
„ადამიანის ოთხფეხა მოსამსახურენი“
და
„მტაცებელი ცხოველები“
ლუნკევიჩიდან გადმოკეთებული
ალექსანდრე ლომთათიძის
მიერ
წიგნი ნებადართულია სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურ სექციის მიერ. წიგნი ორი ნაწილისაგან შესდგება. შეიცავს 160 გვერდს. დართული ექნება ცხოველების 60-მდე ფოტოგრაფიული სურათი. წიგნი ხელისმომწერლებისათვის ღირება 1 მ. 50 კ. არა ხელისმომწერთათვის—2 მ. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ოლღას ქ. № 6, ს. თავართქილაძესთან. ოლღას ქ. № 3, ვ. სიხარულიძესთან. სასახლის ქ. № 5, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად., ვ. ქიქოძესთან. ცხაკაიში შ. სამუშიასთან. წალენჯიხაში ალექსანდრა ქართველიშვილთან. ქუთაისში: ს. თოდრიასთან. ოზურგეთში წერილ ხელოსანთა საკრედიტო ამხ. ქ. ქელიძესთან. ბათომში ქუთაისის ქ. № 39. ი. კვაჭანტირაძესთან ქუთაისში: მესხეთის ქ. 3. სვანიძესთან.
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება—თბილისი, საპიორის პირველი ჩიხი № 4. გამომცემელ ზინაიდა ლომთათიძესთან საღამოს ოთხი საათიდან 6 საათამდე.
ბ. 1233 2—1

ჩქარა ჩქარა
„მეჟრაბპომრუს“-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების 1-ლი საუკეთესო სურათი
ძინა ძაძუ
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
რეჟისორი ი. ა. ჟელიაბუჟსკი
თვალყური ადევნეთ ანონსებს
ბ. 1241

გამოვიდა
და ყველა წიგნის მაღაზიებში **იყიდება**
ეკ. გ. მჭედლიძის ახალი წიგნაკი
„აგარაკი ბახმარო“
აგარაკის რუქით და რამდენიმე სახეებით ტექსტში
მოიკითხეთ თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში
3—1

საკურორტო ბიურო
მოეწყო საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოსთან. აწარმოებს სანატორიო საწოლების, ოთახების და სასტუმროების ოთახების დაკვეთას ს.ს.ს.რ., რ.ს.ფ.ს.რ. და აჭარისტანის კურორტებზე
ცნობების მისაღებად მსურველნი მიმართავენ საკურორტო ბიუროს (ყოფ. საპიორის) ქუჩა № 30, ოთახი № 25, ტელეფონი, 4—08. თბილისის გარეშე მცხოვრებნი ესთხოვთ პასუხის მისაცემათ შეკითხვაზე მარკა გამოგზავნონ. ბ. 1240

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—30

სათვალეების მორიგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შიაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ა. წ. 16 მაისს დილის 10 საათზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის შენობაში დანიშნულია აქციონერთა ჩვეულებრივი წლიური

საერთო კრილობა

დღის წესრიგი

1. განხილვა და დამტკიცება ს. ს. ს. ბანკის ანგარიშის და ბალანსის წარსულ 24 | 25 საოპერაციო წლის.
2. ს. ს. ს. ბანკის 24 | 25 წლის მოგების განაწილება.
3. საბჭოს მოხსენება 1924 | 25 წლის მის მოქმედების შესახებ.
4. ს. ს. ს. ბანკის ძირითადი თანხის გადიდების შესახებ.
5. ს.ს.ს. ბანკის 25 | 26 საოპერაციო წლის გეგმა.
6. მიმდინარე საქმეები.
7. ბანკის საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების არჩევნები.

საქ. სახ.-სამ. ბანკის გამგეობა

ბ. 1242

თბილ. ალმასკომის პრეზიდიუმის განცხადება

№ 2 28 აპრილს 1926 წ.

ზაჰესში ექსკურსიების მოწყობის შესახებ

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა აპრილის 26 სხდომაზე იქონია მსჯელობა ზაჰესის სამუშაოთა დასათვალიერებლად მიმავალ ექსკურსიების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ზაჰესში ყოველდღიურად (კვირა-უქმეების გამოუკლებლად) სამ წყებად მუშაობის წარმოების აუცილებლობა, დაადგინა: რათა მუშაობას ხელი არ შეეშალოს, ნებადართულ იქნას ზაჰესში ექსკურსიების მოწყობა შემდეგ პირობებში:

1. ექსკურსიების ნებართვას იძლევა ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო ლადო დუმბაძის ქ. № 3.
2. როგორც პროფკავშირთა ექსკურსანტებს, ისე დანარჩენებსაც წერილობითი ნებართვას აძლევს ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო და წერილობითი ნებართვის გარეშე სამუშაოს დასათვალიერებლად არავინ არ იქნება დაშვებული.
3. ექსკურსიების მოწყობა შეიძლება მხოლოდ კვირა და უქმე დღეებში.
4. ექსკურსანტების საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მთელი დღის განმავლობაში 300 კაცს, ამ რიცხვიდან 200 კაცის ნორმა პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების სრულ განკარგულებაში ითვლება, ხოლო 100 კაცის ნორმა წესდება სამხედრო უწყებისა, სკოლებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის.
5. წინადადება ეძლევა ზაჰესის სამუშაოთა რაიონის მილიციის უფროსს სასტიკათ და შეურყევლათ დაიცვას ზემოაღნიშნული დადგენილება.

თბილისის ალმასკომის და ზაჰესკომის თავმჯდომარეს მოადგილე **ივანოვ-კავკასიელი**

ბ. 1246 მდივანი—**ცქიტიშვილი.**

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს ალმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ 7 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 14 სოლოლაკის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის იაკობ მელიქბახტამიანის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, საკერავ მანქანას, გრამოფონს და სხვა ბინის მოწყობილობას შეფასებულს 725 მანეთად, გენოფია ტერსააკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 24 მარტის 1926 წ. თარიღით, № 22763 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 2344

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან არსებული ელქგანი

(ელექტრო-ქსელის გამთველელ დაყენების განყოფილება, თავისუფლების მოედანი № 2), ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათიდან, 28 აპრილიდან გაიხსნა განცხადებების მიღება მოქალაქეებიდან ზაჰესის ელექტრო-დენის მისაღებად არსებულ ელექტრო-გაყვანილობების გადაკეთებაზე და აგრეთვე ახალის მოწყობაზე 6 და 10 თვის ვადიან **კრედიტით.**

მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ ისარგებლონ **კრედიტით** ელექტრო-გაყვანილობების გადასაკეთებლად და ახალი დადგმულობების მოსაწყობად, უნდა დასდონ განსაკუთრებული ხელშეკრულება.

კრედიტის გაცემისა და მით სარგებლობის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ელქგანის კანცელარიაში, სამუშაო საათებში.

ელქგანი საჭიროდ სცნობს განაცხადოს აგრეთვე შემდეგი: მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ ელექტრო დადგმულობები და სურთ ისარგებლონ ზაჰესის ელექტრო-დენით (მიუხედავად იმისა, ითვლებიან თუ არა რომელიმე ელექტრო-სადგურის აბონენტად), ეხლავე უნდა იზრუნონ, რომ მათი ელექტრო-დადგმულობანი შემოწმებულ იქნენ ელქგანის მიერ.

შენიშვნა: თბილისის ალმასკომმა შესაძლებლად სცნო დაუშვას ელექტრო დადგმულობანი, რომლებიც აკმაყოფილებენ ს. ს. ს. რ. შრომის კომისარიატის შემსუბუქებულ ნორმებსა და წესებს.

ელექტრო-გაყვანილობანი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ ნორმებს, არ იქნებიან შეერთებული ზაჰესის ახალ ელექტრო-ქსელთან.

ბ. 1226 3—2. ელქგანის გამგე: **ბრეგაძე.**

მთ. ინჟენერ პროფესორი: **დიდებულიძე.**

გარე-უბნის სასამართ. ალმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 7 მაისს 1926 წ. საათის 12 დღ. მე-3 პროექტ. ქ. მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის კონსტანტინე ტერიშვილის უძრავ ქონებას ერთ აგურის სამ ოთახიან სახლს სამზარეულოთი და თავლით, დახურული მარსელის კრამიტით შეფასებულს 700 მან. დასაკმაყოფილებლად გოზალოვისა, შიხაშვილისა, კრონბერგისა და ბაქრაძისა. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. 2347

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს ალმასრულებელი კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 4 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3, ლევანდოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იასონ ძნელაძის მოძრავ ქონებას: ნოხი და სხვა შეფასებულს 176 მანეთათ, ნიკოლოზ ბოკაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 26 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 3382 გაცემულ ალმსრულებელ ფურცლისა. 2448

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს ალმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ 6 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 15 განოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის კონსტანტინე კრასილნიკოვის მოძრავ ქონებას: სპარსულ ხალიჩას, ტანისამოსის შკაფს და კედლის საათს შეფასებულს 150 მანეთად, შმავონ პოლოსოვის ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 აპრილის 1926 წ. თარიღით, № 800 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 2341

მედიცინის დოქტორი გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეუხაპუნება „914“ ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—1

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 35
25—11

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ე ქ ი მ ი
ვ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—1

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნიური მთის მზით პნეიმოტორაქსის და ტუბერკულოზის, რენტგენის და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ე ქ ი მ ი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—8

თვალის ექიმი
მაევსკი
პრეხანოვის პროსპექტი
(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე, დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

ე ქ ი მ ი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა №18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—20

ე ქ ი მ ი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).
25—7

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. ბინასთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

დაიკარგა ქორწინების ბარათი მმაჩიდან მიღებული კიკულის სახელზე, ჩ. გ. 2350

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი № 248, გიორგი ოქროპირის ძე სალარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2340

დაიკარგა ლვინის გატანის ნებართვა № 18202 1926 წ. 23 აპრილის თარიღით გიორგი ვახრამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2339